ალია
N26/3342/ 11-14 მარტი 2016 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ალია
ოთხშაბათი ალია
პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

რა ელით ევროკავშირის ქვეყნებში არალეგალურად მცხოვრებ ქართველებს უვიზო რეჟიმის პირობებში 6



# ბიძინა ივანიშვილის მთავარი დანაშაული იცით, რა არის? 7



კახა კუკავა: „იგეგმება, როგორ უნდა გამოაჩინონ ივანიშვილი არჩევნების წინ“ 4

რას აპირებენ პიარტექნოლოგები ივანიშვილის „გასათეთრებლად“?

რას აპირებს 12 მარტის პოლიტსაბჭოს სხდომაზე ექსპრემიერი? 9

სად და ვინ დაგეგმა პაპუაშვილ-წულუკიანის დაპირისპირება?



8

სტუდენტების სამი მოთხოვნა თსუ-ს რექტორატს

რა ხდებოდა გუშინ უნივერსიტეტში?



11

სინამდვილეში რას მიიღებს მოსახლეობა ვიზალიბერალიზაციით? რა ელით ევროპაში მყოფ ქართველ არალეგალებს? რას ვერ გაართვა თავი თსუ-ს რექტორმა ლადო პაპავამ?



3

უკრაინული პრესა სააკაშვილის კლანის შესახებ



2

„ბოლოს როდის გარეცხე შენი ტრუსიკი?“

ვინ არიან და რა მიზნით ჩაატარეს ქალებმა აქცია კაცების წინააღმდეგ?




12

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

საწვავი ძვირდება — რამდენით მეტს გადაიხდიან მძღოლები?



2

ბასილ მკალავიშვილი: „წყეულ და შეჩვენებულ იქმნეს ბოკერია მეუღლით, ირაკლი დეისაძე, ნინია კაკაბაძე“



7

რუსები სტალინის საქართველოში გადმოსვენებას ითხოვენ



3

მიმართა თუ არა, ლესბოსელმა წყვილმა იუსტიციის სახლს დაქორწინების თხოვნით



4

## „ღარიბაშვილის გუბერნატორები“ მიდიან — კახეთი და გურია



„პირველი რადიოსთვის“ ცნობილი ხდება, რომ მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის გუბერნატორების შემდეგ, თანამდებობას კიდევ 2 გუბერნატორი დატოვებს. საუბარია, გურიაში სახელმწიფო რწმუნებულზე – გია სალუქვაძეზე და კახეთში სახელმწიფო რწმუნებულზე ირაკლი შიოლაშვილზე.

თავად შიოლაშვილი ინფორმაციას არ ადასტურებს, თუმცა, როგორც სახელმწიფო კანცელარიაში პირად საუბრებში აცხადებენ, შიოლაშვილისა და სალუქვაძის წასვლა გადაწყვეტილია.

ორივე მათგანი ყოფილი პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის კადრებად მოიაზრებიან. გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, თვის ბოლომდე თანამდებობა კიდევ რამდენიმე გუბერნატორმა დატოვოს, რომლებიც, ასევე, ე.წ. ღარიბაშვილის დაჯგუფებას მიეკუთვნებიან. (პირველი რადიო)

## „გაპრავება“ ბევრი გვინახავს, მაგრამ ასეთი უნიჭო, კაცო?!



„თურმე, როგორ შეიძლება „გაზპრომთან“ საუბარი, როცა რუსეთმა ჩვენი ტერიტორიები დაიკავა. მწვანილის, ღვინის გატანა შეიძლება და თუ ასე ვუდგებით, მაშინ თურქეთიდან რომ ამდენი ნაგავი შემოაქვთ, იქ არ არის ჩვენი ტერიტორიები დაკავებული? ნებისმიერი წარმატებული პროექტი, რასაც აკეთებს ჩვენი ხელისუფლება კრიტიკის ქარ-ცეცხლში ხვდება“, – გოგი თოფაძის ამ განცხადებას, რომელიც დეპუტატმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას გააკეთა, მისი კოლეგა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ალექსანდრე ქანთარია აფასებს.

– თურქეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და ჩვენ ამ განცხადებას ვემიჯნებით. ასეთი განცხადებები ასეთ დროს და საერთოდ, პარტნიორ ქვეყანაზე, მიუღებელია. თოფაძეს ტექსტი სხვა მიმართულებით მიჰყავდა და ამაში სხვა აზრი იდო. დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო წამოცდენა და გამიზნულად არ უთქვამს. არ მგონია, რომ მას ჩვენი მეგობარი და პარტნიორი ქვეყნის წყენინება სურდა. ნამდვილად არ ჰქონდა გამიზნული აგრესიული განცხადების გაკეთება, მაგრამ შედეგი, სამწუხაროდ, ასეთი გამოვიდა, – ამბობს ალექსანდრე ქანთარია. (რეპორტიორი)

# უკრაინული პრესა სააკაშვილის კლანის შესახებ







უკრაინული პორტალი „информационный центр“ გაზეთ „პოლიტიჩესკიე იზვესტიაში“ დაბეჭდილ სტატიას აქვეყნებს, რომელშიც საქართველოდან უკრაინაში გადაბარგებული ჩინოვნიკების შესახებაა საუბარი:

**— ქართველები ხელისუფლებაში: „პირველი ეშელონი“**

მოდით, თავდაპირველად ქართველი ხალხის ყველაზე ცნობილ წარმომადგენლებზე ვისაუბროთ, რომლებიც ჩვენი მამულის ხელისუფლების საჭესთან (და იმავდროულად საკვებ ბაგასთან) დგანან.

**გიორგი ლორთქიფანიძე** – უკრაინის შსს ოდესის საოლქო სამმართველოს უფროსი. მიხეილ სააკაშვილის ძველი მეგობარი. მისი პრეზიდენტობისას საქართველოს შს მინისტრის მოადგილე. მრავალი თვითმხილველი ამბობს, რომ გიორგი ლორთქიფანიძე ცოფიანი რუსოფობი პიროვნებაა, აწამებდა განსასჯელებს და მათ აიძულებდა, ეღიარებინათ, რომ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ან მთავარი სადაზვერვო სამმართველოს აგენტები არიან. საპყრობილეში გადაღებულ წამებისა და გაუპატიურების ვიდეოკადრებზე მკაფიოდ მოჩანს საქართველოს შს მინისტრის მოადგილის სახე...

**დავით საყვარელიძე** – უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილე, ამავე დროს ოდესის ოლქის პროკურორი... უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა ქართველი ჩინოვნიკი ყოველთვის ჭკვიანურად ირჩევდა მეგობრებს: მისი ერთ-ერთი ძმაკაცი იყო თბილისის ექსმერი, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა, რომელიც ამჟამად ციხეში ზის და სასჯელს დედაქალაქის ბიუჯეტის უყაირათოდ ხარჯვისთვის იხდის. მისი კიდევ ერთი მეგობარია იუსტიციის ექსმინისტრი ზურაბ ადეიშვილი, ოდიოზური პიროვნება, რომელიც „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდის ქართულ პოლიტიკაში „რუხი კარდინალის“ როლს ასრულებდა. სხვათა შორის, დავით საყვარელიძე ერთ-ერთი ფიგურანტია იმ საქმისა, რომელიც თბილისის რიყის პარკის ტერიტორიაზე კომერციული ფართობების უკანონო ყიდვა-გაყიდვას ეხება 2006 წელს. გარდა ამისა, ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი დავით საყვარელიძეს ბრალს სდებს დიდი თანხების გამოძალვაში კონკრეტული პირებისგან და ძვირფასეულობების მითვისებაში.

**ზურაბ ადეიშვილი** – საქართველოს იუსტიციის ექსმინისტრი და მიხეილ სააკაშვილის უახლოესი თანამებრძოლი, რომელიც ძებნაშია ჩადენილი დანაშაულების გამო. იმ სქემების წყალობით, რომელიც ზურაბ ადეიშვილმა და დავით საყვარელიძემ შეადგინეს, მიხეილ სააკაშვილის სანქციით, კორუფცია საქართველოში ახალ დონეზე გავიდა. მათ მცირე და საშუალო ბიზნესს ხარკი შეაწერეს. ბიზნესმენები იძულებულნი იყვნენ, „ნებაყოფლობით“ გადაეხადათ მსხვილი თანხები, რითაც პოლიციელებსა და „სამართალდამცველ“ ჩინოვნიკებს ხელფასებს უზრდიდნენ და პრემიებს აძლევდნენ. სწორედ იუსტიციის ექსმინისტრი ზურაბ ადეიშვილი, შინაგან საქმეთა ექსმინისტრ ვანო მერაბიშვილთან ერთად (ეს უკანასკნელი მსჯავრდადებულია) ცხოვრებაში გაატარა მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური დოგმა „ნულოვანი ტოლერანტობა – ყველა საპყრობილეში!“ და ციხეში ჩასვა ასი ათასზე მეტი ადამიანი. ამრიგად, საქართველომ ყოველ ასი ათას მოსახლეზე პატიმრების რაოდენობით მსოფლიოში მეოთხე და ევროპაში საპატიო პირველი ადგილი დაიკავა.

**ეკა ზღულაძე** – უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, წარსულში კი – პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის აქტიური მხარდამჭერი. ეს ერთი შეხედვით სუსტი ქალი მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის მოადგილედ მუშაობდა. შეიძლება ვინმემ იმის მტკიცება დაიწყოს, რომ ეკა ზღულაძემ თავისი ბოსის დაუნდობელი ქმედების შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ ფაქტები პირიქით მეტყველებს. მისი ერთ-ერთი ბოლო საეჭვო ქმედება მსოფლიომ გაიგო – ეკა ზღულაძე შეეცადა, უკრაინიდან 4 მილიონი დოლარი გაეტანა.

**ხატია დეკანოიძე** – საქართველოს განათლების ექსმინისტრი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, მუშაობდა საქართველოს პოლიციის აკადემიის რექტორად. იმავე თანამდებობაზეა უკრაინაშიც... ხატია დეკანოიძე ეკა ზღულაძის უახლოესი დაქალია. სამშობლოში მას ბრალი აქვს წაყენებული სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში.

**გიზო უგლავა** – უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, მანამდე კი, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილედ მუშაობდა. გიზო უგლავა „პოპულარული გახდა“ კორუფციასა და სხვა მრავალ დანაშაულში ბრალდებული თბილისის ექსმერის ადვოკატობით. ცალკე უნდა აღინიშნოს ის, რომ უკრაინის პრესა გიზო უგლავას საქართველოს პროკურატურის სისტემის რეფორმატორად და კორუფციასთან მებრძოლად წარმოსახავს, მაგრამ მკითხველი შეიძლება დაინტერესდეს – თუ გიზო უგლავა კორუფციას მედგრად ებრძოდა, მაშინ რატომ იცავდა კორუფციაში ბრალდებულ გიგი უგულავას? პასუხი ამ კითხვაზე ჯერ არ გვაქვს, მაგრამ სხვადასხვა წყაროებით ირკვევა, რომ გიზო უგლავა საქართველოში იძებნება, არ გაგიკვირდეთ – სწორედ კორუფციისა და კრიმინალური დანაშაულისა გამო.

**ალექსანდრე კვიტაშვილი** – საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ჟამს, დღეს კი იმავე თანამდებობაზე ზის უკრაინის მთავრობაშიც... საქართველოში ჯანდაცვის ექსმინისტრი უკვე თითქმის აღარ ახსოვთ და თუ იხსენებენ, ასეთ კომენტარს აკეთებენ: „როგორ შეიძლებოდა კვიტაშვილის უკრაინის ჯანდაცვის მინისტრად დანიშვნა, მან ხომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემა მთლიანად დაანგრია?“.

**გიორგი გრიგალაშვილი** – უკრაინის ეროვნული პოლიციის შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი, მანამდე კი, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, იგი საქართველოს საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელი გახლდათ. სწორედ ესაა გიორგი გრიგალაშვილის ბიოგრაფიის საკვანძო მომენტი: სწორედ გრიგალაშვილის უწყებამ დაარბია ოპოზიციის მიტინგი 2011 წლის 26 მაისს თბილისში, რომლის დროსაც აქციის მონაწილეები დაიღუპნენ

**— ქართველები ხელისუფლებაში: „მეორე ეშელონი“**

მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩამოყვანილი პირების სია საკმაოდ ვრცელია და მასში ძალიან ბევრ ისეთ ადამიანს დაინახავთ, რომლებიც უცნობია როგორც უბრალო უკრაინელებისთვის, ასევე თვით ქართველებისთვისაც:

**გიორგი ცხაკაია, ლევან დუჩიძე, სერგო ქავთარაძე, მერიკო კოკაია, დავით ჩანტლაძე, თემურ ნიშნიანიძე, ალეკო სოკურაშვილი, ირაკლი ქურასბედიანი, დავით მარტიაშვილი...**

სასაცილო უნდა იყოს, რომ პოლიტიკოსი, რომელიც თავის ისტორიულ სამშობლოში კორუფციაშია დადანაშაულებული, მეორე სამშობლოში ანტიკორუფციულ ფორუმებს მართავს, თანაც თავისი ახალი სამშობლოს ხელისუფლებას, რომელმაც გაქცეული შეიფარა და სამსახური მისცა, ახლა კორუფციაში ადანაშაულებს. დიახ, სასაცილო უნდა იყოს, მაგრამ საშინელებაა ეს ყველაფერი.

რატომ ჰყავს ამდენი თანამემამულე ირგვლივ ოდესის გუბერნატორს? რა მიზანი აქვს დასახული მიხეილ სააკაშვილს, როცა თანამდებობებზე საეჭვო და ძებნილ ადამიანებს ნიშნავს? ხომ ყველამ იცის, რომ მიხეილ სააკაშვილის რეფორმების გამოცდილება მხოლოდ ორ სიტყვაში გამოიხატება – „ნულოვანი ტოლერანტობა“? რა აზრია ჩადებული მის ნათქვამში – „გადავაქციოთ ოდესა 2011 წლის თბილისად“? ანუ კორუფცია მაღალ ეშელონებში და ასობით ათასი ადამიანი ციხეში?..

ნათელი ხდება, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი არა მხოლოდ იმას ცდილობს, რომ რეგიონი სრულად ჩაიგდოს ხელში თავისი ერთგული ვასალების მეშვეობით, არამედ თავისთვის პლაცდარმს ამზადებს „უკრაინის მაღალ ელიტაში“ გადასახტომად.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ გავა რამდენიმე წელი და უკრაინელებს, ქართველების მსგავსად, სამზარეულოში ჩურჩულისაც კი შეეშინდებათ და შიშნარევ მზერას მიაპყრობენ კარებს – ვინმეს ნაბიჯის ხმა ხომ არ ისმის, არავინ გვისმენდესო. (globalresearch. ge; marshalpress.ge)

## ხუნდაძე: ყოფილ გუბერნატორთან აზრთა სხვადასხვაობა მქონდა



მცხეთა-მთიანეთის უკვე ყოფილ გუბერნატორთან გარკვეულ უთანხმოებაზე მცხეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა დიმიტრი ხუნდაძემ გააკეთა განცხადება. ხუნდაძის განცხადებით, მას გუბერნატორთან, გარკვეულ საკითხებში აზრთა სხვადასხვაობა ჰქონდა, თუმცა მათ შორის კონფლიქტი არ ყოფილა.

– იყო საკითხები, როცა აზრთა სხვადასხვაობა გვქონდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შორის იყო კონფლიქტი. ის გადაწყვეტილება, რომ მან დაწერა განცხადება, მე თქვენგან ვიგებ, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ არის ჩემი გადასაწყვეტი. ამ გადაწყვეტილებას იღებს პრემიერი ან თვითონ პიროვნება, რომელიც საკუთარ გადაწყვეტილებას საკუთარ თავზე იღებს აბსოლუტურად დამოუკიდებლად, – განაცხადა ხუნდაძემ. (news.ge)

## საწვავი ძვირდება — რამდენით მეტს გადაიხდიან მძღოლები?



უახლოეს დღეებში საწვავზე ფასების ტოტალური ზრდა მოსალოდნელი არ არის, თუმცა, შესაძლოა, ძირითადად, არაბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურებზე, საწვავი 5 თეთრით გაძვირდეს.

ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა და იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი განმარტავს, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის მატების ტენდენცია ფიქსირდება, ამიტომ თუ ვითარება არ შეიცვალა და „შავი ოქროს“ ღირებულება არ შემცირდა, ეს საქართველოში საწვავის ფასზეც აისახება.

– 1 ბარელი ბრენტის მარკის ნავთობის ფასი არის 40-დოლარიან ნიშნულზე, რაც გასული წლის 20 დეკემბრის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ჩვენთან საწვავის ფასი ორ ფაქტორზეა დამოკიდებული – ლარის კურსი და საერთაშორისო ფასები. ლართან დაკავშირებით ვითარება ოპტიმისტურია. თუ საერთაშორისო ბაზარზე მოცემულობა არ შეიცვალა და ეს ფასები დარჩა, შეიძლება ერთი კვირის შემდეგ, გარკვეულ კომპანიებს ფასების მატება მოუწიოს, – განაცხადა ვანო მთვრალაშვილმა.

ასევე, ის არც იმას გამორიცხავს, რომ ლარის გამყარების შემთხვევაში, საწვავზე ფასები აღარ გაიზარდოს, ან მატება მხოლოდ არაბრენდირებულ ან ისეთ კომპანიებს შეეხოს, რომლებსაც პროდუქტი ძვირად აქვს ნაყიდი. (რადიო ფორტუნა)

## რუსები სტალინის საქართველოში გადმოსვენებას ითხოვენ



რუსი პოლიტიკოსები სტალინის ცხედრის სამშობლოში გადასვენებაზე ალაპარაკდნენ.

– ადამიანური და ქრისტიანული წესების გათვალისწინებით, იოსებ სტალინის ცხედარი აუცილებლად უნდა გადაასვენონ იქ, სადაც იგი დაიბადა, ანუ საქართველოში, ქალაქ გორში, – განაცხადა „ინტერფაქსთან“ საუბარში პარტია „Правое дело“-ს წევრმა ბორის ნადეჟდინმა. როგორც ირკვევა, სტალინის გადასვენების საკითხს კიდევ ბევრი მომხრე ჰყავს.

გაითვალისწინებს თუ არა ოფიციალური მოსკოვი ამ მოსაზრებას, უცნობია. თუმცა ცნობილია ის, რომ კრემლის მავზოლეუმისა და სასაფლაოს გადატანის თაობაზე საუბრები მოსკოვში უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს.

ჯერ კიდევ 2012 წელს რუსეთის პრემიერი დიმიტრი მედვედევი ამბობდა, რომ სანამ სტალინის ნეშტის გადასვენების გადაწყვეტილებას მიიღებენ, ძალიან ბევრი ნიუანსის გათვალისწინება უნდა მოხდეს.

საქართველოში სტალინის სამშობლოში შესაძლო გადასვენების თაობაზე ინფორმაცია არ აქვთ. ამ საკითხს არასერიოზულს უწოდებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი სესიაშვილი. უმრავლესობის კიდევ ერთი წევრი თამაზ მეჭიაური ამბობს, რომ საკითხი მართლაც რომ დადგეს, ის საზოგადოების მონაწილეობის გარეშე ვერ გადაწყდება.

– პირველად მესმის და ამ პარტიასაც არ ვიცნობ. საკითხი მართლაც რომ დადგეს, ეს ისეთი თემაა, რომელსაც პიროვნულად ვერავინ გადაწყვეტს. ეს უნდა გახდეს საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი, – განაცხადა უმრავლესობის წევრმა.

იოსებ სტალინი 1956 წლის 5 მარტს გარდაიცვალა. მისი ცხედარი 8 წლის განმავლობაში კრემლის მავზოლეუმში იყო დასვენებული, თუმცა მოგვიანებით სსრკ-ს მთავრობამ მისი დაკრძლვის გადაწყვეტილება მიიღო. ამჟამად სტალინის საფლავი მოსკოვის ცენტრში, კრემლის მავზოლეუმის ეზოშია. (timepress.net)

## ნადეჟდა სავჩენკომ სასამართლოს შუა თითი უჩვენა და რუსეთს „მაიდანს“ დაჰპირდა



უკრაინელმა მფრინავმა ნადეჟდა სავჩენკომ რუსულ სასამართლოს შუა თითი უჩვენა და საბოლოო სიტყვაში თქვა, რომ მაიდანი რუსეთშიც იქნება.

– მაიდანი რუსეთში იქნება! მე მინდა, ჩემი მაგალითით ვაჩვენო, რომ რუსეთში ტოტალური რეჟიმი შეიძლება მოიგრიხოს ვერძის რქასავით. თქვენ გინდოდათ ბოლო სიტყვა? აი, ჩემი ბოლო სიტყვა! – თქვა სავჩენკომ და სასამართლოს შუა თითი უჩვენა. (medianews.ge)

ნინო ლაზარტყაა
571 99-92-33





# სინამდვილეში რას მიიღებს მოსახლეობა ვიზალიბერალიზაციით? რა ელით ევროპაში მყოფ ქართველ არალეგალებს? რას ვერ გაართვა თავი თსუ-ს რექტორმა ლადო პაპავამ?

**„ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრა:**

**— ვიზალიბერალიზაციაზე არაერთხელ გვისაუბრია. გვპირდებიან, ზაფხულში უვიზოდ ივლითო. ხომ არ შეიცვლება რამე?**

– ევროკავშირი კონსერვატიული ორგანიზაციაა, ის არ ცვლის ყოველთვე თავის მიდგომებს, მაგრამ აქ მთავარი რა არის: ჩვენთან საზოგადოება ეიფორიამ მოიცვა. ქსენია დიასახლისმა იფიქრა, ვაიმე, გავკეთდი, ჩავალ ევროპაში, სამსახური მექნება, აღარ დამჭირდება ვილაცისთვის ქრთამის მიცემაო, მაგრამ უკვე გაირკვა, რომ, პრაქტიკულად, ეს ვიზალიბერალიზაცია ქართველ მოქალაქეს გაცილებით ნაკლებ უფლებებს აძლევს, ვიდრე სირიიდან და ერაყიდან ჩასულ ლტოლვილს: ჯერ ერთი, თქვენ იგივე საბუთები გჭირდებათ აქ, რაც ვიზის აღების დროს გჭირდებოდათ, ერთადერთი, რასაც გადაურჩებით, რიგში დგომაა. ამასთანავე, მესაზღვრე ოფიცერს სრული უფლება აქვს, თავის შეხედულებებისამებრ გადაწყვიტოს ვიზის მოცემა-არმოცემის საკითხი. მაგალითად, შემოგხედათ და თქვენი ვარცხნილობა არ მოეწონა, აქვს უფლება, მოგთხოვოთ ყველა ის საბუთი, რაც თქვენ აქ, თბილისში, საელჩოში უნდა წარგედგინათ და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გამოგაბრუნებთ უკან, დაკარგავთ ბილეთის ფულს, საგზურს და მორჩა. თუ დაარღვიეთ, ხომ მთლად უარესი – 5 წელი ფეხი უნდა ამოიკვეთოთ იქიდან. უვიზო მიმოსვლასთან ამ ყველაფერს ისეთივე კავშირი აქვს, როგორც ჩვენს მინისტრებს თავიანთი ცოდნა-განათლებით ევროპელ მინისტრებთან. პირდაპირ ვთქვათ: ეს ყველაფერი არის მხოლოდ მდიდრებისთვის, ვინც იქ სასეირნოდ მიდის, ორივე ჯიბე ევროებით აქვს გატენილი, ხოლო იმ რიგით მოქალაქეებს, ვინც დღეს ლოზუნგებით გამოდის ამ ყველაფრის მხარდასაჭერად და უხარიათ, არ აქვთ არც სწავლის, არც სამსახურის უფლება, მკურნალობისთვისაც კი არავითარი დიდი შეღავათები ამ მხრივ არ კეთდება.

**— როგორც მახსოვს, ჩვენს ხელისუფლებას უვიზო მიმოსვლის ამოქმედებისთანავე ევროპის ქვეყნებიდან ჩვენი არალეგალების საქართველოში ჩამოყვანა დაევალა. ეს როგორ უნდა გაკეთდეს?**

– მე ერთი რამე ვიცი: რამდენიმე ათასი, შეიძლება ათეული ათასი ადამიანი 90-იან წლებში არის წასული ლტოლვილის ყალბი საბუთებით. გასულ წელს გამოცხადდა – თუ ყველა ის ადამიანი, ვინც ყალბი საბუთით არის წასული, 1-ელ იანვრამდე თავისით დაბრუნდებოდა აქ, მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრებოდა, ოღონდ ისევ უკან ველარ წავიდოდნენ. არც ერთი არ ჩამოსულა და მათ მიმართ უკვე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ჩვენი ხელისუფლებაც ცოტა ეშმაკობს: ვის აწყობს რამდენიმე ათასი იქიდან ძალად გამოყრილი ადამიანი? არადა, ეს ვალდებულება გვაქვს, უკანონო მიგრანტები, რომლებიც გამოვლინდებიან და ვისი იდენტიფიცირებაც მოხდება, შენ თვითონ უნდა წამოიყვანო. კიდევ არის ბევრი სხვა ვალდებულება, რომელთა ნაწილიც ჯერჯერობით არ ხმოვანდება და მათ შორის ყველაზე სერიოზული არის, რასაც უარყოფენ, მაგრამ თანდართულ დოკუმენტებში ზოგან სქოლიოს სახით, მიჩუმათებულად წერია – სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვა. შემთხვევით კი არ იყო ერთსქესიანთა ქორწინების თემა შემოგდებული?

**— ქორწინების შესახებ კონსტიტუციაში განმარტების ჩაწერას „რესპუბლიკელები“ გაემიჯნენ — ეს კოდექსში ისედაც წერიაო. თქვენი აზრით, რეალური მიზეზი რა შეიძლება იყოს, რატომ გაემიჯნენ?**

– იცით, რა არის? ჯერ კიდევ ძველი რომიდან მოდის ასეთი პასაჟი: პოლიტიკური ძალა, რომელსაც შიგნით თავის მოსახლეობაზე გავლენა არ აქვს, ყოველთვის ორიენტაციას იღებს გარედან გავლენაზე და დახმარებაზე. ერთადერთი, რაშიც მეჭიაურს ვეთანხმები, ესაა: როცა „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტს პირდაპირ ჰკითხა: რა უმცირესობა, უმრავლესობის უფლებებია დასაცავიო. „რესპუბლიკელებს“ სხვა არაფერი დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ ევროპელებზე უფრო მეტად ევროპელები იყვნენ მათ თვალში, ოღონდ ევროპელები იყვნენ არა იმაში, რომ არჩევნებში არ ჩაერიონ უკანონოდ, ნეპოტიზმი, ძმაკაცობა არ იყოს და იყოს ნამდვილი ევროპული ფასეულობები და ღირებულებები. ევროპელობა მარტო ის არის, პედერასტებს აღლუმებზე ყვავილები რომ მიუტანე და ტაში დაუკარი? ამიტომ ქორწინების განმარტება კონსტიტუციაში აუცილებლად უნდა ჩაიწეროს. „რესპუბლიკელების“ მავნე ცუღლუტობა ისაა, რომ თურმე, აღნიშნულ ინიციატივას არსში კი ეთანხმებიან, მაგრამ ფორმაში სტილისტიკას უწუნებენ. ამათ უნდათ, როგორმე გააჭიანურონ ეს საქმე.

**„არის ბევრი სხვა ვალდებულება, რომელთა ნაწილიც ჯერჯერობით არ ხმოვანდება და მათ შორის ყველაზე სერიოზული არის, რასაც უარყოფენ, მაგრამ თანდართულ დოკუმენტებში ზოგან სქოლიოს სახით, მიჩუმათებულად წერია — სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვა. შემთხვევით კი არ იყო ერთსქესიანთა ქორწინების თემა შემოგდებული?“**

**— თსუ-ში სტუდენტები კანცლერის პოსტზე გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის მოხსნას ითხოვენ. ვითარება საკმაოდ დაძაბულია მას საკაშვილის დროს სტუდენტების მიმართ ძალადობაში ადანაშაულებენ. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, რა ხდება სინამდვილეში?**

– სხვათა შორის, მე გუშინწინ დამიკავშირდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები და მთხოვეს, მოდიო, მაგრამ უარი ვთქვი. ძალიან დიდი პიროვნული პატივისცემა მაქვს ლადო პაპავასადმი, ბრწყინვალე მეცნიერია, მაგრამ იმ კლანურ სისტემასა და ნეპოტიზმს, რომელიც უნივერსიტეტშია აყვავებული, ვერ გაართვა თავი, როგორც მენეჯერმა. უნივერსიტეტი არც რექტორისთვისაა, არც კანცლერისთვის და არც ორწიგნწაუკითხავი პროფესორებისთვის, უნივერსიტეტი ყველგან არის სტუდენტებისთვის. საფრანგეთში სტუდენტებმა ლამის დე გოლი გადააყენეს და გაფრინდაშვილი რა გახდა, ბოლოს და ბოლოს? მე არ ვიცნობ მას, მაგრამ სტუდენტები მას არ ენდობიან, ნდობა კი მთავარი ფაქტორია. ეს საკითხი სენატმა უნდა გადაწყვიტოსო, არ ენდობიან სტუდენტები ამ სენატს და როგორ უნდა გადაწყვიტოს? მე მითხრეს (არ ვიცი, რამდენად მართალია ეს), რომ გაფრინდაშვილს არაფორმალური კავშირი ჰქონდა უშიშროებასთან და ეს კიდევ უარესია. ჯობია, იმ კაცმა თქვას, ამა და ამ პერიოდში მართლაც ვიყავი ამის თანამშრომელი, ეს უკეთესია, ვიდრე ბრალს გდებდნენ იმაში, რომ ჩუმად თანამშრომლობდი. შეიძლება მაინც დანიშნონ ის კაცი, მაგრამ რა ფასი ექნება ამას? თუ ლადო ამას მხარს უჭერს, რაც მე არა მგონია, მაშინ ის დიდ ნაღმს იდებს თავის კაბინეტში და ადრე თუ გვიან ეს ნაღმი აფეთქდება.

**— „ნაციონალურმა მოძრაობის“ დეპუტატებმა ნადეჟდა სავჩენკოს განთავისუფლების მხარდამჭერი მიმართვა შეიმუშავა. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ზვიად კვაჭანტირაძემ განაცხადა, ეს „ნაცმოძრაობის“ მიმართვაა და ხელს არ მოვაწერო. ეს სიჯიუტე ვერ გავიგე... თუ „ნაცმოძრაობა“ ასეთი მიუღებელია კვაჭანტირაძისთვის, ამდენი ხანი ხომ კარგად ზის მათთან ერთად პარლამენტში, იმ ადამიანებთან ერთად, ვის გასამართლებასაც ხალხი ითხოვდა?**

– კვაჭანტირაძე არ ყოფილა დიპლომატი. აქ კონკრეტული ადამიანის ბედი წყდება. საერთოდ, ჩემი აზრით, საქართველოდან წასული ეს შუამდგომლობა უფრო დაამძიმებს იმ ქალის ბედს და თანაც უკვე ჩანს იმის პირობები, რომ ცოტა ხანში მოხდება სამხედრო ტყვეებზე მისი გაცვლა, პოროშენკომ უკვე განაცხადა ეს. „ნაცებიც“ პოლიტიკაა და „ოცნებაც“, იმ ქალის ბედი კი არავის ადარდებს, თუ სიმართლე გინდათ. ვერ დავიჯერებ იმას, რომ ჩვენს პარლამენტარებს, რომლებსაც აბსოლუტურად არ ადარდებთ ჩვენი დამშეული ხალხის ბედი, ადარდებთ უკრაინელი ქალის ბედი, რომელიც მართლაც გმირია და უკრაინელების ჟანა დ'არკია. ევროკავშირმა და სახელმწიფო დეპარტამენტმა მოსთხოვა რუსეთს სავჩენკოს განთავისუფლება, ეს ქალი ევროპარლამენტის დეპუტატია და რუსეთმა, ბოდიში თქვენთან, ფეხებზე დაიკიდა ერთიც და მეორეც. ახლა საქართველოს პარლამენტის მოთხოვნა შეუმსუბუქებს რაღაცას იმ ქალს? ზღაპარია. გაუუარესებს. კი, მაგრამ რუსეთის გინებაში რომ ამოსდით და ჩასდით სული ამ „ნაციონალებს“, აქამდე ვერ შეისწავლეს პუტინის ფსიქიკა? ადგება და ჯინაზე არ მიაქცევს ყურადღებას ამ მიმართვას. საქმე მიდის იქითკენ, რომ მოხდება სავჩენკოს ტყვეებში გაცვლა და ჯობია, არავინ არ ჩაერიოს ამაში, რომ პუტინს, მისი ფსიქიკიდან გამომდინარე, უფრო უარესი არ გააკეთებინონ.

**— ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ პარლამენტს ანგარიში ჩააბარა, თუმცა გაურკვეველი დარჩა, რატომ გაასაიდუმლოვა „გაზპრომთან“ მოლაპარაკების საკითხი. რატომ, როგორ ფიქრობთ?**

– არ ვარ ჩახედული ამ საკითხში, მაგრამ ერთი რამ შემიძლია ვთქვა: ყველაფერი ეს, როგორც ჩანს, საქართველოსთვის კარგად მთავრდება. რატომ იყო ჩუმად? ამაზე შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო კალაძისა და ხელისუფლების შეცდომა, მაგრამ ამ შეცდომის გაგებაც შეიძლება: თქვენ წარმოიდგინეთ, წინასწარ რომ ეთქვა კალაძეს, მე მივდივარ, „გაზპრომთან“ მოლაპარაკება უნდა დავიწყოო, „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე დღეს ცოცხალ ჯაჭვს გააკეთებდა აეროპორტში, რომ კალაძე თვითმფრინავში არ ჩამჯდარიყო. მეორე მხრივ, რომ არა ეს სკანდალი, ეს ხმაური, აზერბაიჯანი სულაც არ იყო განწყობილი დათმობებზე წასასვლელად. საბოლოო ჯამში, გამოგვივიდა ასე – მოლამ ულელი გადააგდო და კურდღელი მოკლაო, რადგან მე შორს ვარ იმ აზრისგან, ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელიც გაუგებრობის ნაყოფია – გათვლილი ჰქონოდა: მოდი, ჩვენ ავწევთ ახლა ხმაურს, ამაზე „ნაციონალებიც“ ხმაურს დაიწყებენ, ბაქოს შეეშინდება რუსეთი შემოდისო და იფიქრებს, მოდი, ახლა დავთმოთ, რომ რუსეთისკენ არ წავიდეთო და მინისტრმა ამ „ფიქრების“ შედეგად დაასკვნა, – ამით საქართველო იხეირებსო... კალაძემ უკვე თქვა – უფრო მეტ გაზს მივიღებთ უფრო იაფადო, მაშინ მებადება აზრი: თუ უფრო მეტს იღებ და იაფად, ეგებ, ჩვენც, მოსახლეობას, გაგვიიაფდეს ცოტა ტარიფი? მაშინ დავრწმუნდები მე, რომ კალაძე და მთავრობა ხალხზე ფიქრობს.

## „ერთსქესიანთა ქორწინების მხარდამჭერები გამოიკვეთნენ“



„დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ახვლედიანის განცხადებით, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, ერთსქესიანთა ქორწინების მხარდამჭერი პარტიები გამოიკვეთნენ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. მისი თქმით, სჯობს, ყველაფერს თავისი სახელი ერქვას და საზოგადოებამაც ზუსტად იცოდეს, ვის რა პოზიცია აქვს ამ ერთ-ერთ ყველაზე სენსიტიურ თემაზე ჩვენს ქვეყანაში.

– სამწუხაროა, მაგრამ უკვე ნათელია, რომ ეს პარლამენტი ცვლილებებს ვერ განახორციელებს და კონსტიტუციაში ქორწინების განსაზღვრებას ქალისა და მამაკაცის ცნება ვერ დაემატება, რადგან ქართული პოლიტიკის ლიბერტალიანელები – „რესპუბლიკელები“ და „ნაციონალები“ ამ ინიციატივის მხარდაჭერას არ აპირებენ იმ მოტივით, რომ თურმე ეს საკითხი აქტუალური არაა. ერთადერთი, რაც მე-8 მოწვევის პარლამენტს შეუძლია, გააკეთოს, ესაა საკითხის ინიცირება, საჯარო განხილვის მოწყობა და კენჭისყრისთვის მომზადება, – აცხადებს გიორგი ახვლედიანი.

მისი თქმით, კენჭისყრა უკვე მომავალ პარლამენტში უნდა მოხდეს, სადაც იმედია, 114 დეპუტატის მოძებნა, რომელიც ქართული ცხოვრების წესის კონსტიტუციით დაცვის მომხრეა, არ გაჭირდება. (pia.ge)

## სანიკიძის განცხადებით, მასწავლებელთა 83 პროცენტის ჩაჭრა გამოცდებზე „არც ისე სავალალოა“



– რა თქმა უნდა, შედეგები ნამდვილად არ არის სახარბიელო, მაგრამ ამ ეტაპზე უკეთესის მოლოდინი ნამდვილად არ იყო, – ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ განაცხადა. სანიკიძის თქმით, მსგავსი პრობლემა წინა წლებშიც იყო და ამიტომ სახელმწიფომ შექმნა ახალი სისტემა, რომლის ფარგლებშიც ყველა მასწავლებელს თანაბრად ექნება საშუალება, გადამზადება გაიაროს.

– ეს სისტემა ამოქმედდა 2015 წლის სექტემბრიდან. პირველად სისტემის ფარგლებში 2016 წლის ზამთარში ტესტირება ჩატარდა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ტესტის ჩაბარების უფლება მასწავლებელს აქვს კიდევ სამი წლის განმავლობაში და წელიწადში ორჯერ, გადამზადების კვალდაკვალ ისინი შეძლებენ, ჩააბარონ საგნობრივი ტესტი. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ჩვენ დაწვრილებით გავიარეთ შედეგები, და არის საკმაოდ დიდი რაოდენობა მასწავლებლებისა, რომლებსაც დააკლდათ ნახევარი, 1 ქულა, 2 ქულა, რომლებიც არიან პოტენციურად იგივე შემდეგ საგამოცდო სეზონზე გამოცდის ჩამბარებლები, ამიტომ მდგომარეობა სახარბიელო არ არის, მაგრამ არც ისე სავალალო მდგომარეობაში ვართ, – აღნიშნა თამარ სანიკიძემ. (ipress.ge)

# ერდოღანის მეუღლემ ჰარამხანას ცხოვრების სკოლა უწოდა



თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეპ ტაიპ ერდოღანის მეუღლემ ემინე ერდოღანმა სოციალურ ქსელებში ემოციების ქარიშხალი გამოიწვია მას შემდეგ, რაც განაცხადა, რომ დადებითად უყურებს ოსმალეთის დროს არსებულ ჰარამხანებს.

ანკარაში, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას ემინე ერდოღანმა განაცხადა, რომ ოსმალეთის იმპერიის დროის ჰარამხანებზე დადებით წარმოდგენა აქვს.

– ჰარამხანა ოსმალეთის დინასტიის წევრებისთვის სასწავლო დაწესებულება იყო, რომელიც ქალებს ცხოვრებისთვის ამზადებდა, – განაცხადა ემინე ერდოღანმა.

პირველი ლედის ამ კომენტარმა თურქეთში სოციალური ქსელების მრავალი მომხმარებლის ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. როგორც ბრიტანული The Guardian წერს, ასეთი განცხადების შემდეგ ასობით ქალი პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოვიდა. (postalioni.com)

# მიმართა თუ არა, ლესბოსელმა წყვილმა იუსტიციის სახლს დაქორწინების თხოვნით



მმართველი გუნდის მხრიდან ოჯახის შესახებ საკონსტიტუციო ჩანაწერის გაკეთების ინიციატივის გაჟღერების შემდეგ, ერთსქესიანი ადამიანების ქორწინების თემა ისევ აქტუალური გახდა.

სოციალური ქსელის ჯგუფებში განიხილება ისტორია, რომლის თანახმადაც იუსტიციის სახლს დაქორწინების თხოვნით ლესბოსელმა წყვილმა მიმართა.

როგორც იუსტიციის სახლის მარკეტინგული კომუნიკაციების და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა განმარტა, მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა და გავრცელებული ინფორმაცია, უბრალოდ, ჭორია.

– ასეთი შემთხვევა იუსტიციის სახლში არ დაფიქსირებულა. არც ერთ ჩვენს ოპერატორს ასეთი ტიპის წყვილი არ მიულია, მათთვის მსგავსი თხოვნით არავის მიუმართავს, – განაცხადა იუსტიციის სახლის მარკეტინგული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ანი გიგინეიშვილმა. (plus.kvira.ge)

# კახა კუკავა: „იგეგმება, როგორ უნდა გამოაჩინონ ივანიშვილი არჩევნების წინ“

## რას აპირებენ პიარტექნოლოგები ბიძინა ივანიშვილის „გასათეთრებლად“?




ნინო სამხარაძე
599 71-14-22




„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან გადაყლაპა არასაპარლამენტო ოპოზიცია და დღეს, დომინანტი მხოლოდ „ქართული ოცნებაა“, რომელმაც ხალხს თავი მოაბეზრა. არავინ არ ფიქრობს ხელისუფლებაში რიგითი მოქალაქეების პრობლემებზე, უმრავლესობიდან ვერავისგან მოისმენ ხალხის გასაჭირზე საუბარს. მმართველმა გუნდმა ახლა მოინდომა ყველა სოციალური და ეკონომიკური საკითხის გადაფარვა, საკონსტიტუციო ცვლილებით – ოჯახი არის ქალის და მამაკაცის ერთობა და ამ ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინება არ დაკანონდება (კიდევ კარგი). ესეც გათვლილია ტრადიციული ქართველი ამომრჩევლის ემოციაზე, თუმცა ამ ბატონებმა ისიც უნდა იცოდნენ, რომ რეგიონებში მოსახლეობა ისეთ მძიმე და გაუსაძლის მდგომარეობაშია, მათ სულ არ აინტერესებთ, თბილისში რომელი კაცი რომელ მამრს დააორსულებს, ნარგიზა ნაირას მოიყვანს ცოლად, თუ სხვას.

პოლიტიკურად ყველაზე მძიმე მდგომარეობაში დღეს ის არასაპარლამენტო ოპოზიციაა, რომელიც წლების, გამოცდილების, კისრისტეხის მიუხედავად, მაინც ვერ ახერხებს ერთ პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანებას და ერთიანი სიით არჩევნებზე გასვლას.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა გამოდის ინიციატივით და არასაპარლამენტო ოპოზიციას მოუწოდებს, საარჩევნო ბლოკად ჩამოყალიბდეს, სხვა შემთხვევაში, თითოეული მათგანი დამარცხდება ხელისუფლებასთან ბრძოლაში.

**„ალიას“ კახა კუკავა ესაუბრა:**

– გაერთიანება ერთადერთი სწორი იდეაა არჩევნების წინ, თუმცა ბევრი საუბრობს გაერთიანებაზე და რეალურად, ამ ერთობისთვის ისინი მზად არ არიან. როგორც ვიცი, ნინო ბურჯანაძემ გამორიცხა ყველანაირი ტიპის ერთობა, ისევე, როგორც ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ არ აპირებს საარჩევნო ბლოკის შეკვრას რომელიმე პოლიტიკურ სუბიექტთან. რაც შეეხება „პატრიოტთა ალიანსს“, მათ ჯერჯერობით ამ საკითხზე ზოგადი განაცხადი გააკეთეს, ხოლო ჩვენ, „თავისუფალი საქართველო“, ოფიციალურად ვაცხადებთ, მზად ვართ, შევკრათ საარჩევნო ბლოკი ნებისმიერ ძირითად ოპოზიციურ პარტიასთან და მოვილაპარაკოთ როგორც ერთიან პარტიულ სიაზე, ასევე მაჟორიტარ კანდიდატებზე.

**— რომელიმე პარტიისგან მიიღეთ თანხმობა?**

– ჯერჯერობით კონკრეტული თანხმობა არც ერთი პოლიტიკური პარტიისგან არ მიგვიღია, ზოგიერთი ყოყმანობს, ელოდება რაღაც დეტალების გარკვევას. დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ „თავისუფალი საქართველოს“ გარდა, ამ ეტაპზე რომელიმე სხვა პოლიტიკური ძალა ერთიანობისთვის მზად არ არის. საარჩევნო ბლოკი რომ შედგეს, მინიმუმ ორი სუბიექტის თანხმობაა საჭირო, ველოდები, ვინ მიიღებს ჩვენს წინადადებას.

**— „პატრიოტთა ალიანსის“ გარშემო რომ გაერთიანდეთ და თქვენ არ იყოთ ინიციატორი საარჩევნო ბლოკის, არ წახვალთ ამ შემოთავაზებაზე?**

– რატომაც არ წავალ, მაგრამ მათ ზოგადი მიმართვა გააკეთეს. მე არა მაქვს პრეტენზია, ვიყო დომინანტი ამ საკითხში, და თუკი დიდ ოპოზიციურ გაერთიანებაზე იქნება საუბარი, იქ ვერც ერთი პარტია დომინანტი ვერ იქნება, რადგან მხოლოდ რამდენიმე პარტიაა, რომელსაც თანაბარი რეიტინგი აქვს.

ალასანია რომ არ გაერთიანდება ბურჯანაძესთან და პირიქით, ეს ფაქტია, იგივე შეიძლება ითქვას „ლეიბორისტებზე“. თუ ჩვენ ვსაუბრობთ, რომ ერთიანი სიით დავუპირისპირდეთ „ოცნებას“, მაშინ უნდა გვესმოდეს, რომ ეს უნდა იყოს მეტნაკლებად პარიტეტზე დაფუძნებული საარჩევნო ბლოკი. არ არის გამოკვეთილი ჩვენში ქარიზმატული ლიდერი, როგორიც იყო – ზვიად გამსახურდია, მიხეილ სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი, ოპოზიციას რომ ჰყავდეს ივანიშვილის მსგავსი ლიდერი, დამიჯერეთ, ამდენი ხვეწნა-მუდარა აღარ იქნებოდა საჭირო ერთიან საარჩევნო ბლოკზე, თავისთავად მოხდებოდა გაერთიანება.

როცა ივანიშვილი გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე, იგი კარს არავის უმტვრევდა, პირიქით, ივანიშვილის კართან იდგა რიგები, ოღონდაც მის კოალიციაში აღმოჩენილიყვნენ და რადგან ასეთი ტიპის ლიდერი ჩვენ არ გვყავს, ამიტომ უნდა წავიდეთ მეორე გზით.

**— პოლიტიკურმა წარსულმა დაამტკიცა, რომ პოლიტიკურ ლიდერებს ამბიციები ტვინში ურტყამთ და ისინი ხშირად რეალობას აცდენილები არიან. შესაბამისად, პარიტეტული გაერთიანება როგორ წარმოგიდგენიათ?**

– გეთანხმებით, რომ პოლიტიკოსებში ამბიციები სჭარბობს, რის გამოც ისინი რეალობისგან შორს არიან და პოლიტიკურ სვლებში აგებენ. არ დაგიმალავთ და ინტენსიური მოლაპარაკებები მაქვს პარტიებთან, ვისთან ჯერ ვერ დავაკონკრეტებ და მარტის ბოლოს ეს საკითხი კონკრეტულ სახეს მიიღებს. პარტიებმა უნდა იცოდნენ, რომ დღეს საზოგადოებაში არის მოთხოვნილება ნამდვილ ოპოზიციურ გაერთიანებაზე. ყველაფერი უკან დაგვრჩება, თუ საარჩევნო ბლოკი არ შეიქმნა, რადგან „ქართულ ოცნებას“ დღეს აქვს დიდი უპირატესობა ნებისმიერ პარტიასთან შედარებით, ეს რეალობაა. თუ არ მოხდება ოპოზიციური გაერთიანება, მერწმუნეთ, რომ ამ ბრძოლაში ხელისუფლება დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს. დღეს საკითხი ასე დგას, რა გვირჩევნია, ცალ-ცალკე დავრჩეთ და წავაგოთ არჩევნები, თუ ერთად დავდგეთ და დავამარცხოთ ხელისუფლება.

**— როგორ აფასებთ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირებას? ფაქტობრივად, ხელოვნურ სუნთქვაზეა „ქართული ოცნების“ ხელისუფლება და არის ინფორმაცია, რომ არჩევნების წინ საბოლოოდ გაფორმდება მათი დაშლა და ცალ-ცალკე გავლენ არჩევნებზე. შესაძლოა, ეს „რესპუბლიკელების“ შესაშინებელი ინფორმაციაც იყოს, რომ მადა შეიმცირონ. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?**

– მე ვფიქრობ, რომ იქ მიმდინარეობს კვოტებით ვაჭრობა. „რესპუბლიკელები“, როგორც ჩემთვის ცნობილია, მანდატების 25%-ს ითხოვდნენ, რაზეც მიიღეს უარი და ამან გამოიწვია კონფლიქტი. რაც შეეხება სხვა თემებს, ეს არის საზოგადოებისთვის შეჩეჩებული ტყუილი, რეალურად, მერწმუნეთ, რომ ისინი ძალაუფლებისთვის იბრძვიან. კოალიცია რეალურად დაშლილია, დიახ, ხელოვნურ სუნთქვაზეა გადაყვანილი. ყველანაირად ცდილობენ, მოჩვენებითი ერთიანობა შეინარჩუნონ, ეს ყველაფერი მაგონებს იმას, როცა ალიევი გარდაიცვალა, ორი კვირა მაცივარში ინახავდნენ, რადგან მისი შვილი უნდა დაენიშნათ და ალიევის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის გამოცხადება არ შეიძლებოდა, რომ სიტუაცია არ არეულიყო და ვიღაცას არ ესარგებლა. დღესაც ასეთი მდგომარეობაა, კოალიცია „ქართული ოცნება“ მკვდარია და მაცივარში ინახავენ არჩევნებამდე, რადგან ამით სხვებმა არ ისარგებლონ. ხომ ხედავთ, ბიძინა ივანიშვილი არ აკეთებს განცხადებებს მიმდინარე საკითხებზე. იცით, რატომ? მათ დაქირავებული ჰყავთ სხვადასხვა პიარკომპანიები, მათ შორის უცხოური და მათი ინსტრუქციით მოქმედებენ. იგეგმება, როგორ უნდა გამოაჩინონ ივანიშვილი არჩევნების წინ. ეს არ იქნება ადვილი საქმე, რადგან მისი დაპირებების უმრავლესობა არ შესრულებულა, მან მოატყუა საქართველოს მოსახლეობა, ამიტომაც პიარტექნოლოგები გეგმავენ, როგორ შეიძლება მისი პოზიტიურად წარმოჩენა. მას შემდეგ, როცა გაირკვა, რომ ივანიშვილი არ აპირებს თავისი ფულის დახარჯვას სოციალური ვალდებულებების შესრულებაზე, ეკონომიკაზე, როგორ უნდა დაუმტკიცონ ამომრჩევლებს, რატომ მოატყუა ივანიშვილმა ხალხი და შავზე როგორ თქვან, რომ თეთრია.

**— მოხდება თუ არა არჩევნების წინ „სისხლის გადასხმა“ და მინისტრთა კაბინეტის ცვლა, პრემიერმა გუბერნატორებით დაიწყო და როგორ ფიქრობთ, ამ საკადრო რეფორმაში მინისტრებიც მოყვებიან?**

– დიდი მნიშვნელობა არა აქვს, შეიცვლებიან თუ არა მინისტრები, რადგან მათი პოლიტიკა არ იცვლება, გადაჭარბებული მოლოდინი იყო პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილის მიმართ, აშკარაა, რომ პრემიერ-მინისტრი ვერ გამოვიდა ივანიშვილის ჩრდილიდან, დღემდე საქართველოს პრემიერ-მინისტრი მაინც ივანიშვილია, რეალურად კვირიკაშვილი ვერ იღებს გადაწყვეტილებებს. ამიტომაც ის მინისტრთა კაბინეტის შეცვლაზე დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, მთავარი იმედი, რაც ჩვენ გვქონდა, რომ დაიწყებოდა რეფორმები და შეიცვლებოდა კურსი, გამოვიდოდა კვირიკაშვილი ივანიშვილის ჩრდილიდან, ჩემი აზრით, ველარ მოხდება.

**„მას შემდეგ, როცა გაირკვა, რომ ივანიშვილი არ აპირებს თავისი ფულის დახარჯვას სოციალური ვალდებულებების შესრულებაზე, ეკონომიკაზე, როგორ უნდა დაუმტკიცონ ამომრჩევლებს, რატომ მოატყუა ივანიშვილმა ხალხი და შავზე როგორ თქვან, რომ თეთრია“**

# „საქართველო იმ ქვეყნების სიაში გადავა, რომელთა მოქალაქეებსაც ევროკავშირში ვიზიტისთვის ვიზა აღარ დასჭირდებათ“



– საქართველო იმ ქვეყნების სიაში გადავა, რომელთა მოქალაქეებსაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ვიზიტისთვის ვიზა აღარ დასჭირდებათ, – ამის შესახებ ევროკომისიის მიერ გავრცელებულ წინადადებაშია ნათქვამი, რომელიც ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ეს წინადადება ევროკომისიამ ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს წარუდგინა. საბოლოოდ, სწორედ ამ უწყებებმა უნდა მოახდინონ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭება.

სავიზო რეგულაციების შესახებ დოკუმენტი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ამოქმედდება მისი ძალაში შესვლისთანავე:

– საქართველომ მიაღწია ყველა იმ ნიშნულს, რაც ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაში იყო აღნიშნული და რომელიც საქართველოს მთავრობას 2013 წლის თებერვალში წარედგინა. საქართველო ასრულებს არსებულ კრიტერიუმებს იმისთვის, რომ საკუთარ მოქალაქეებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოგზაურობისთვის ვიზა არ დასჭირდეთ, – წერია დოკუმენტში.

ასევე, დოკუმენტში საუბარია იმაზე, რომ ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით შემუშავებულ რეგულაციაში არ მონაწილეობს დიდი ბრიტანეთი და ირლანდია და რეგულაცია ამოქმედდება ისლანდიაში, ლიხტენშტეინში, ნორვეგიასა და შვეიცარიაში.

გარდა ამისა, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ეს რეგულაცია დამტკიცების შემდეგ ძალაში შევა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს.

– რეგულაცია არის ევროკავშირის საერთო სავიზო პოლიტიკის ნაწილი, რომელიც 180-დღიან პერიოდში 90 დღით დარჩენას გულისხმობს, – წერია დოკუმენტში, რომელიც ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალის ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნდა. (ლიბერალი)

# ზურაბ აბაშიძე: არ გამოვრიცხავთ, წელს რუსეთთან სავიზო რეჟიმი მოიხსნას

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის თქმით, პრაღაში გრიგორი კარასინთან დაგეგმილი შეხვედრა 16 მარტს გაიმართება. აბაშიძემ განაცხადა, რომ შეხვედრაზე რუსეთთან სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე ისაუბრებენ.

– პირველი პირების შეხვედრასთან დაკავშირებით, რაიმე სიახლე არ არის. საუბარი გვექნება სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან დაკავშირებით, არ გამოვრიცხავთ, რომ წელს სავიზო რეჟიმი მოიხსნას, ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა თქვა, საგარეო უწყებამაც გააკეთა შესაბამისი კომენტარი, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ. (businesscontact.ge)

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „რესპუბლიკური პარტია“ არის სიმსივნე კოალიციაში!



„უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჟავანაძე კოალიციიდან „რესპუბლიკური პარტიის“ გასვლის აუცილებლობაზე საუბრობს.

როგორც მჟავანაძე აცხადებს, კონსტიტუციაში ოჯახის განმარტების განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით „რესპუბლიკური პარტიის“ პოზიცია ქვეყნის მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტის აზრს ეწინააღმდეგება:

– „რესპუბლიკური პარტია“ საუბრობს, რომ მათთვის ქორწინებასთან დაკავშირებით, საკმარისია სამოქალაქო კოდექსში არსებული ჩანაწერი, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ქვეყნის ძირითადი კანონი არის კონსტიტუცია. არის საფრთხე, ვინმემ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს სარჩელი, რომ სამოქალაქო კოდექსის ეს ჩანაწერი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს. რესპუბლიკური პარტია არის სიმსივნე კოალიციაში, რომელიც, თუ არ მოიკვეთა, კოალიციისთვის მომაკვდინებელ შედეგს გამოიწვევს. პარტია, რომელსაც ყველა სტრატეგიული, ეროვნული ცნობიერების კუთხით განსხვავებული პოზიციები აქვს, შეუძლებელია, დარჩეს კოალიციაში. თუკი ნება იქნება, შესაძლებელია, ეს საკონსტიტუციო ცვლილება არჩევნებამდე მოესწროს, – განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ. (რეპორტიორი)

ჰაიდელბერგცემენტი შპს
HEIDELBERGCEMENT „ჰაიდელბერგცემენტ კავკასუსი“

**აცხადებს ტენდერს** შემდეგი სახის მომსახურებაზე:

**კასპის და რუსთავის ცემენტის ქარხნების ტერიტორიიდან უზედამხედველო ცხოველების გაყვანა**

დაინტერესებულ პირებს ან კომპანიებს სატენდერო მასალების წაღება შეუძლიათ ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა 13.00-საათიდან 18.00 საათამდე, განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე: თბილისი, გ. ლორთქიფანიძის № 4, მე-5 სართული

ტელ: +995 32 247 47 47 (114)
+995 77 99 86 29

ელ. ფოსტა: David.merkviladze@heidelbergcement.ge

**დავით მერკვილაძე**

*სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2016 წლის 18 მარტამდე*



## იუნა შაფათავა ყოფილ ქმარზე კომენტარს აღარ გააკეთებს — „მე თქვენს აბსურდსა და რეიტინგს ვჭირდები“



მსახიობი და პიარმენეჯერი იუნა შაფათავა სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს. იუნა ყოფილი ქმრის თემით სპეკულირებას არ აპირებს და იგივეს ჟურნალისტებსაც ურჩევს.

– გუშინ მთელი დღე ტელეფონი არ გაჩერებულა, ყველა არხთან ერთი და იგივე კომენტარი გავაკეთე. დღეს დილიდან იგივე ხდება, თუმცა მე არ გიპასუხებთ. უკვე ვთქვი, რის თქმაც საჭიროდ ჩავთვალე. თქვენ ერთობით და თან რაღაც აბსურდული თეორიების მოძიებით, გამოძიებას უშლით! მე არ ვჭირდები გამოძიებას, მე თქვენს აბსურდსა და რეიტინგს ვჭირდები, დებილი „სექს ვამპირის“ და „კრიმინალის“ ტაბლოიდური ისტორიისთვის. არც მე ვარ ვირჯინია ჰილლი, არც ჩემი ყოფილი ქმარია ბაგსი სიგალი. არ ვაპირებ ამ თემით სპეკულირებას და არც თქვენ გირჩევთ. დამანებეთ თავი, – წერს იუნა შაფათავა.

ცნობისთვის, მსახიობის ყოფილი ქმარი პოლიტიკოს ალექსი პეტრიაშვილის დაჭრაშია ეჭვმიტანილი. (daijesti.pia.ge)

## 17 მარტს გაირკვევა, დარჩება თუ არა აბანოთუბანი აბანოების გარეშე



შპს „ბახმარო“, შპს „ჯორჯიან სპა“, შპს „შაკო“, შპს „ჭრელი აბანო“ და შპს „ნარიყალა“ თბილისის გოგირდის აბანოებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ.

განცხადებაში აღიშნულია, რომ თუ წყლის გადასახადის გადახდის წესი არ გადაიხედება, 17 მარტიდან აბანოების მუშაობა შეჩერდება.

მათი ინფორმაციით, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის მაქსიმალური ზღვარი გამოიყენა და აბანოებს დაღვრილი წყლის გატარება-გაწმენდის გადასახადი გაუათმაგა. (pia.ge)

# „ლიბერთი ბანკის“ ხელშეწყობით მუდმივმოქმედი „ნუმიზმატიკური საგანძურის“ გამოფენა გაიხსნა




**გამოფენა გახსნეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და „ლიბერთი ბანკის“ ფინანსურმა დირექტორმა დავით მელიქიძემ.**

„ნუმიზმატიკური საგანძურის“ ექსპოზიციით საზოგადოებამ გაიცნო საქართველოს ტერიტორიაზე ფულის მიმოქცევის ისტორია ძვ.წ. VI საუკუნიდან 1834 წლამდე.

გამოფენა პრემონეტარული ნივთების გაცნობით დაიწყო, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა წონისა და ზომის ბრინჯაოს მასიური რგოლები (ძვ.წ. I-II ათასწლეული), კაური (ინდოეთის ოკეანეში გავრცელებული მოლუსკის ნიჟარა) და შრომის სხვადასხვა იარაღი, რომლებიც უძველეს დროში საქონლის ღირებულების საზომად გამოიყენებოდა.

ექსპოზიციაზე, ასევე, წარმოდგენილი იყო კოლხური თეთრის იშვიათი ნიმუშები, კოლხეთის მეფის აკის სტატერი, ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების ადგილობრივი მინაბაძები, რომის პირველი იმპერატორის ოქტავიანე ავგუსტუსის დენარებისა და რომაული საიმპერატორო აურეუსების იბერიული იმიტაციები.

დამთვალიერებლისთვის პირველად გამოიფინა ქართულ-სასანური იშვიათი დრამები, ჯაფარიანების თბილური დირჰემები, ბაგრატიონების ბიზანტიური ტიტულიანი ვერცხლის ქართული საფასეები, დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა, რუსუდან დედოფლის უნიკალური დრამა, გიორგი IV ლაშას უნიკალური სპილენძის მონეტა, ყვარყვარე ათაბაგის, იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეების მონეტები.

– საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტები, რომლებიც 27 საუკუნეს ითვლის, ზუსტად ასახავს ქვეყნის იმდროინდელ კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც, დამეთანხმებით, მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა სახელმწიფოსთვის. რაღა თქმა უნდა, სს „ლიბერთი ბანკი“ მუდამ მზადაა, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ღონისძიებაში, – განაცხადა „ლიბერთი ბანკის“ ფინანსურმა დირექტორმა დავით მელიქიძემ.

ნუმიზმატიკის კაბინეტი საქართველოში პირველად ეროვნული მუზეუმის ეგიდით სვანეთის მუზეუმში გაიხსნა. ამჯერად კი, ასეთი ფართო მასშტაბით პირველად წარედგინა საზოგადოებას.



## რა ელით ევროკავშირის ქვეყნებში არალეგალურად მცხოვრებ ქართველებს უვიზო რეჟიმის პირობებში



9 მარტს ევროკომისიამ ოფიციალურ ვებ-გვერდზე ვიზალიბერალიზაციის საკითხზე ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა. პრესრელიზის თანახმად, მას შემდეგ, რაც ევროკავშირის საბჭო და ევროპარლამენტი აღნიშნულ საკანონმდებლო ინიციატივას დაამტკიცებენ, ბიომეტრიული პასპორტების მქონე საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლით 180 დღის განმავლობაში მაქსიმალური, 90 დღის ვადით ისარგებლებენ.

უვიზო რეჟიმი გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას.

საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები ინტერესდებიან, უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ ამოქმედდება თუ არა რაიმე განსაკუთრებული წესი საქართველოდან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არალეგალურად წასული ქართველებისთვის.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში განგვიმარტეს, არალეგალურად წასული ქართველებისთვის განსაკუთრებული წესი არ ამოქმედდება და ასეთი პირების არალეგალურად ყოფნის აღმოჩენის შემთხვევაში, ისინი გაძევებულ იქნებიან ქვეყნიდან და აეკრძალებათ შენგენის ტერიტორიაზე შესვლა უვიზო რეჟიმის მიუხედავად.

– უვიზო რეჟიმით სარგებლობას შეძლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ ბიომეტრიულ პასპორტს. უვიზო მიმოსვლის რეჟიმი გავრცელდება მხოლოდ მოკლევადიან ვიზიტებზე, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მოქალაქეს უფლება ექნება, დაჰყოს ევროკავშირის/შენგენის წევრი შესაბამისი ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში არაუმეტეს 90 დღისა. 90-დღიან პერიოდში შესაძლებელია მრავალჯერადი შესვლა ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ ვიზიტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს, ჯამში, 90 დღეს უკანასკნელი 180 დღის განმავლობაში. უვიზო მიმოსვლის რეჟიმი არ შეეხება გრძელვადიან ვიზიტებს, მაგალითად, უმაღლესი განათლების მიღების ან დასაქმების მიზნით.

ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ხანგრძლივი პერიოდით გამგზავრების სურვილის შემთხვევაში, ისევ იმოქმედებს სავიზო რეჟიმი და საქართველოს მოქალაქეებმა ვიზის მისაღებად უნდა მიმართონ საქართველოში აკრედიტებულ შესაბამისი ქვეყნის საკონსულოს. ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში ყოფნის 90 დღის (180 დღის განმავლობაში) ვადის გასვლამდე საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს შენგენის ტერიტორია. ამ ქვეყნებში 90 დღე გადაბმულად ყოფნის შემთხვევაში ხელახლა გამგზავრება შესაძლებელი იქნება შენგენის ზონის დატოვებიდან 90 დღის გასვლის შემდეგ.

90-დღიანი ვადის გადაცილების შემთხვევაში, ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე ყოფნა ჩაითვლება არალეგალურად. ასეთი პირი გაძევებული იქნება ქვეყნიდან და აეკრძალება ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლამდე ვადით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც უკვე იმყოფებიან არალეგალურად ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე, უვიზო მიმოსვლის რეჟიმით ვერ ისარგებლებენ და მათზე არავითარი განსაკუთრებული წესი არ გავრცელდება. ასეთი პირების არალეგალურად ყოფნის აღმოჩენის შემთხვევაში, ისინი გაძევებულ იქნებიან ქვეყნიდან და აეკრძალებათ შენგენის ტერიტორიაზე შესვლა უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მიუხედავად, – განმარტავენ საგარეო საქმეთა სამინისტროში. (ambebi.ge)

## საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა აზერბაიჯანია



საქსტატის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2015 წელს 1351 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 6 პროცენტით აღემატება 2014 წლის წინასწარ შედეგებს და 23 პროცენტით ნაკლებია ამავე წლის დაზუსტებულ მონაცემებზე.

საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა აზერბაიჯანია. 2015 წელს აზერბაიჯანიდან შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა, წინასწარი მონაცემებით, 542 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდზე თითქმის 200 მილიონი დოლარით გაზრდილი მაჩვენებელია. მეორე ადგილზეა გაერთიანებული სამეფო. საანგარიშო პერიოდში, გაერთიანებული სამეფოდან საქართველოში, 198 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. სამეულშია ნიდერლანდებიც, საიდანაც 111 მილიონის ინვესტიცია განხორციელდა. საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი კომპანიების ხუთეულშია ლუქსემბურგიც და თურქეთიც. ასევე ათეულში შედიან, თურქეთ, რუსეთი, ჩინეთი და ამერიკა.

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2015 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 63 პროცენტი შეადგინა. აზერბაიჯანის წილი მთლიან ინვესტიციებში 40 პროცენტია, გაერთიანებული სამეფოსი 15 პროცენტი, ხოლო ნიდერლანდების – 8 პროცენტი.

რაც შეეხება ინვესტიციების გადანაწილებას სექტორების მიხედვით, სამი უმსხვილესი სექტორის წილმა 2015 წელს 68 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა და 594 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 44 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობა 191 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე – დამამუშავებელი მრეწველობა 129 მლნ აშშ დოლარით. (businesscontact.ge)

## მაგდა პაპიძის დედა მოკლული სიძის დედას უპირისპირდება




მაგდა პაპიძის დედა ლია შამუგია მაგდას დედამთილის, ლილი მინდიკაურის ინტერვიუს სოციალურ ქსელში ეხმაურება და მას სიცრუის ტირაჟირებაში ადანაშაულებს.

– ლილი, იმედია, კითხულობ ჩემს სიტყვებს (ვსარგებლობ ჩემი შვილის „ფეისბუკით“), არ შემიძლია, არ გამოვეხმაურო ყველა შენს ინტერვიუს, სადაც უტიფრად ეხები ჩემს ოჯახს და გავიწყდება, სამწუხაროდ, ან განგებ ივიწყებ ჩემს დამოკიდებულებას ჩემი შვილიშვილების მიმართ! რა ნამუსით ლაპარაკობ ამხელა სიცრუეს მაშინ, როდესაც ძალიან კარგად იცი, როგორი ბებია ვიყავი თორნიკეს მიმართ და როგორი დედა ვარ დღემდე.

მგონი, ვხვდები, ამ ყველაფერს შენ რატომაც ლაპარაკობ ჩემი ოჯახის წინააღმდეგ. ამიტომ, მაგდას და ლანას დედა, თორნიკეს და ლიზის ბებო გიწვევ, სახალხოდ გაიმეორო ყველა ის სიტყვა, რაც გამოიყენე ინტერვიუებში ჩემი ოჯახის წინააღმდეგ!!! გაეცი ჩემს ყველა კითხ-



ვას პასუხი, არ გაინტერესებს, რას შეგეკითხები??

ყველა შენს ნალაპარაკებზე პასუხს გამცემ!!! შენს გულში ჩაიხედე, ლილი და ისე გაიმართლე თავი. რა ნამუსით ლაპარაკობ ამხელა სიცრუეს ჩემს ოჯახზე!! მგონი, გათავისებული არ გაქვს, რამხელა ტრაგედიასთან გვაქვს საქმე, ტყუილებისთვის გცხელა, სირცხვილი, ლილი, შენ, თუმცა მეტს რას უნდა მოველოდე ქალისგან, რომელსაც პირველივე სამძიმრის დღეს, ერთი ცრემლი არ ჩამოგიგდია, გაოგნებული გიყურებდი და ვერ ვხსნიდი შენს ასეთ საქციელს!

შორიდან, მაგრამ ყველაფერს ვადევნებ თვალს და ზუსტად შენმა ინტერვიუებმა ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი დასვა მომხდართან მიმართებაში! ამიტომ, სრული პასუხისმგებლობით გადავწყვიტე, ხალხის წინაშე გაიმეორო და პასუხი გამცე ყველა იმ შეურაცხყოფაზე, რაც პირადად მე და ჩემს ოჯახს მიგვაყენე!!! უკვე ძალიან კარგად ვხვდები ყველაფერს და გიპირისპირდები ნებისმიერ დროს!

შენ ძალიან კარგად იცი, როგორი გაზრდილი მყავს შვილები და შვილიშვილები!!! სიტყვა „ნაბოდვარი“ შენგან ხშირად გამიგია და ქუჩური ტერმინოლოგიით არ დავიწყებ შენს ინტერვიუებზე გამოკიდებას, მე თავმოყვარეობა მაქვს!! ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი კითხვა მაქვს პირადად შენთან მომხდარი ტრაგედიის ღამესთან დაკავშირებით!! ლია შამუგია, – წერს მაგდა პაპიძის დედა.

შეგახსენებთ, რომ მაგდა პაპიძის დედამთილმა, ლილი მინდიკაურმა ერთ-ერთ ტოქშოუში მკვლელობის ღამეზე ისაუბრა და პაპიძეების ურთიერთობა გაიხსენა. ლილი მინდიკაურის თქმით, დედა-შვილებს შორის არაჯანსაღი ურთიერობა იყო და ამის მოწმენი მეზობლებიც არიან. (pia.ge)

## „გავაკეთებთ მწვავე საგანგებო განცხადებას... პასუხისმგებლობას მხოლოდ კულტურის სამინისტროს არ ვაკისრებთ“



სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი ნიკოლოზ რაჭველი მისი და ორკესტრის სხვა მუსიკოსების სახელით სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“ განცხადებას ავრცელებს. ნიკოლოზ რაჭველი 21 მარტამდე კონკრეტულ კითხვებზე პასუხებს მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპერაში გალა კონცერტის დასრულებისას მწვავე საგანგებო განცხადების გაკეთებას აანონსებს.

– ჩემო ძვირფასო გულშემატკივრებო, მინდა იცოდეთ, რომ მე და საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის წევრები დღემდე ველით ძალზე მნიშვნელოვან პასუხებს:

1. ვახტანგ კახიძეს მივმართეთ სატელევიზიო ეთერის მეშვეობით, რომ თუ ის ჩემ მიმართ პირადი ანტიპათიის გამო არ აძლევს ეროვნულ ორკესტრს თბილისში არსებულ ერთადერთ სიმფონიურ დარბაზში კონცერტების ჩატარების საშუალებას (ცხადია, მანამდე ვიდრე ჩვენი შენობა გარემონტდება), მე მზად ვარ, აღნიშნულ დარბაზში თავად არ ვიდირიჟორო და მხოლოდ მოწვეული დირიჟორებით გამართოს ორკესტრმა სეზონური კონცერტები! ამით შესაძლოა, კომპრომისზე წავიდეს დარბაზის ადმინისტრაცია, ხოლო ეროვნული ორკესტრის განვითარებისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი პროცესისთვის, ისევე როგორც საპატიო სოლისტთა და დირიჟორთა მასპინძლობისთვის სიმფონიური მუსიკის დარბაზში დაკვრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია!!!

2. ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრის უკლებლივ ყველა თანამშრომელს გვაინტერესებს, სახელმწიფოს მესვეურები (მთავრობის წევრები, პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი, კულტურის მინისტრი) იზიარებენ თუ არა ვახტანგ კახიძის საჯაროდ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლის მიხედვითაც მას მიაჩნია, რომ თბილისის სიმფონიური მუსიკის ერთადერთი პროფესიული დარბაზი (რომელიც არ არის კერძო და არის სახელმწიფოს საკუთრება) სამუდამოდ უნდა იყოს დაკეტილი ეროვნული სიმფონიური ორკესტრისთვის.

იმედია, ამ ორ საკითხზე 21 მარტამდე მივიღებთ პასუხს, წინააღმდეგ შემთხვევაში 21 მარტს ოპერის თეატრში ჩვენი გალა კონცერტის დასრულებისას გავაკეთებთ საკმაოდ მწვავე საგანგებო განცხადებას შესაბამისი ქმედებების გათვალისწინებით!

P.S. პასუხისმგებლობას მხოლოდ კულტურის სამინისტროს არ ვაკისრებთ, ვინაიდან აღნიშნულ ინსტიტუციას, როგორც ჩანს, იურიდიულად არ ძალუძს საკითხის მოგვარება, ხოლო მინისტრის მიმართ პატივისცემა არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ ჩვენთან დაკავშირებული მისი არაერთი თხოვნა გაეთვალისწინებინა თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის ხელმძღვანელს... – წერს ნიკოლოზ რაჭველი.

ნიკოლოზ რაჭველის განცხადებას საკანონმდებლო ორგანოში გამოხმაურებები მოჰყვა. ზაზა პაპუაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ, თუ ეს არის პირადი ურთიერთობები, ურთიერთობა დარეგულირდება, ხოლო ელისო ჩაფიძე პრობლემას ადვილად მოსაგვარებელს უწოდებს და განათლების კომიტეტის ჩართვის აუცილებლობას ვერ ხედავს:

ზაზა პაპუაშვილი: „მე არ ვფიქრობ, რომ დაპირისპირებას ვინმემ ხელი უნდა შეუწყოს ან მხარეები გაჩნდნენ – მომხრეები თუ მოწინააღმდეგეები. ესეთი რაღაცა არ მსურს, თუმცა, თუ ეს პირადშია გადასული, შეძლებს, ალბათ, ორივე მხარე, რომ პირადი ურთიერთობა დაარეგულიროს“.

ელისო ჩაფიძე: „ვფიქრობ, ეს არის ადვილად მოსაგვარებელი პრობლემა და იმედი მაქვს, რომ კულტურის სამინისტრო გარკვეულწილად ამ თემებში გაერკვევა, მისცემს შეფასებას და არ მგონია, რომ განათლების კომიტეტის ჩართვა ამ პრობლემის მოგვარებაში აუცილებელი გახდეს“. (პირველი რადიო)

## „აღარაფერი მიკვირს მას შემდეგ, რაც ყველა ოთახში სტალინის სურათის დაკიდება მოითხოვა“



გოგი თოფაძის მიერ თურქეთთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას თავდაცვის მინისტრი გამოეხმაურა. თინა ხიდაშელის თქმით, თოფაძის განცხადებები მისთვის სიურპრიზი არ არის:

– არ ვაფასებ მის განცხადებებს, არც ერთი განცხადება ჩემთვის სიურპრიზი აღარ არის და აღარაფერი არ მიკვირს მას შემდეგ, რაც ყველა ოთახში სტალინის სურათის დაკიდება მოითხოვა. მისი განცხადებები ჩემთვის საინტერესო აღარ არის, – განაცხადა თინა ხიდაშელმა. (პირველი რადიო)

## ჟვანიას დაცვის ყოფილი უფროსი პატიმრობიდან განთავისუფლდა



ზურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილი უფროსი კობა ხარშილაძე პატიმრობიდან განთავისუფლდა.

როგორც ხარშილაძის ადვოკატმა, ბექა ბასილაიამ განაცხადა, პატიმრობიდან განთავისუფლების საფუძველი სასჯელის მოხდა გახდა. ადვოკატის განმარტებით, ხარშილაძეს 2-წლიანი პატიმრობის ვადა ამოეწურა და, შესაბამისად, სასჯელაღსრულების დაწესებულება დატოვა.

კობა ხარშილაძეს ზურაბ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით მსჯავრი სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით დაედო და წლითა და 9 თვით პატიმრობა მიესაჯა.

ხარშილაძეს მანამდე 2-წლიანი პატიმრობა „გრინსერვისის“ საქმეზე ჰქონდა მისჯილი.

კანონმდებლობის მიხედვით, ყველაზე მაღალმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მძიმე სასჯელი და საბოლოოდ ხარშილაძეს 2-წლიანი პატიმრობის მოხდა დაეკისრა. (მარსჰალპრესს.გე)

## აშშ საქართველოში სატანკო და საჰაერო სადესანტო ასეულს შემოიყვანს



ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მეთაურის ევროპაში, გენერალ-ლეიტენანტის ბენ ჰოჯესის განცხადებით, მაისში აშშ საქართველოში სამხედრო წვრთნებს განახორციელებს.

ამის შესახებ გენერალი DEFENCENEWS-ისთვის მიცემულ ინტერვიუში საუბრობს.

– მაისში ჩვენ საქართველოში განვახორციელებთ წვრთნებს – NOBLE PARTNER-ს, რომელშიც მონაწილეობა გასულ წელსაც მივიღეთ. ეს საქართველოს თავდაცვის ეროვნული წვრთნაა. ამისთვის, შავი ზღვის გავლით საქართველოში სატანკო და საჰაერო სადესანტო ასეული შემოვა. ეს ბიჭები საქართველოს ბატალიონის მეთაურს დაექვემდებარებიან, – აცხადებს ბენ ჰოჯესი. (mpress.ge)

## გიორგი ღვინიაშვილი: გოგა ხაჩიძის კომენტარებს სერიოზულად ვერ აღვიქვამ



– გოგა ხაჩიძის კომენტარებს სერიოზულად ვერ აღვიქვამ, – ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გიორგი ღვინიაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრის გოგა ხაჩიძის განცხადებები პარტიაში პრობლემების არსებობასთან დაკავშირებით სინამდვილეს არ შეესაბამება. ღვინიაშვილის თქმით, ასევე არასწორია ინფორმაცია, თითქოს „ნაციონალური მოძრაობა“ დაშლის პირას მყოფი პარტია იყოს.

– არანაირი დაშლა არ ემუქრება „ნაციონალურ მოძრაობას“ და პარტიაში ყველა პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს. არათუ იშლება, პარტია ძლიერდება და ახალი სახეები ემატება. ვინ უნდა გავიყვანოთ პარლამენტში და რამდენი კაცი შევა პარტიიდან საკანონმდებლო ორგანოში, ამას არჩევნები აჩვენებს და არა ხაჩიძის განცხადებები, – აღნიშნა ღვინიაშვილმა.

კითხვაზე, რა შანსები აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ მომავალ არჩევნებში, ღვინიაშვილი ამბობს, რომ ყოფილი მმართველი პარტია მომავალ პარლამენტში უმრავლესობით შევა.

– მე ამის დიდი იმედი მაქვს და გოგა ხაჩიძე რას ამბობს, ამას სერიოზულად არ მივიჩნევ, – განაცხადა ღვინიაშვილმა. (რეპორტიორი)



ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

## ბიძინა ივანიშვილის მთავარი დანაშაული იცით, რა არის?



უკვე დამლალა ამ ხელისუფლებამ... რა ხანია, „ქართული ოცნების“ ლიდერები უსირცხვილოდ და თანაც რიხიანად აცხადებენ, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებს უპრობლემოდ მოიგებენ. უკვე ყელში ამოვიდა მათი ეს განცხადებები. გულისამრევია ხელისუფლების დაქირავებული იმ ექსპერტების „საფუძვლიანი“ პროგნოზებიც, რომლებიც, ასევე, „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში ტრიუმფს უწინასწარმეტყველებენ – აბა, მომგებს სხვას ვის ხედავთო? გეგონება, რაც ხელისუფლებაში არიან „მეოცნებეები“, ქვეყანა ააყვავეს, ყველა დაპირება შეუსრულეს ხალხს და ხალხიც თავქუდმოგლეჯილი გავარდება მათთვის ხმის მისაცემად. ფუი, თქვენი... „ოცნება“ კია არა, ცვედნების „სხადნიაკი“ ხართ...

რა გააკეთეს ჯერ ბიძინა ივანიშვილმა პრემიერობისას და მერე (როცა პოლიტიკიდან გაიქცა და როგორც „ნაციონალები“ იტყვიან, „კოლბაში“ დაიმალა), მისმა ნარჩენებმა ისეთი, რომ გარანტირებულ გამარჯვებაზეც ლაპარაკობენ? თუ რამე გაკეთდა, მიზერი და ამისთვის ჩვენს გაზულუქებულ ჩინოვნიკებს გვარიანადაც ვუხდით. ჰოდა, ნუ გვამადლით, რა!.. თქვენი გაკეთებული საქმეების ჩამოთვლას არ დავიწყებ, არც ისე ბევრია და არც ღირს. სამაგიეროდ, დაუსრულებლად შემიძლია წერა ჩვენი დეპუტატებისა და სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკების მიერ ბიუჯეტიდან მითვისებულ თანხებზე – სახელფასო დანამატებსა და პრემიებზე. ამათ ბიუჯეტიდან ფულის მოპარვა აღარ სჭირდებათ, ბიუჯეტიდან რამდენსაც უნდათ, იმდენს ხსნიან და ხმის გამცემიც არავინ არის. „ქართული ოცნების“ ლიდერებმა, ჩვენმა ჩინოვნიკებმა ხალხის ფულით მოიწყვეს ცხოვრება, ზოგმა საშვილიშვილოდ და აი, ეგ არის მაგათი ახდენილი „ქართული ოცნება“. ვინც ესენი ხელისუფლებაში მოათრია და კომფორტული სამსახურები უბოძა, ის ხალხი დაიკიდეს.

იმასაც გვაყვედრიან ის ნაძირლები, ვინც მიშას დროს ბუჩქებში იყო შემძვრალი და დღეს „მაგარ ფულიან“ „კრესლოში“ ზის, „ქართულმა ოცნებამ“ და ბიძინა ივანიშვილმა „ნაციონალები“, სააკაშვილი და მისი ბანდა მოაგშორათ და რაღას წუწუნებთო? „ბაბოი ტარემ“, რა! ხალხი რომ არ გამოგყოლოდათ, ჩემს ფეხებს მოიგებდით არჩევნებს. ჩასხედით „კრესლოებში“, „მაყუთს“ გემო გაუგეთ და ხალხი ფეხებზე დაიკიდეთ...

„ქოცებო“, რომ მოთბილდით „კრესლოებში“ საპარლამენტო სესიები მალე დაიწყება და იქნებ რიგ-რიგობით მოგვიყვეთ, ოღონდ, ალალად – რა შეასრულა ბიძინა ივანიშვილმა თავისი დაპირებებიდან? კომუნალური გადასახები შეცირდა? – ხვიშტი! სამუშაო ადგილები შეიქმნა? – უფრო დიდი ხვიშტი!! სამართლიანობა აღდგა? ძააააალიან დიდი ხვიშტი!!!!! ღატაკნი აღარ არიან და ნაგვის ბუნკერებთან პურის მაძიებელთა რიგები შემოკლდა? ბებიამა, რა...

მოკლედ, ხალხი ისევ იმ ქაქშია, როგორშიც 2012 წლის არჩევნების წინ იყო და თუ ციხეში კაცებს აღარ აუპატიურებენ, ამას ბიძინა და „ქოცები“ ნუ იბრალებთ, ეს, ქართველი ხალხის დამსახურებაა. „ნაციონალებთან“ დაუსრულებელი კოაბიტაცია ანუ ჩახუტება ხალხის ინტერესი იყო? ეს ცოცხალ-მკვდარი პოლიტიკური შანტრაბა ბიძინამ არ მოასულიერა და მოაყოჩაღა?

ვინ წარმოიდგენდა, რომ 2012 წლის არჩევნებიდან თითქმის 4 წლის მერე, ხალხს ის ექნებოდა საფიქრალი, არიქა, „ნაცები“ არ დაბრუნდნენ რევანშითო? ბიძინა ივანიშვილის მთავარი დანაშაული იცით, რა არის? აი, ავადმყოფი ლოგინში რომ არ დაა...ნა. არჩევნების შემდეგ კურდღლებად ქცეულ „ნაცებს“ ქართული „ნიურნბერგის პროცესი“ რომ არ მოუწყო, მათი დამნაშავე ლიდერებით ციხეები რომ არ გაავსო და სამართლიანობის აღდგენა არ დაიწყო.

აი, დასავლეთი ჩაერია და ბიძინამ „ნაცები“ ამიტომ არ დააჩაგვრინაო. კიდევ ფუი!... თუ მიქარული არ გაქვს, უბატონოდ ხმას არვინ გაგცემს, მაგრამ ეტყობა მაგარი მიქრული აქვს და თავისი მილიარდების დაკარგვისა შეეშინდა. შეპირდი ხალხს? გააკეთე. არა გაქვს გაკეთების ტრაკი, ადექი, წადი, დანიშნე ვადამდელი არჩევნები და ვისაც ხალხი აირჩევს, ის მოუშვი ხელისუფლებაში.

„ქოცებო“, რა არჩევნების მოგებაზე ლაპარაკობთ, გვეღადავებით? იმის მეათედი რეიტინგი არც ივანიშვილს და არც „ქართულ ოცნებას“ აღარ აქვთ, როგორიც 2012 წელს ჰქონდათ. ივანიშვილი გაკოტრებული რომ იყო, მე მაშინ მივხვდი, თბილისის მერის არჩევნებში დავით ნარმანიას „ნაციონალ“ ნიკა მელიასთან მეორე ტური რომ დასჭირდა. არადა, ამ დროს მხოლოდ წელიწად-ნახევარი იყო გასული 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დიდი გამარჯვებიდან. ამის მერე ნარმანია ყველა ბრუნვაში ატრიალეს და ისევ თანმდებობაზეა. ადრეც დავწერეთ და ვიმეორებ – ნარმანია ჭორვილის გამგებელი რომ ყოფილიყო, დღეს მისი ბუნდლა აღარ იქნებოდა, მაგრამ იტანს და რა გინდა რომ ქნა?

ხალხს სულ ფეხებზე ჰკიდია „ქართული ოცნებაც“ და მომავალი არჩევნებიც. ივანიშვილისა და მისი ახლო გარემოცვის წევრებისგან განსხვავებით, რომელთაგან ერთი სოლოლაკის შუშის თუ შუშუს სასახლიდან გარეთ არ იხედება, მეორენი – ხალხის მიერ გადახდილი გადასახადებით მოწყობილი კომფორტული კაბინეტებიდან, ამ უბრალო ხალხის ნაწილი ვარ და მათში ვტრიალებ, მათი განწყობაც ჩინებულად ვიცი. გადით და ხალხს მოუსმინეთ, რას ამბობენ, ყველა ერთს კითხულობს: რა გაგვიკეთა ბიძინა ივანიშვილმა საიმისო, რომ არჩევნებში ხმა მივცეთ? ცხოვრება ორჯერ გაგვიძვირა, ყოველ მესამე ადამიანს ლომბარდის და ბანკის ან მევახშის ვალი აქვს. არ არის ასე? დიახ, ასეა, ცხოვრება ორჯერ გაძვირდა, ხალხი კვლავ აუტანელ ყოფაშია და ისევ ნაგავში იქექება ლუკმაპურის საშოვნელად. ამ ხალხმა ივანიშვილის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, „პოსლეზე“ ორჯერ მისცა ხმა და ორჯერვე მოაგებინა არჩევნები – 2013 წელს საპრეზიდენტო და 2014 წელს – ადგილობრივი თვითმმართველობისა.

თუმცა, ხალხს არც ამ არჩევნების შემდეგ ეშველა, მიუხედავად იმისა, რომ დაპირებები ამ არჩევნების წინაც მრავლად იყო. ახლა ეს ხალხი „ქართულ ოცნებას“ მისცემს ხმას კი არა, საერთოდ არ წავა არჩევნებზე. არც აპირებენ. არჩევნებზე მხოლოდ ე.წ. მოტივირებული ამომრჩეველი წავა და არჩევნები ჩაიშლება, რადგან ამგვარი ამომრჩეველი ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 30%-ს ვერანაირად ვერ მიაღწევს. ყველა ქვეყანაში და ყველა არჩევნებზე, ეს „მოტივირებული ამომრჩეველი“ 15-20%-ზე მეტს არასდროს აღწევს.

არა, რამდენად უუნარო უნდა იყო, რა ფეხბზემკიდია უნდა იყო, ამხელა რეიტინგი არასრულ 4 წელიწადში ისე გაფლანგო, რომ ხალხს ყოველგვარი არჩევნების სურვილი დაუკარგო?

ხალხი გაღიმებული დატოვეს... ისევე როგორც ყველა წინა, ამ ხელისუფლებამაც „გადააგდო“, მოატყუა და გააწბილა. ეს ხომ პირველი არ არის, მაგრამ განსაკუთრებული შემთხვევაა. ერთი, რომ ქართველ ხალხს არც ერთი ხელისუფლების მოსაცილებლად არ გაუღია იმხელა ძალისხმევა, რაც სააკაშვილის კლანის მოსაშორებლად გაიღო, მეორე, ხალხის ისეთი ნდობა დღემდე არც ერთ ქართველ პოლიტიკურ ლიდერებს არ ჰქონიათ, რამხელაც ბიძინა ივანიშვილს. ამ კაცმა კი ხალხს ეს თავგანწირვაც წყალში გადაუყარა და საკუთარი იმიჯრეიტინგიც ზედ მიაყოლა. ეს იმიჯი ეგებ ფეხებზეც ჰკიდია, კაცს 7 მილიარდი აქვს და ეგებ ეს პოლიტიკური რეიტინგი საერთოდ არ აღელვებს, მაგრამ ხალხს ვინ მისცემს იმას, რისთვისაც იბრძოლა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გაჰყვა ივანიშვილსა და მის პარტიას? არავინ! ხალხი ამ ამათთვის მხოლოდ პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებაა, მაგრამ არ დაგავიწყდეთ – ეს ხალხი გამოფხიზლდა და აბანოს ვარიანტია – თეთრი და შავი ერთი ადგილი, არჩევნებზე გამოჩნდება...

## „გვაქვს ძალიან მყარი საფუძველი, ისტორია, ტრადიციები, მაგრამ მხოლოდ ამით ფონს ვეღარ გავალთ“



პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის განცხადებით, საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ევროპასთან კიდევ უფრო დაახლოების საკითხში.

პარლამენტის თავმჯდომარემ ზოგადი განათლების კონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველო ერთვება არა მხოლოდ ევროპულ, არამედ მსოფლიო კონკურენციაში და განათლების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

უსუფაშვილის თქმით, თუმცა ეს ნიშნავს იმას, რომ ქართველები მსოფლიო კონკურენციაში ერთვებიან.

– ჩვენ მივიღეთ ძალიან სასიხარულო ინფორმაცია ევროპის დედაქალაქიდან. ვიზალიბერალიზაციის მიმართულებით, კიდევ ერთი ნაბიჯი გვაქვს წინ გადადგმული. სულ, რამდენიმე თვეში, ჩვენს მოქალაქეებს მართლაც თავისუფლად შეეძლებათ ევროპულ სივრცეში გადაადგილება. ეს არის ყველაზე უფრო ნათელი მაგალითი, ევროპული ოჯახის წევრობის, მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვერთვებით არა მხოლოდ ევროპულ, არამედ მსოფლიო კონკურენციაში. უნდა ვიყოთ კონკურენტუნარიანი, ძლიერი. ჩვენ გვაქვს ძალიან მყარი საფუძველი, ჩვენი ისტორია, კულტურა, ტრადიციები, მაგრამ მხოლოდ ამით ფონს ვეღარ გავალთ. უნდა ვიყოთ განათლებული, მომზადებული ყველა სფეროში. თუ საიდანმე გველის პრობლემა ქართველებს, სწორედ აქედან და არა სხვა რაიმე მოვლენიდან, – განაცხადა უსუფაშვილმა. (pia.ge)

## საქართველოს ორ რეგიონში გუბერნატორებმა თანამდებობები დატოვეს



თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებით მთავრობას მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა ნუგზარ ყიფიანმა და შიდა ქართლის გუბერნატორმა ზურაბ რუსიშვილმა მიმართეს.

– საკადრო ცვლილებები, ამ ეტაპზე, საქართველოს ორ რეგიონში ხორციელდება. თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებით მთავრობას მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა ნუგზარ ყიფიანმა და შიდა ქართლის გუბერნატორმა ზურაბ რუსიშვილმა მიმართეს. შესაბამისად, მთავრობის სხდომაზე ორივე განცხადება დაკმაყოფილდა. პრემიერ-მინისტრი გაწეული სამსახურისთვის ნუგზარ ყიფიანსა და ზურაბ რუსიშვილს მადლობას უხდის. მცხეთა-მთიანეთში სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობას გოჩა ზეიკიძე დაიკავებს, ხოლო შიდა ქართლში გუბერნატორის მოვალეობას ზურაბ რუსიშვილის მოადგილე შეასრულებს. (pia.ge)

# „კლინიკების მხრიდან მცდელობებია, რომ გეგმური შემთხვევები გადაიყვანონ გადაუდებლად“



ჯანდაცვის მინისტრი კლინიკებზე კონტროლის შესაძლო გამკაცრებასთან დაკავშირებით საუბრობს და განმარტავს, რომ კონტროლის მექანიზმი და მონიტორინგი უკვე 2013 წლიდან ხორციელდება, თუმცა იდეალური სისტემა არ არსებობს.

ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, კლინიკების მხრიდან არის მცდელობები, რომ გეგმური შემთხვევები გადაიყვანონ გადაუდებლად, ვინაიდან ანაზღაურების სისტემა სხვადასხვაა.

– რადგან ანაზღაურების სისტემა სხვადასხვაა, გადაუდებელი მკურნალობა 100 პროცენტით ფინანსდება, ხოლო გეგმური – 70 ან 80 პროცენტით, არის ხოლმე მცდელობები კლინიკების მხრიდან, რომ მათ გეგმური შემთხვევები გადაუდებლად გადაიყვანონ. ასეთი შემთხვევები ცნობილი ფენომენია. ამისთვის ჩადებულია დაცვისთვის სამმაგი ეშელონი, თუმცა იდეალური სისტემა არ არსებობს.

რაც შეეხება კონტროლის მექანიზმის გამკაცრებას. 36-ე დადგენილებაში ამ 3 წლის განმავლობაში რამდენიმე ათეული ცვლილება შევიდა და თითოეული მათგანი მიმართული იყო იმისკენ, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული არამიზნობრივი ხარჯები. სამწუხაროდ, ხშირი შემთხვევებია, შეიძლება ასეულობით, როცა პაციენტის მკურნალობის დოკუმენტაციას არასწორად გვაწვდიან და ამ დოკუმენტაციაზე თანხას არ ვრიცხავთ, საუბარია დაახლოებით მოწოდებული დოკუმენტაციის 5 პროცენტზე, – განმარტა მინისტრმა. (პირველი რადიო)

# საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთი მასშტაბურ სამხედრო წვრთნებს იწყებს



ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსეთი მასშტაბურ წვრთნებს იწყებს. წვრთნებში 1 500-მდე სამხედრო და სპეციალური ერთეული ტექნიკაა ჩართული რუსული მედიის ცნობით, კავშირგაბმულობის ჯარების სამეთაურო-საშტაბო სწავლება ოლქის 35 პოლიგონზე, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიაში, ყირიმში, სომხეთსა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაიწყო. წვრთნები 12 მარტამდე გაგრძელდება. (kvira.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**რატომ ააგორა თეა წულუკიანის წინააღმდეგ სკანდალი გიორგი პაპუაშვილმა? სად და ვინ დაგეგმა პაპუაშვილ-წულუკიანის დაპირისპირება?**

**„ალიას“ ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე ესაუბრა:**

– „ნაციონალური მოძრაობა“ თავის თავს სახელმწიფოსთან აიგივებდა. მიშა იყო სახელმწიფო, ხოლო სახელმწიფო მოხელეები თავიანთ თავს სახელმწიფო ინსტიტუტებთან აიგივებდნენ. ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, ახალმა ხელისუფლებამაც შეინარჩუნა და ვერ შეცვალა. გიორგი პაპუაშვილიც საკუთარ თავს აიგივებს სახელმწიფო ინსტიტუტთან. ეს არის სააკაშვილისა და ადეიშვილის მიერ უკრაინაში დაგეგმილი ჩვეულებრივი სპექტაკლის ნაწილი.

„ნაციონალური მოძრაობა“ თავის დროზე აკეთებდა ათასობით ვიდეო-აუდიოჩანაწერს, რომლის უმეტესი ნაწილიც მათივე გუნდის წევრებს შეეხებოდა და რომლის მეშვეობითაც აშანტაჟებენ მთელ პარტიას და თავიანთ დაკრულზე აცეკვებენ.

**— ანუ პაპუაშვილი სააკაშვილ-ადეიშვილის შანტაჟის მსხვერპლია...**

– ამ შემთხვევაში, პაპუაშვილი შანტაჟის მსხვერპლი კი არაა, მან, უბრალოდ, იცის, რომ ამ ორ ადამიანს მასზე უამრავი ინფორმაცია აქვს და იძულებულია, აკეთოს ისეთი განცხადებები, რომელიც ხელისუფლებას დააზარალებს. დააკვირდით – პაპუაშვილი წარამარა დარბის ევროპაში და ის არ დადის, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, დადის ევროსაბჭოში და ევროპის პარლამენტში განსხვავებული მიზნებით. რომელი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გინახავთ, ევროპაში და პრაქტიკულად, ვერანაირი რეფორმა ვერ ჩაატარა.

**— მარტო „ნაციონალები“ არ ამბობენ მაგას, ჯანდაცვის გარდა, სად ჩატარდა რეფორმები? წულუკიანმა რომ სასამართლოს რეფორმა ჩააგდო, ეს ხომ ცხადია?**

– კი, წულუკიანმა, პრაქტიკულად, ჩააგდო სასამართლო რეფორმა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ქალბატონი მინისტრი პაპუაშვილთან მართალია. პაპუაშვილმა ძალიან დაბალი შეფასება მიიღო და ამაში გასაკვირი არც არაფერი იყო. კონსტიტუციო სასამართლომ კი საშიშროება იგრძნო, რომ ხელისუფლება რაღაცის შეცვლას აპირებს, პერსონებმა საფრთხე იგრძნეს და გააქტიურდნენ. მით უმეტეს, რომ, მათი შეფასებიდან გამომდინარე, ჩანდა, რომ მათი კომპეტენცია ნულის ტოლია და ისინი, უბრალოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები იყვნენ.

**— ბუტა რობაქიძის მამამ, სოსო რობაქიძემ ბოლო სასამართლო სხდომის შემდეგ განაცხადა, თუკი ადრე სასამართლო პროკურატურის ნოტარიუსი იყო, ახლა როლები შეიცვალა — ახლა სასამართლო აკონტროლებს პროკურატურასო. რა ხდება ამ საკითხში, ხომ არ იცით?**

– მურუსიძის განცხადება კვესიტაძის გადაცემაში იმის დადასტურება იყო, რომ დღეს მოსამართლე არ არის მოსამართლე. მოსამართლე დღეს არის ამ ხელისუფლების მოწინააღმდეგე პოლიტიკოსი, რომელიც შეფუთულია ისე, თითქოს ამათი მხარდამჭერები არიან. სასამართლო არ გვაქვს. სახეზე გვყავს დამნაშავეების ჯგუფი, რომლებიც, წესით და რიგით, უნდა გასამართლებულიყვნენ, უამრავი დანაშაული უნდა მოჰკითხვოდათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, სახეზე გვაქვს მათი თვითნებობა, რომლებიც თავიანთი სკამის შესანარჩუნებლად ყველაფერს იკადრებენ და ამას გულისხმობდა რობაქიძეც.

# სად და ვინ დაგეგმა პაპუაშვილ-წულუკიანის დაპირისპირება?









ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# 7 მიწის ნაკვეთი, 25 000 დოლარი და 100 000 ლარი — თელავის დეპუტატის ქონება



გთავაზობთ თელავის მაჟორიტარი დეპუტატის გელა სამხარაულის ქონებრივ დეკლარაციას. მის მფლობელობაშია:

საცხოვრებელი სახლი თელავში იყალთოს ქუჩაზე, ფართობი 530 კვ.მ;

მიწის ნაკვეთი ალავერდში, ფართობი 85000 კვ.მ;

მიწის ნაკვეთი ყვარელში, ფართობი 100000 კვ.მ;

მიწის ნაკვეთი თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში, ფართობი 9000 კვ.მ;

მიწის ნაკვეთი თეთრი წყაროში, პანტიანში ფართობი – 10000კვ.მ;

მიწის ნაკვეთი ალავერდში. ფართობი 900 კვ.მ.

არასაცხოვრებელი ფართი ალავერდში, ფართობი 900 კვ.მ.

ავტოფარეხი თბილისში ნუცუბიძის მე-5 მ/რ-ში, ფართობი 15 კვ.მ;

მიწის ნაკვეთი თელავში, ფართობი 4500 კვ.მ;

მიწის ნაკვეთი თელავში, იყალთოს ქუჩაზე ფართობი 1316 კვ.მ.

მეუღლის ნატო თხლაშიძის საკუთრებაშია ბინა თბილისში, ნუცუბიძის მე-5 მ/რ-ში, ფართობი 150 კვ.მ.

გელა სამხარაულს ეკუთვნის მიკროავტობუსი Ford და ავტომანქანა Lexus, მეუღლეს Nissan და მსუბუქი ავტომანქანა Toyota.

მაჟორიტარ დეპუტატს დეკლარაციის შევსების დროს, ნაღდი ფულის სახით, 25000 დოლარი და 100 000 ლარი ჰქონდა, მის მეუღლეს კი 20 000 ევრო და 10 000 ლარი.

დეპუტატს ოთხი შპს აქვს, თუმცა დეკლარაციის მიხედვით გასულ წელს ამ კომპანიებიდან შემოსავალი არ მიუღია.

მისმა მეუღლემ 2015 წელს „თიბისი ბანკში“ სესხი აიღო სწავლის გადასახადისთვის 10 100 ლარის ოდენობით და მის დასაფარად 5450 ლარი გადაიხადა.

მაჟორიტარმა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან გასულ წელს 157 000 ლარი შემოსავალი მიიღო.

მისი მეუღლე ნატო თხლაშიძე „ბრიტიშ პეტროლეუმის“ საქართველოს სოციალური საკითხების ჯგუფის ხელმძღვანელია, მან გასულ წელს შრომის ანაზღაურებისთვის 124 237 ლარი მიიღო, ხოლო გელა სამხარაულმა – 62 790 ლარი.

გელა სამხარაულსა და მის მეუღლეს სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე 72 496 ლარი, 2227 ევრო და 5284 აშშ დოლარი ერიცხებათ.

ნატო თხლაშიძე წილს ფლობს კომპანია „ბრიტიშ პეტროლეუმში“. ფასიანი ქაღალდების რაოდენობაა 2168, თითოეული უდრის 5 ფუნტს. აღნიშნული ვალუტის დღევანდელი კურსია 3,48 ლარი. (speqtri.ge)

# ბაჩო კიკაბიძე: „მეცხრე არხის“ აპარატურაც ტელეკომპანია „იმედის“ საკუთრებაშია



„მაესტრო 24“-ის დირექტორის, ბაჩო კიკაბიძის ინფორმაციით, „მეცხრე არხის“ შენობა, რომელშიც შესაძლოა, ტელეკომპანია „მაესტრო“ განთავსდეს, „იმედის“ ბალანსზეა. მისივე განმარტებით, „იმედის“ ბალანსზეა ტელეკომპანიის აპარატურაც.

– ლევან გაჩეჩილაძეს განუცხადებია, რომ ახალი ტელევიზია „მეცხრე არხის“ შენობაში განთავსდება. ეგ შენობა „მეცხრე არხის“ კი არა, „იმედის“ არის. ნუ გვერიდება, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ „იმედი“ არის ყველაფრის თავში. ასევე, „მეცხრე არხის“ აპარატურაც არის ტელეკომპანია „იმედის“ საკუთრებაში, – განაცხადა ბაჩო კიკაბიძემ.

რაც შეეხება ტელეკომპანია „იმედს“, მისი მენეჯმენტი ადასტურებს, რომ „მეცხრე არხის“ ყოფილი შენობა „იმედის“ საკუთრებაშია, თუმცა მენეჯმენტის განცხადებით, ამ ეტაპზე, რაიმე ტიპის მოლაპარაკება, რომ ეს შენობა იჯარით გადაეცეს ლევან გაჩეჩილაძეს, არ მიმდინარეობს. (kvira.ge)

# უვიზო რეჟიმი მხოლოდ დიდ ბრიტანეთთან და ირლანდიასთან არ იმოქმედებს



მას შემდეგ, რაც ევროკავშირის საბჭო და ევროპარლამენტი აღნიშნულ საკანონმდებლო ინიციატივას დაამტკიცებენ, ბიომეტრიული პასპორტების მქონე საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლით 180 დღის განმავლობაში მაქსიმალური, 90 დღის ვადით ისარგებლებენ.

უვიზო რეჟიმი გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას.

წევრი ქვეყნები: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი.

არაწევრი ქვეყნები: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია;

კანდიდატი ქვეყნები: ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია;

გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის 2 წევრი ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი და ირლანდია, რომლებთანაც სავიზო რეჟიმი შენარჩუნდება. (bpn.ge)

## სკოლის მასწავლებელთა 83-მა პროცენტმა პროფესიული გამოცდის მინიმალური ზღვარი ვერ გადალახა



სკოლის მასწავლებელთა უმრავლესობამ მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა ვერც ამჯერად მოახერხა.

პედაგოგთა ბოლო საგნობრივი გამოცდა მიმდინარე წლის იანვარში ჩატარდა, სადაც სულ 10 552 პრაქტიკოსი პედაგოგი დარეგისტრირდა, მათგან ტესტირება 6 477-მა გაიარა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, რომელიც 60 პროცენტით განისაზღვრებოდა, 1 101-მა გადალახა. ანუ საერთო რაოდენობის თითქმის 17 პროცენტმა.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, ყველაზე სავალალო შედეგი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს აქვთ. კერძოდ, გამოცდაზე მისული 1 167 პედაგოგიდან კომპეტენციის დადასტურება მხოლოდ 94-მა პედაგოგმა, ანუ დაახლოებით 8 პროცენტმა შეძლო.

381-დან მხოლოდ 26-მა, ანუ საერთო რაოდენობის თითქმის 7-პროცენტმა ჩააბარა მათემატიკის გამოცდა, რაც შეეხება ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდას, 317-დან ზღვარის გადალახვა მხოლოდ 15 პროცენტმა მოახერხა.

საერთო რაოდენობის 9 პროცენტმა გადალახა ზღვარი ბუნებისმეტყველებაში. 19 პროცენტმა ფიზიკაში და თითქმის 17 პროცენტმა ქიმიაში.

რაც შეეხება უცხო ენის გამოცდას, ინგლისური ენის გამოცდაზე სულ 458 პედაგოგი გავიდა, საიდანაც ზღვარის გადალახვა 83-მა შეძლო, 29-დან 10-მა დაამტკიცა თავისი კომპეტენცია გერმანულ ენაში, რაც შეეხება რუსულს, ამ შემთხვევაში ზღვარის გადალახვა გამოცდაზე გასული საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა შეძლო.

უნდა ითქვას, რომ ჩატარებული 19 საგნობრივი გამოცდიდან რუსული ენის 55-პროცენტიანი შედეგი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

იგივე ტენდენცია იყო წინა გამოცდაზეც. რუსული ენის 336 მასწავლებლიდან 162-მა ჩააბარა გამოცდა 2015 წლის ივლისში ჩატარებული გამოცდის დროსაც. ყველაზე ტრაგიკული შედეგი წინა ჯერზეც დაწყებითი კლასის პედაგოგებმა აჩვენეს, რომლის მიხედვითაც გამოცდაზე მისული 2 281 პედაგოგიდან კომპეტენციის დადასტურება მხოლოდ 90-მა, ანუ 3,9 პროცენტმა შეძლო.

მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის ინფორმაციაზე დაყრდნობით, პროფესიული განვითარების სქემის განხორციელების პროცესში მოქმედ მასწავლებლებს იგივე გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა კიდევ ხუთჯერ მიეცემათ. (businesscontact.ge)




ლევან ჯაჯანიშვილი
577 51-73-37


ბოლო ორი დღის მოვლენებს თუ დავაკვირდებით, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა შიდა კოალიციური დაპირისპირება ვერ შეანელა. მან გამართა შეხვედრა „რესპუბლიკელებთან", შემდეგ იყო „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს სხდომა, მოგვიანებით ისაუბრა გოგი თოფაძესთანაც, თითქოს ყველა მხარეს თავი უნდა შეეკავებინა ღია გამოხტომებისგან, მაგრამ მაინც

როგორც ომარ ნიშნიანიძე ამბობს „ალიასთან" საუბარში, უკვე დაწყებულია ყველას ლუსტრირების პროცესი, რათა მომავალი საარჩევნო სია უფრო დახვეწილი იყოს და კოალიციაც, თუკი ასეთი იქნება, დალვინებული სახით წარდგეს მოსახლეობის წინაშე:

„ბიძინა ივანიშვილი ყველას აკვირდება არა მხოლოდ საქმიანობიდან გამომდინარე, პიროვნული თვალსაზრისითაც. ამის შემდეგ კი გამოგვიტანს საბოლოო „განაჩენს", ვინმეს ყურის აწევები თუ საყვედურების გამოცხადება „პირად საქმეში" შეტანით:

„ივანიშვილთან შეხვედრა უკვე მომწიფებულია და ეს უკვე ბევრ რამეს გადაწყვეტს. არავისთვის არაა სასიამოვნო ამ კინკლაობის გაგრძელება, სიტუაცია ან ისე უნდა გადაწყდეს, ან – ასე, სანამ უკან დასახევი გზა კიდევ არსებობს, სანამ ყველა ხიდი არ არის დამწვარი. მე ვფიქრობ, ამ ყველაფერს წერტილი დაესმება 12 მარტს. დავით უსუფაშვილს ისიც უთქვამს, ყველაფრისთვის მზად ვართ. ომარ ნიშნიანიძის თქმით, „რესპუბლიკელებს" რომ ასეთი მოთხოვნები ექნებათ, ამაში დარწმუნებულია:

„კი, ამაში დარწმუნებული ვარ, ისინი გაცილებით მეტს ითხოვენ, ვიდრე 2012 წელს ერგოთ. მე მესმის, პარტიას უნდა უნდოდეს მეტი, მაგრამ ესეც მოლაპარაკების საგანია. შეიძლება მე სიტყვა „დაპირისპირება" არ მსიამოვნებს, მაგრამ პიროვნული დაპირისპირებები ისევ მიდის კოალიციაში. აი, ამიტომ უნდა გაიმართოს კიდევ პოლიტსაბჭოს სხ-

# ბიძინა ივანიშვილი ჩასაფრებულია!

### რას აპირებს 12 მარტის პოლიტსაბჭოს სხდომაზე ექსპრემიერი?



არაფერი გამოვიდა – იქით თინა ხიდაშელი კვლავ აგრძელებს განცხადებების კეთებას, თოფაძისგან არაფერი მიკვირს, ეგ ყველა კაბინეტში სტალინის სურათის დაკიდებას ითხოვდაო. აქეთ გოგი თოფაძე იმუქრება, ამ დღეებში ოჯახის ცნების საკითხს ისევ გავამწვავებთ, თეთრი და შავი აბანოში გამოჩნდებაო.

საინტერესო განცხადებას აკეთებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ომარ ნიშნიანიძე. მისი თქმით, დეპუტატებმა არ იციან ბიძინა ივანიშვილის აზრი კოალიციაში გამძაფრებულ დაპირისპირებაზე, თუმცა ყოფილი პრემიერი ყველაფერს აკვირდება და ისეთ უმნიშვნელო დეტალებსაც კი ამჩნევს, რომელთა შემჩნევა ერთი შეხედვით შეუძლებელიაო. თურმე ივანიშვილმა კულუარული ინფორმაციები კარგად იცის და ის ახლა ყველას ლუსტრირებას ელოდება.

საყურადღებოა გოგი თოფაძის ნათქვამიც, პრემიერ-მინისტრი ჩვენ, „მრეწველებს", არ გვამტყუნებს, მაგრამ ცოტა თავის შეკავებას გვირჩევსო. სიტყვები – „გვირჩევს" და „არ გვამტყუნებს" იმას ნიშნავს, რომ თითქმის ამართლებს. მოქმედი პრემიერი რომ ყოფილი პრემიერის „დაბროს" გარეშე ვერც თოფაძის გვერდით დადგება და ვერც კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს დაუჭერს მხარს ქალისა და მამაკაცის ოჯახური ერთობის თაობაზე, ეს სალაპარაკოც აღარ არის.

უნდა თუ არა, ჩვენი ლიდერი მაინც ის არის".

ომარ ნიშნიანიძის მსჯელობას თუ მივყვებით, გამოდის, ამ ეტაპზე ბატონი ივანიშვილი ჩასაფრებულია – აბა, ერთი, კიდევ ვის რა შეეშლება, ვინ ჩაიჭრება და ასე შემდეგ. თუმცა ნიშნიანიძის თქმით, ეს ჩასაფრება კი არა, უფრო გაფრთხილებაა:

„ჩვენ მას ადრე უფრო ხშირად ვხვდებოდით და ბევრ რამეს ვიგებდით. უახლოეს ხანში კიდევ გაიმართება შეხვედრა, მას ბევრი ინფორმაცია აქვს და სიტუაციაში უკეთესად გავერკვევით. ჩემი აზრით, უკვე საჭიროა ნაწილობრივ გამხნევება, ზოგიერთისთვის ყურის აწევა, საყვედურიც და ასე შემდეგ".

ომარ ნიშნიანიძის თქმით, პრემიერის შეხვედრა „რესპუბლიკელებთან", გოგი თოფაძესთან და კიდევ პოლიტსაბჭოს სხდომის გამართვა, როგორც

უნდა ვიყოთ, შეიძლება კოალიცია მართლაც დაიშალოსო. ჩემი აზრით, მათ კოალიციიდან გასვლა არ უნდა უნდოდეთ, მაგრამ რა მოხდება, არ ვიცი. „რესპუბლიკელებმა" 2012-ში ძალიან კარგად ივაჭრეს და ბევრი მიიღეს, ახლა ვეთანხმები თამაზ მეჭიაურს, მოდი, ვსინჯოთ, ცალ-ცალკე რა ბიჭები ვართ. ასეთი გაზრდილი მადა რომ გვაქვს, ამის გადაწყვეტა ხალხს მივანდოთ".

კულუარული ინფორმაციით, „რესპუბლიკელები" „ქართულ ოცნებასთან" გასაფორმებელ ხელშეკრულებაში წერენ, რომ მომავალ არჩევნებში მათ სიაში 10 ადგილი ეკუთვნით, 5 მაჟორიტარი უნდა ჰყავდეთ და მინისტრების პორტფელები შეუნარჩუნდეთ. ამაზე „ქართულ ოცნებაში" ამბობენ, რომ ეს ძალიან ბევრია, მაშინ რა დააშავეს კოალიციაში შემავალმა სხვა პარტიებმა? იგივე „ოცნებაში" ბევრს არ ესმის, რა

დომა და უნდა შეგვხვდეს ბიძინა ივანიშვილი. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ჩაცხრეს ეს პიროვნული დაპირისპირება? წინ არჩევნებია და უფრო მეტი საფიქრალი გვაქვს. მართალია, ჩემს დონეზე არ წყდება, მაგრამ ვიცი, განახლება იქნება, ამაზე მსჯელობა მიდის და უფრო გააქტიურდება მომდევნო თვეებში, შემდეგ კი მაისში გაიმართება ყრილობა. მე თუ მკითხავთ, უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებითაც, ჩვენს ფრაქციაში ვფიქრობთ, ეს არაკორექტულია თუნდაც იმიტომ, რომ სხვა პარტიები დგებიან თამაშგარე მდგომარეობაში. ხელშეკრულება ისე ვერ გაფორმდება, თუ სხვებსაც არაფერი ვკითხეთ. საბოლოო წერტილს მაინც ბიძინა ივანიშვილი დაუსვამს და ყველაფერს გასაგებად ახსნის. ჩემი ინფორმაციით, ბატონმა ბიძინამ ყველაფერი ძალიან კარგად იცის და რაღაც პატარა ნიუანსებია დარჩენილი, ის თავის სიტყვას უახლოეს ხანში იტყვის".

**„ივანიშვილთან შეხვედრა უკვე მომწიფებულია და ეს უკვე ბევრ რამეს გადაწყვეტს. არავისთვის არაა სასიამოვნო ამ კინკლაობის გაგრძელება, სიტუაცია ან ისე უნდა გადაწყდეს, ან — ასე, სანამ უკან დასახევი გზა კიდევ არსებობს, სანამ ყველა ხიდი არ არის დამწვარი. მე ვფიქრობ, ამ ყველაფერს წერტილი დაესმება 12 მარტს"**

ჩანს, საკმარისი არ იყო და ამიტომაც შაბათს, 12 მარტს, კიდევ იქნება პოლიტსაბჭოს სხდომა. ამის შემდეგ კოალიციას შეხვდება თავად ბიძინა ივანიშვილი და ალბათ, სწორედ იქ წავა საჭიროა ასეთი ვითომსტრატეგიული ხელშეკრულება. „რესპუბლიკელებმა" რამდენიც არ უნდა წერონ და იკითხონ, ბოლოს ყველაფერი მაინც ბიძინა ივანიშვილმა უნდა გადაწყვი-

როგორც უკვე მოგახსენეთ, საბავშვო ბაღის „აღსაზრდელები" პრემიერ-მინისტრმა ვერ დააშოშმინა და როგორც ჩანს, სწორედ ამის გამო გადაწყდა, რომ საქმეში ბიძინა ივანიშვილი ჩაერევა. როგორც ომარ ნიშნიანიძე ამბობს, ცოტა ხანში ვნახავთ, ვის აუწევს ყურს, ვის გამოუცხადებს საყვედურს, ვის დატოვებს საარჩევნო სიაში და ვის გაუშვებს „პენსიაზე".

## წულუკიანი უცხოეთში არალეგალურად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს რჩევებს აძლევს



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი საქართველოს მოქალაქეებს ურჩევს, უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში კანონიერად შევიდნენ.

თეა წულუკიანის თქმით, პირველი ნაბიჯი, რაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მყოფმა საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გადადგან, არის ის, რომ დაარეგულირონ სიტუაცია და თუ შესაძლებელია, იქ ყოფნა დააკანონონ.

– ყველას შეგხვედრიათ ჩვენი მოქალაქე, რომელიც არალეგალურად ცხოვრობს ევროკავშირის ქვეყანაში და ყოფილა ისეთი ტრაგიკული სიტუაციებიც, როდესაც იმის შიშით, რომ, თუ საქართველოში დაბრუნდება, უკან ველარ შევა ევროკავშირის მოცემულ ქვეყანაში, საკუთარი ოჯახის წევრის გასვენებაშიც კი არ ჩამოსულა. პირველი ნაბიჯი, ალბათ, იქნებოდა ის, რომ მათ იმ ქვეყანაში, სადაც არიან, სასწრაფოდ გადადგან ნაბიჯები იმისთვის, რომ თავიანთი სიტუაციის რეგულარიზაცია, ან დაკანონება მოახდინონ, თუ ეს შესაძლებელია. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ როცა დადგება უვიზო მიმოსვლის დღე, შეეცადონ, რომ ახალ პირობებში, ევროკავშირის ქვეყანაში კანონიერად შევიდნენ. პრობლემა ის არის, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყანაში შესვლა იქ ცხოვრებას არ ნიშნავს – ეს არის უვიზო მიმოსვლა, რაც ნიშნავს მისვლას და მერე უკან მოსვლას. ყველაზე მეტ სარგებელს ახალგაზრდა თაობა მიიღებს. ძალიან მიხარია, რომ ჩვენ, ქართველებს, მოგვეცემა საშუალება, ევროკავშირს ბევრი რამ შევძინოთ და მათგანაც ბევრი რამ ვისწავლოთ, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ ევროკომისიამ, საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივა წარადგინა.

ინიციატივაში ნათქვამია, რომ საქართველომ რეფორმების თვალსაზრისით, ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა ამოცანა შეასრულა და ამიტომ, აკმაყოფილებს ყველა შესაბამის კრიტერიუმს, რათა მისი მოქალაქეები სავიზო მოთხოვნებისგან განთავისუფლდნენ.

საკანონმდებლო ინიციატივა ძალაში შესვლამდე ევროპარლამენტმა და ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაამტკიცონ. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აშშ-ის კონგრესი ირანს ახალ სანქციებს დაუწესებს

აშშ-ის კონგრესი ირანს ახალ ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებს. ამის შესახებ, „ბიზნესის" ინფორმაციით, წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა, რესპუბლიკელმა პოლ რაიანმა განაცხადა.

მისი თქმით, ირანის მიერ ბალისტიკური რაკეტის გამოცდა აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციაა და საერთაშორისო კანონმდებლობას ეწინააღმდეგება.

შეგახსენებთ, გავრცელებული ინფორმაციით, ირანმა ბალისტიკური რაკეტები გამოსცადა. ირანის შეიარაღებული ძალების მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში კი ნათქვამია, რომ რაკეტების გამოცდის ამოცანა იმის დემონსტრირებაა, რომ ირანს ნებისმიერი საფრთხის შეკავება შეუძლია.

ალსანიშნავია, რომ თეირანის წინააღმდეგ დასავლეთმა რამდენიმე წლის წინათ დაწესებული სანქციები გასულ თვეს მოხსნა, რის შედეგადაც ირანს მსოფლიო ბაზარზე გზა გაეხსნა. (ნიუპოსტი)



## ზვიად კვაჭანტირაძე „ზოგიერთ ღვთისმსახურს“ მოუწოდებს, შემოქმედელი ეპისკოპოსის რეზიდენცია „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბად არ აქციოს



სასახლეში გამართული შეხვედრის შესახებ ზვიად კვაჭანტირაძემ სოციალურ ქსელში კიდევ ერთი განცხადება გამოაქვეყნა:

– ახლახან შემატყობინეს, რომ აღნიშნულ შეხვედრას ოზურგეთში ესწრება ჩემთვის უაღრესად პატივსაცემი მეუფე საპატრიარქოდან, რომელსაც მართლა ძალიან დიდ პატივს ვცემ და რომლის მიმართ დიდი მოწიწება მაქვს, დამსახურებულად. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ იქ, სადაც ის იმყოფება, მხოლოდ სიკეთე სუფევს. არ მინდა მას იოტისოდენად მაინც გული ვატკინო და გულწრფელად ბოდიშს ვუხდი, თუ რამე უხერხულობა შევუქმენი.



ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი და მმართველი უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე სტატუსს აქვეყნებს და „ზოგიერთ ღვთისმსახურს“ მოუწოდებს, შემოქმედელი ეპისკოპოსის რეზიდენციის ისტორიული შენობა ოზურგეთის ცენტრში „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბად არ აქციოს:

– ალო, ოზურგეთი, გურია!!! არ ასვენებს გამჩენი ზოგიერთ შატალოზე მყოფ პარლამენტარს, არც ყოფილი გუბერნატორების ზოგიერთ ყოფილ მოადგილეებს და წარმოიდგინეთ, არც ზოგიერთ ღვთისმსახურს, ყველას სიყვარულს რომ იტევს გულში, მას რომ ჰკითხო. იმედია, მაგ ისტორიულ სასახლეზე, რომელიც ერმა დიდსულოვნად დაგითმოთ, „ნაცმოს“ საარჩევნო შტაბის აზრას არ გამოაკრავთ და შიგნით მართლა შტაბს არ გამართავთ. დანარჩენს მოვუვლით და შეცდომებს აღარ დავუშვებთ, – წერს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე კვაჭანტირაძე.

მოგვიანებით ერისთავების ყოფილ

ოზურგეთის მაჟორიტარის „ფეისბუკ“ განცხადებებს შემოქმედელი მიტროპოლიტი მეუფე იოსები პასუხობს:

– მეგობარი ჩამოვიდა ჩემთან სტუმრად. მით უარესი ზვიად კვაჭანტირაძისთვის, თუ ამ ფაქტმა გაღიზიანება გამოიწვია. ის წლების განმავლობაში ჩემი მეგობარი იყო, მეხმარებოდა, გვქონდა შეხვედრები. გამკვირვებია ადამიანების, ვინც პოლიტიკასა და სასულიერო ცხოვრებას ერთმანეთში ურევს. გარდა იმისა, რომ ის ჩემი მეგობარია, არის აღმსარებელი. ეკლესიასა და პოლიტიკას რატომ ურევს ერთმანეთში კვაჭანტირაძე, ვერ გამიგია. რამაზ ნიკოლაიშვილი ჩემი მეგობარია, კვაჭანტირაძე რამ გააღიზიანა არ ვიცი, – აცხადებს შემოქმედელი მიტროპოლიტი. (ნიუპოსტი)

## 13 ტყვე 4 პატიმრის სანაცვლოდ — ვინ განთავისუფლდა ტყვეობიდან?



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან მიღწეული შეთანხმების შედეგად, ქართულ მხარეს აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიაზე ბოლო 6-7 წლის განმავლობაში უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს 14 მოქალაქე გადმოეცა.

მათ სანაცვლოდ კი ქართულმა მხარემ, ოსეთს 4 განთავისუფლებული პირი გადასცა.

– პატიმრების განთავისუფლება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან პირდაპირი მოლაპარაკებისა და შეთანხმების შედეგად მოხერხდა.

ქართული მხარის მიერ განთავისუფლებული პირები არიან: გიგო ვილგენის ძე ვალიშვილი, გიორგი ვალერის ძე ზასეევი, იოსებ ადიკოს ძე კოჩიევი და ბორის ზურაბის ძე ტურაშვილი. სანაცვლოდ, კი აფხაზურ და ოსურ მხარეებთან მიღწეული შეთანხმებით, აფხაზურმა მხარემ გაათავისუფლა: ჯღარკავა ომარ, ოყუჯავა ჯემიკო, რურუა მალხაზ, თორაძე ზურაბ, ხუხუა შალვა, ცაგურია ელდარი, შონია მანუჩარ, შედანია-ასეევა დიანა და გერლიანი კობა; ხოლო ოსურმა მხარემ გაათავისუფლა: მიდელაშვილი ჯემალ, ილურიძე გელა, გრიგალაშვილი თეიმურაზ და ფუხაევი იგორ, – აცხადებენ სახელმწიფო მინისტრის აპარატში. (ნიუპოსტი)

## ენმ-ს კორდინატორის სიმამრის სახლიდან სანადირო თოფი და, სავარაუდოდ, ხელყუმბარა ამოიღეს




გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთში სამართალდამცველებმა ენმ-ს კოორდინატორის სახლის შემდეგ მისი სიმამრისა და სიმამრის ძმის სახლები გაჩხრიკეს.

არჩილ ტარუაშვილის სიმამრის, სოსო ბეჟანიშვილის საცხოვრებელი სახლიდან სამართალდამცველებმა სანადირო თოფი და, სავარაუდოდ, ხელყუმბარა ამოიღეს.

ტარუაშვილის სიმამრი, მისი ძმა და ოჯახის წევრები სამართალდამცველებმა პოლიციის განყოფილებაში დაკითხვის მიზნით გადაიყვანეს. საქაშეთში კომპლექსურ ჩხრეკას ტარუაშვილებისა და მათი ნათესავების პოლიტიკურ შეხედულებებს უკავშირებენ.

ადგილობრივების თქმით, ტარუაშვილები და ბეჟანიშვილები თბილისში „გაზპრომის“ წინააღმდეგ გამართულ აქციაში მონაწილეობდნენ, რაც შესაძლოა, მათი სახლების გაჩხრეკის მიზეზი იყოს. (ნიუპოსტი)

## ბასილ მკალავიშვილი: „წყეულ და შეჩვენებულ იქმნეს ბოკერია მეუღლით, ირაკლი დეისაძე, ნინია კაკაბაძე“



გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარმა მამა ბასილ მკალავიშვილმა რამდენიმე საერო პირი ანათემას გადასცა. კერძოდ, გიგა ბოკერია, თამარა ჩერგოლეიშვილი, გიგი თევზაძე, ირაკლი დეისაძე, ნინია კაკაბაძე, თეა თუთბერიძე, ზაზა ბურჭულაძე, ლაშა ბუღაძე, ზურაბ ქარუმიძე.

როგორც საპატრიარქოში აცხადებენ, მკალავიშვილი საქართველოს ეკლესიიდან განკვეთილია და მის იურისდიქციაში არ შედის, – „ამბობს, ბერძნულ ეკლესიას ვემორჩილებიო“.

რაც შეეხება ბასილ მკალავიშვილის გადაწყვეტილებას, ის განმარტავს:

– ვაფრთხილებ ყველას, ნუ მიეცემით თვითდამშვიდებას, თითქოს ყველაფერი რიგზეა მაშინ, როცა უფსკრულის პირას ვდგავართ. თუ არ გამოვფხიზლდით, დიდ სასჯელს მივიღებთ. მეტის მოთმენა მართლაც არ შეიძლება, ხელისუფლების წარმომადგენელთა უპასუხისმგებლობა იძულებულს ხდის ჭეშმარიტ მორწმუნეს, გადადგას ის ნაბიჯი, რასაც იმსახურებენ ერის მოღალატენი. როცა ქვეყანა იღუპებოდა, დუმდით, რატომ?.. იქიდან გამომდინარე, რომ ზემოჩამოთვლილმა პიროვნებებმა საშინელი ღალატი ჩაიდინეს ერისა თუ სარწმუნოების წინაშე, გვიგინებენ ჩვენს უფალს და მის მცნებებს, მე როგორც სასულიერო პირი, ვერ გავჩუმდები...

მე ვისარგებლებ მსოფლიო კრებების დადგენილი დიდი სჯულის კანონით და ანათემას გადავცემ სარწმუნოების მოღალატეებს: წყეულ და შეჩვენებულ იქმნეს ბოკერია მეუღლით, გიგი თევზაძე, ირაკლი დეისაძე, ნინია კაკაბაძე, თეა თუთბერიძე, ზაზა ბურჭულაძე, ლაშა ბუღაძე, ზურაბ ქარუმიძე და ყველა ის პიროვნება, ვინც ებრძვის მართლმადიდებლობას. ანათემა ძალაშია 2016 წლის 14 იანვრიდან, სანამ პირადად არ მოვლენ ეს პიროვნებები ჩემთან და არ მოინანიებენ თავიანთ ცოდვებს (რათა მომავალ თაობაზე არ გადავიდეს). (news.ge)

## ლევან ღვინჯილია: ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოოოს!



<<MENU>>

| Yemək-საჯმელი | Çəki-წონა | Qiymət-ფასი |
|---|---|---|
| Xəngəl - ხინგალი | 1 əd. - ცალი | 0.60 lari - ლ |
| Kabab - ქაბაბი | 250 qr - გრ | 6 lari - ლ |
| Lülə - ლულია | 250 qr - გრ | 6 lari - ლ |
| Dapa - ტაფა | 1 kq - კგ | 22 lari - ლ |
| Kotlet - კოტლედი | 250 qr - გრ | 3 lari - ლ |
| Toyuq - ქათამი | 1,2 kq - კგ | 15 lari - ლ |
| Balıq - თევზი | 250 qr - გრ | 5 lari - ლ |
| Sosiska - სოსისი | 1 porsia - პორცია | 5 lari - ლ |
| Osdra - ოსტირი | 1 porsia - პორცია | 5 lari - ლ |
| Xaş - ხაში | 1 porsia - პორცია | 4 lari - ლ |
| Xaçapuri - ხაჯაპური | 1 əd. - ცალი | 5 lari - ლ |
| Turşu - მჟავე | 1 porsia - პორცია | 3 lari - ლ |
| Salat - სალატი | 1 porsia - პორცია | 3 lari - ლ |
| Pendir - ყველი | 1 porsia - პორცია | 3 lari - ლ |
| Göyərti - მჯვანილი | 1 porsia - პორცია | 2 lari - ლ |
| Meyvə - ხილი | 1 porsia - პორცია | 5 lari - ლ |

ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია სოციალურ ქსელში ერთ-ერთი თურქული რესტორნის მენიუს ფოტოს ავრცელებს, სადაც კერძების სახელწოდებები დამახინჯებული ქართულით წერია. ღვინჯილიას განცხადებით, თურქული ენის გავლენა ქართული ენის განვითარებაზე დღითი დღე ძლიერდება, მიზეზი კი პარლამენტის მიერ „საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის“ შექმნის პროცესის შეფერხებაა.

– ჩუმად, ჩუმად, ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოოოს!!!

როგორც თავადაც ხედავთ, დღითი დღე ძლიერდება თურქულის კეთილისმყოფელი გავლენა ქართული ენის სრულქმნასა და განვითარებაზე.

გთხოვთ, ეს ტექსტი, რაც შეიძლება, ხმადაბლა წაიკითხოთ: ემანდ, ჩვენი მძინარე მთავრობა არ გააღვიძოთ.

პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონის შესაბამისად, ჯერ კიდევ შარშან დეკემბერში რომ უნდა შეექმნა „საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი“ და ამა წლის 1-ელ თებერვლამდე რომ უნდა დაენიშნა ამ დეპარტამენტის თავმჯდომარე და დაემტკიცებინა დებულება, აი, ის მთავრობა!!!

რაც შეეხება სიტყვა „საჭმელის“ თურქულ ვერსიას (იხ. ფოტოზე), ვფიქრობ, იგი რეალობასთან უფრო ახლოსაა და სწორედაც მისგან მომდინარე უნდა იყოს ქართული ვარიანტი.

როგორც ჩანს, ქართულად „საჭმლის დანიშნულება“ და „ჭამის საბოლოო მიზანი“ ჩვენმა მეგობარმა თურქებმა უფრო ადეკვატურად გაიაზრეს.

ეს არაა პირველი შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის ქართული არსებითი სახელი დანარჩენ მსოფლიოში თურქული ვარიანტით ვრცელდება და ეს ხდება არა მარტო იმის გამო, რომ თურქულს არ მოეპოვება „ჭ“ და „წ“ ბგერები და მათ ნაცვლად „ჯ“-ს იყენებს (ამიტომ დაერქვა „აჭარას“ „აჯარა“ > რუს. Аджария > ინგ. Adjara).

დიდება დიდ თურქულ ენას!!!

წინ, დიდი ოსმალეთისაკენ!!!

„ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას“!!!

იავ ნანა, ვარდო ნანა, ჩვენო მთავრობაო!

{ფოტოდოკუმენტის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდი აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ სოლისტ გიო ელიავას}. (რეპორტიორი)

## ქორწინების თემაზე „ქართული ოცნების“ ინიციატივას „რესპუბლიკელი“ ფრიდონ საყვარელიძე შეუერთდა



ქორწინების თემაზე „ქართული ოცნების“ მიერ მომზადებულ საკონსტიტუციო წინადადებას ფრაქცია „რესპუბლიკელებიდან“ დეპუტატი ფრიდონ საყვარელიძე შეუერთდა.

ეს გადაწყვეტილება საყვარელიძემ დამოუკიდებლად მიიღო. დეპუტატისთვის უცნობია, მიიღებენ თუ არა ანალოგიურ გადაწყვეტილებას ფრაქციის სხვა წევრები.

მისი თქმით, „რესპუბლიკური პარტია“ ცალსახად უჭერს მხარს იმას, რომ ქორწინება – ეს არის ქალისა და მამაკაცის კავშირი.

შეგახსენებთ, რომ ქორწინების, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის, კონსტიტუციით განსაზღვრის თაობაზე მმართველი გუნდის მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე კომენტირებისას პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „რესპუბლიკური პარტია“ ინიცირების პროცესს პოლიტიკურად გაემიჯნა.

დავით უსუფაშვილი მიიჩნევს, რომ ამ თემით დომინირება არ შედის ქართველი ხალხის ინტერესებში და ეს მმართველი გუნდის პოლიტიკური შეცდომაა. პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ის პატივს სცემს კოალიციის იმ წევრებს, რომლებიც საკითხს მორალურ ჭრილში განიხილავენ და არა პოლიტიკურ ჩარჩოში.

კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო კონსტიტუციაში ქორწინების სუბიექტების დაზუსტების ინიციატივას მხარდაჭერას უცხადებს. აღნიშნული ცვლილება ქორწინების, როგორც ქალისა და მამაკაცის სამოქალაქო კოდექსში არსებული განმარტების საკონსტიტუციო დონეზე გამყარებას გულისხმობს. (niuposti)

## 12 მარტს ბორჯღალოსნები რუსეთს შეერკინებიან




12 მარტს ბორჯღალოსნები რუსეთის ნაკრებს შეერკინებიან. რაგბის ევროპის ჩემპიონატის სეზონის მე-4 ტურის მატჩი 12 მარტს სოჭში გაიმართება, ის საქართველოს დროით 16 საათზე დაიწყება.

საქართველო და რუსეთი ამ შაბათს ერთმანეთს მეოცედ დაუპირისპირდებიან.

უკვე გამართულ 19 შეხვედრაში ბორჯღალოსნებმა 17-ჯერ გაიმარჯვეს, მათ ანგარიშზე მხოლოდ 1 წაგება და 1 ფრეა. ბურთების შეფარდება კი 476:224-ია. ლელოები 52/13. სოჭი მეზობელთა შერკინებას მესამედ მასპინძლობს.

თამაშის პირდაპირ რეპორტაჟს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი გადმოსცემს. (ნიუპოსტი)

## „მაესტრო“ „მე-9 არხის“ შენობაში განთავსდება — მხარეებს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია



ტელეკომპანია „მაესტრო“ „მე-9 არხის“ შენობაში განთავსდება. მხარეებს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია.

ლევან გაჩეჩილაძე მიმდინარე კვირაში უკვე დაიწყებს ტექნიკური საკითხების მოგვარებას, რასაც, სავარაუდოდ, 2 თვე დასჭირდება.

აღნიშნული ინფორმაცია „მაესტროს“ გენერალურმა დირექტორმა, ლევან გაჩეჩილაძემ არც დაადასტურა და არც უარყო.

– არ მცალია ახლა და ვერ გიპასუხებთ. არ ვიცი, როდის მეცლება. ბოლო დროს ისე იქცევით ჟურნალისტები, რომ ან არ უნდა გიპასუხოთ, ან ასე გიპასუხოთ, – განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

ამასთანავე, როგორც გაჩეჩილაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ტელეკომპანიის განთავსებასთან დაკავშირებით განიხილება ყველა შენობა, მათ შორის, „მეცხრე არხი“.

– ბევრი დეტალი აქვს განთავსებას – ვინ სად დაჯდება, როგორ დაჯდება, მუშაობის პროცესი, ტექნოლოგიური აღჭურვა როგორ იქნება, – განაცხადა „მაესტროს“ გენერალურმა დირექტორმა. (pia.ge)

## ნადეჟდა სავჩენკოს პეტრო პოროშენკომ ძალოვანი მინისტრის პოსტი შესთავაზა



უკრაინელი მფრინავის ნადეჟდა სავჩენკოს ადვოკატის განცხადებით, პრეზიდენტი პოროშენკო უკრაინელ გმირს მთავრობის განახლებულ შემადგენლობაში მინისტრის თანამდებობის დაკავებას სთავაზობს.

როგორც სავჩენკოს ადვოკატმა მარკ ფეიგინმა სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ გაავრცელა, პრეზიდენტ პოროშენკოს მიერ მიწერილ წერილში საუბარია მინისტრის პოსტის შეთავაზებაზე ძალოვან ბლოკში.

ადვოკატი იმედოვნებს, რომ უკრაინის ლიდერის განცხადება ხელს შეუწყობს მისი დაცვის ქვეშ მყოფი სავჩენკოს განთავისუფლებას.

შეგახსენებთ, რომ პეტრო პოროშენკოს თხოვნის შემდეგ, უკრაინის ეროვნულმა გმირმა ნადეჟდა სავჩენკომ მშრალი შიმშილობა შეწყვიტა.

უკრაინელ მფრინავს 2 რუსი ჟურნალისტის მკვლელობას და რუსეთის საზღვრის უკანონო გადაკვეთას ედავებიან.

პროკურატურა ნადეჟდა სავჩენკოსთვის 23-წლიან პატიმრობას ითხოვს.

სასამართლო განაჩენს 21 მარტს გამოიტანს. (pia.ge)

# სტუდენტების სამი მოთხოვნა თსუ-ს რექტორატს

## რა ხდებოდა გუშინ უნივერსიტეტში?



მაკა დეკანოსიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო დღეებში ატეხილი აურზაური, რომელიც კანცლერის არჩევნებთან დაკავშირებით დაიწყო, გუშინ დღის მეორე ნახევარში გამწვავდა. სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც სტუდენტების ერთმა ნაწილმა სენატის სხდომის ჩაშლა, სენატის სხდომაზე შეჭრით გადაწყვიტა. სტუდენტთა ჯგუფი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის პროფესორის გიორგი გაფრინდაშვილის კანცლერის პოსტზე არჩევას აპროტესტებდა.

მას შემდეგ, რაც უსაფრთხოების სამსახურმა სიტუაციის განეიტრალება ვერ შეძლო, საქმეში საპატრულო პოლიცია ჩაერია, გარე პერიმეტრზე სიტუაციის კონტროლის შემდეგ, პოლიციელები თსუ-ს ადმინისტრაციულ კორპუსში პირველ სართულზე განლაგდნენ და თითქმის ორი საათის მანძილზე სიტუაციას აკონტროლებდნენ, რასაც სტუდენტებისა და ლექტორების პროტესტი მოჰყვა. სენატის სხდომა ჩაიშალა და რექტორი გარკვეული დროის განმავლობაში თავად ცდილობდა დერეფანში სიტუაციის განეიტრალებას.

კანცლერად გაფრინდაშვილის წარდგენამდე, იოსებ არჩვაძის კანდიდატურაც განიხილებოდა, რასაც სტუდენტთა სხვა ჯგუფის, თვითმმართველობის წევრებისა და პროფესორთა დიდი ნაწილის პროტესტი მოჰყვა და არჩვაძე ღიად ამხილეს ევრაზიული კავშირისა და რუსეთის მხარდამჭერ პროპაგანდაში. რის შემდეგაც არჩვაძე იძულებული გახდა, კანდიდატურა მოეხსნა. სწორედ ამ ფაქტს უკავშირებენ თვითმმართველობაში გაფრინდაშვილის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიას.

„ალიასთან“ საუბარში თვითმმართველობის ერთ-ერთი წევრი ლადო პაპავას არჩვაძის ლობირებაში ადანაშაულებს, იმ სტუდენტებს კი, ვინც გაფრინდაშვილის წინააღმდეგ აქცია მოაწყო, იოსებ არჩვაძის წაქეზებულ სტუდენტებად მოიხსენიებს: „დღეს ვინც გაფრინდაშვილის კანცლერად არჩევას აპროტესტებდნენ, ესენი არიან მცირე ჯგუფი, მათ შორის დავინახე ბურჯანაძის პარტიის მხარდამჭერებიც, უნივერსიტეტში 26 ათასი სტუდენტი სწავლობს და მერწმუნეთ, მათი პოზიცია სრულიად განსხვავებულია“, – ამბობს თვითმმართველობის წევრი, რომელმაც ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა.

პროტესტის ორგანიზატორებმა, გარდა გაფრინდაშვილის გაკანცლერებისა, ღიად დაიწყეს თვითმმართველობის კრიტიკაც და მათი წევრები უნივერსიტეტის თანხების გაფლანგვაში დაადანაშაულეს, გაფრინდაშვილი კი „ოდეერთან“ ახლო კავშირში ამხილეს.

ირაკლი კუპრაძე, სტუდენტი: „უკვე მეორე კვირაა ვაპროტესტებთ უნივერსიტეტის თვითმმართველობის პრივილეგირებულობას, მათ არამიზნობრივ ხარჯებს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გახმაურდა, 26 ათას ლარამდე დაიხარჯა ბაკურიანში თვითმმართველობის წევრების დასვენებისთვის, წინა წელსაც მოხდა ანალოგიური შემთხვევა, მაშინ 19 ათასი ლარი დახარჯეს. მიუხედავად კრიტიკისა, წელსაც იგივე გაიმეორეს მათ. რაც შეეხება გაფრინდაშვილის კანდიდატურას, მას ლობირებენ და ფავორიტია თვითმმართველობის წევრების. ჩვენთვის კი მიუღებელია, რადგან, როდესაც გაფრინდაშვილი იყო თვითმმართველობის ერთ-ერთი ფაკულტეტის პრეზიდენტი, „ნაციონალების“ დროს, ეს იყო ყველაზე მძიმე პერიოდი, როდესაც თვითმმართველობის წევრები ძალადობდნენ, სცემდნენ, ავიწროებდნენ სტუდენტებს. ამ ხალხს პროფესორების დევნაში თავის დროზე ძალიან დიდი წვლილი აქვს შეტანილი. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ეს ადამიანი კანდიდატად წარადგინა იურიდიულმა ფაკულტეტმა, არადა თავად გაფრინდაშვილი ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის წარმომადგენელია, ასოცირებული პროფესორია, თავისმა ფაკულტეტმაც კი არ წარადგინა და მხარი არ დაუჭირა, იურიდიული ფაკულტეტის საბჭომ რატომ წარადგინა და ეს უცნაურია. ჩვენ ვითხოვდით შეშვებას სენატის სხდომაზე და აუდიტორიის პიკეტირებას, რომ არ მიგვეცა არჩევნების ჩატარების საშუალება, ვინაიდან ეს არის ერთადერთი ლეგიტიმური ხერხი. ჩვენ, თავისუფალი სტუდენტები, ვებრძვით კლანებს, ვებრძვით „ოდეერებს“, რომლის არსებობის ფაქტიც რექტორმაც დაადასტურა. „ოდეერი“, რომლის სახელიც გაჟღერდა, ეს არის ივა კავსაძე, გაფრინდაშვილის ჯგუფელი და მეგობარი, საკმაოდ მძიმე წარსულით. ის დააკავეს 2013 წელს ლარსის საბაჟოზე „გლობალტივის“ აპარატურის დაზიანებისთვის, მაგრამ მისი ბრალდება აორთქლდა ჰაერში და ის აღმოჩნდა „ოდეერად“ თსუ-ში“.

თვითმმართველობაში ბრალდებებს უარყოფენ, გაფრინდაშვილის მისამართით გაჟღერებულ ბრალდებებს კი უსაფუძვლოს უწოდებენ. თანხა კი, რომლის გაფლანგვაზეც სტუდენტები საუბრობენ, როგორც თვითმმართველობაში აცხადებენ ტრენინგებისთვის დაიხარჯა. მათივე თქმით, პროექტის წარდგენა საჭიროების მიხედვით სხვა სტუდენტებსაც შეუძლიათ და ამისთვის უნივერსიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი სახსრები არსებობს.

რაც შეეხება კანცლერად გიორგი გაფრინდაშვილის წარდგენას, როგორც თვითმმართველობის წარმომადგენელი აცხადებს, ის, რომ წარსულში გაფრინდაშვილი იყო თვითმმართველობის ერთ-ერთი ფაკულტეტის თავმჯდომარე, მუშაობდა ადმინისტრაციაში კანცლერის თანაშემწედ, არ გულისხმობს, რომ ადამიანი არის სისხლისმსმელი, ქვეყნისა და უნივერსიტეტის მტერი, ამ ყველაფერს სჭირდება დოკუმენტური დადასტურება, რაც რეალურად არ მომხდარა. „რაშიც მას დებენ ბრალს, ამას ვერ ადასტურებენ და ვერც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი ჭორებს ვერ დაეყრდნობა გადაწყვეტილების მიღებაში. ადრინდელი ცემა-ტყეპა მოაქვთ ფაქტად, დღეს გამოვიდა ადამიანი, რომელიც მაშინ უშუალოდ იყო ფაქტის მომსწრე და უარყო გაფრინდაშვილის ნებისმიერი სახით მონაწილეობა ამ ინციდენტში. ასე რომ, ბრალდებები მის მიმართ სრულიად უსაფუძვლოა“.

ლევან ლორთქიფანიძე, პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრანტი, სენატის წევრი: მოვითხოვთ გაფრინდაშვილმა სასწრაფოდ მოხსნას კანდიდატურა, უნდა ვიმსჯელოთ სენატმა, თვითმმართველობამ, აკადემიურმა საბჭომ და მოვძებნოთ ისეთი კანდიდატურა, რომელიც იქნება ყველასთვის მისაღები. ორშაბათსა და სამშაბათს უნდა გაგრძელდეს განხილვა. უნივერსიტეტში სწავლობენ ყველა ხედვებისა და ორიენტაციის სტუდენტები, ვინ რომელი პარტიის მხარდამჭერია, ამას ახლა არ აქვს აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა, ამ კონკრეტული პროტესტის ორგანიზატორები არიან სტუდენტები. ვმსჯელობთ ახლა იმაზე, მოვუსმინოთ თუ არა გაფრინდაშვილს, თუმცა ამით არაფერი შეიცვლება, ჩვენთვის მიუღებელია ეს კანდიდატი, რაც არ უნდა განაცხადოს მან. ჩვენ პროტესტმა გაგვაერთიანა და არაფერი შეგვაჩერებს, შედეგი უკვე სახეზეა, მათ დაიხიეს უკან და დღევანდელი სენატი ჩაშლილია. ჩვენ რომ ორი კაცი ვყოფილიყავით აქ და არ გვქონოდა საზოგადოებასთან რეპრეზენტაცია, შედეგი არ მოჰყვებოდა. გაგვიწიეს ანგარიში, იმიტომ რომ ძალა ვართ“.

მოგვიანებით, პროტესტის პარალელურად უნივერსიტეტის რექტორსა და პროტესტის ორგანიზატორებს შორის შეხვედრა შედგა, სადაც სტუდენტებმა გამოთქვეს კვლავ პროტესტი, თუ რატომ არ ჰქონდათ ინფორმაცია უნივერსიტეტის სენატის წევრებს ერთ-ერთი კანდიდატის, გიორგი გაფრინდაშვილის პიროვნების შესახებ, რომელსაც ბრალად სტუდენტთა წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებები ედებოდა, რისი დამამტკიცებელი ვიდეომასალაც, მათი განცხადებით, ინტერნეტში არსებობს.

რექტორი და სენატი სტუდენტებს მოლაპარაკების გაგრძელებასა და საკითხის განხილვას მომავალი სენატის სხდომაზე შეჰპირდა. თუმცა სტუდენტების ერთი ნაწილი, ჯერჯერობით არ ეთანხმება ადმინისტრაციის შეთავაზებას და აცხადებს, რომ ეს არის მხოლოდ დროის გაყვანის მცდელობა და აქციის გაგრძელებას უწყვეტ რეჟიმში კვლავ გეგმავენ. ასევე, მოითხოვენ, რომ თსუ-ს ხელმძღვანელობამ რეაგირება მოახდინოს მომხდარ ფაქტზე, როდესაც უნივერსიტეტში საპატრულო პოლიციის თანამშრომლები შევიდნენ, რაც, მათი თქმით, უნივერსიტეტის ავტონომიის უხეში დარღვევაა და მესამე მოთხოვნა უნივერსიტეტის გაწმენდას ეხება გარე ძალებისგან, რათა საბოლოოდ განთავისუფლდეს ე.წ. ოდეერებისგან, რომლებმაც უნივერსიტეტში კლანური სისტემა შექმნეს. თსუ-ს სტუდენტები, ასევე, მოუწოდებენ სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებს თანადგომისკენ და ერთად ბრძოლისკენ მახინჯი სისტემის მიმართ.

პროტესტის ადრესატი გაფრინდაშვილი კი ჯერჯერობით პრესასთან კომენტარს არ აკეთებს, როგორც მისი ახლო გარემოცვის წევრები ამბობენ, გაფრინდაშვილი მის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიასა და ბრალდებებს მოგვიანებით უპასუხებს.

## თეა წულუკიანი: ერთსქესიანი პირების დაქორწინებას ვერც ევროპა, ვერც დასავლეთი და ვერც ასოცირების ხელშეკრულება ვერ დაგვავალდებულებს



– მეც ამ საზოგადოების ნაწილი ვარ და ვიზიარებ აზრს, რომ ოჯახი და ქორწინება არის ერთობა ქალსა და მამაკაცს შორის და ვფიქრობ, რომ ეს უნდა ჩაიწეროს საქართველოს კონსტიტუციაში, – ეს განცხადება იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გააკეთა და დაამატა, რომ საქართველოს ვერავინ დაავალდებულებს, რომ დავაქორწინოთ ერთსქესიანი პირები.

– ჩვენ უნდა გვესმოდეს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ, რომ ვერც ევროპა, ვერც დასავლეთი, ვერც ასოცირების ხელშეკრულება, ვერც რომელიმე საერთაშორისო სასამართლო, ვერ დაგვავალდებულებს, რომ დავაქორწინოთ ერთსქესიანი პირები. საერთაშორისო ვალდებულება არ გვაქვს და ვერ გვექნება. სტრასბურგის სასამართლოც კი ამბობს, რომ ეს ისეთი თემებია, რომელიც საზოგადოების შიგნით უნდა გადაწყდეს ყველა ქვეყანაში. დღეს ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობს თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ერთსქესიანი პირები უნდა ქორწინდებოდნენ. მეც ამ საზოგადოების ნაწილი ვარ და ამ აზრს ვიზიარებ, რომ ოჯახი და ქორწინება არის ერთობა ქალსა და მამაკაცს შორის და ვფიქრობ, რომ ეს უნდა ჩაიწეროს საქართველოს კონსტიტუციაში, რადგან სამოქალაქო კოდექსის ის ფორმა, რომლითაც იუსტიციის სახლებში წყვილებს ვაქორწინებთ, კიდევ უფრო გამყარდეს. გამყარდეს იმ ქვეყანაში, რომელიც დგას ამ ტრადიციულ ღირებულებებზე. შესაბამისად, ამ ინიციატივას და პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებას მხარს ვუჭერ და ჩემს როლს შევასრულებ იმისთვის, რომ ეს იქცეს კანონად, – განაცხადა თეა წულუკიანმა. (guardian.ge)

## ქუთაისში უცნობმა მამაკაცმა იეჰოვას მოწმეებს სტენდი დაუმტვრია და ბუკლეტები დაუხია

ქუთაისში ე.წ. სტეკლოტარას დასახლებაში უცნობმა მამაკაცმა იეჰოვას მოწმეებს მოძრავი სტენდი დაუმტვრია.

როგორც იეჰოვას მოწმეების იურისტი მანუჩარ ციმინტია ამბობს, მამაკაცმა 2 ქალს, რომლებიც მოძრავ სტენდთან მუშაობდნენ, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდეგაც მიიმალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტზე მოკვლევა მიმდინარეობს. (rustavi2.com)

## „ნაცმოძრაობა“ იძულებულია, ამაზე რეაგირება მოახდინოს — არ დაუჭერს მხარს — ვაი, დაუჭერს და — ვუი“



ექსპერტ თორნიკე შარაშენიძის განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კამპანია ახალი ინიციატივით დაიწყო, რომელიც, სავარაუდოდ, კონსტიტუციაში უნდა შევიდეს.

შარაშენიძის თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ აღნიშნულმა ინიციატივამ დილემის წინაშე დააყენა.

– „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კამპანია იმით დაიწყო, რომ კონსტიტუციაში ოჯახის განმარტების ჩაწერას ითხოვს. „ნაცმოძრაობა“ იძულებულია, ამაზე რეაგირება მოახდინოს – არ დაუჭერს მხარს – ვაი, დაუჭერს და – ვუი... მახსენდება ქუცნაშვილის ერთ-ერთი ბოლო გამონათქვამი: თუ 2012 წლის არჩევნები იყო ბრძოლა ბოროტსა და კეთილს შორის, 2016 წლის არჩევნები იქნება საარჩევნო პროგრამებისა და იდეების ბრძოლა. მაგრად დაიწყო იდეების ბრძოლა, – წერს შარაშენიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. (pia.ge)

## მამა ანთიმოზი 17 მაისს ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებს



არქიმანდრიტი ანთიმოზი (ივერიელი) საზოგადოებას 17 მაისს ოჯახთან ერთად ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებს. აღნიშნულის შესახებ განცხადება მან „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე გაავრცელა.

– 17 მაისი – ყველანი ქუჩაში! ცოლებით, შვილებით. მოვაწყოთ მშვიდობიანი მსვლელობა. დავანახოთ ამ ურჯულოებს, რამდენნი ვართ, – წერს არქიმანდრიტი ანთიმოზი (ივერიელი).

შეგახსენებთ, რომ 2013 წლის 17 მაისს საქართველოში „ლგბტ“ პირებისა და მათი მომხრეების დემონსტრაცია დაპირისპირებით დასრულდა. 2014 წელს კი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 17 მაისი ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღედ გამოაცხადა. (ნიუპოსტი)

ლაურა აბრამია
591 97-67-09



# „ბოლოს როდის გარეცხე შენი ტრუსიკი?“

## ვინ არიან და რა მიზნით ჩაატარეს ქალებმა აქცია კაცების წინააღმდეგ?






9 მარტს ფილარმონიასთან ფემინისტებმა აქცია მოაწყვეს. რა გააპროტესტეს, ვერ მიხვდებოდი, ისეთი შინაარსის პლაკატები გამოფინეს. ასე, მაგალითად: „არ გათხოვდე, გათხოვება ქმრის მსახურებაა“, „ბოლოს როდის გარეცხე შენი ტრუსიკი?“ და ა.შ. სოციალური ქსელი ლამის ააფეთქა ამ აქციის გარჩევებმა: „თქვენ ვინ გეკითხებათ, ბიჭო, ვინ გათხოვდება, ვინ ვის „მოემსახურება“ და ვინ კიდე ტყავის ტრუსიკით და ხელში მათრახით და ვინ ... ერთმანეთს???“ – ასეთი იყო ჟურნალისტ ბაკურ სვანიძის გამოხმაურება „ფეისბუკ“-გვერდზე.

**რა იყო ეს გამოსვლა, რას ემსახურება?**

**„ალიას“ ბაკურ სვანიძე ესაუბრა:**

**— ბაკურ, რა იყო, რამ გაგალიზიანათ?**

– როგორ გითხრათ, ცოტა არ იყოს, ძალიან კომიკურია ეს შემთხვევა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ არის ყურადღება გასამახვილებელი. ესენი, ვითომ „ფემინისტკები“, გინდა თუ არა, ტენიან ქალებს აზრს, რომ ისინი არიან ქმრის მსახურები. დიახ, ცოლქმრული ურთიერთობა რა არის? ურთიერთმსახურება, როცა ერთსაც და მეორესაც სიამოვნებს, გაუკეთოს რამე სასიამოვნო და ა.შ. რა არის ამაში ცუდი და მიუღებელი? ამ ჰორმონდარღვეულებს შეუძლიათ, ასე იცხოვრონ, სძულდეთ კაცები, მაგრამ არამათნაირებზე ეს ზემოქმედებაა.

**— და გამოხატვის თავისუფლებას თუ გავითვალისწინებთ, მათ ვერავინ აუკრძალავთ მსგავსი რამეების ძახილს...**

– იმას კი არ ვამბობ, რომ ამათ ტანკებით ვდიოთ. ჩვენ ვერ გავვარდებით ახლა ფილარმონიასთან და ამ გაუგებარ არსებებს თავზე ვერ გადავახევთ ამ პლაკატებს, მაგრამ მოზარდებამდე სწორად და ფაქიზად უნდა მივიტანოთ საკითხის მართებულება. ლესბოსელი ხარ? იყავი, წადი შენს სივრცეში, რაც გინდა, ის აკეთე, იქირავე ბინა და გინდა ვიბრატორით ასიამოვნეთ ერთმანეთს, გინდა პოლის ჯოხით, ამ ტიპის განცხადებას ნუ გვიფრიალებთ სახეზე... ფემინისტი ხარ? არ გევასება მამაკაცები? ნუ გევასება, ნუ თხოვდებიო, რომ მოუწოდებ, ვინ გეკითხება შენ?!

**— და მაინც, ვინ არიან, რასთან გვაქვს საქმე, ვინ შეიძლება ამ ყველაფერს მართავდეს?**

– პირველ რიგში ფულთან გვაქვს საქმე, დიდ ფულთან. შენ თუ გამოდიხარ „ელგებეტე“ პროპაგანდის წინააღმდეგ, ამის პროპაგანდა არის ცუდიო, გიწოდებენ რუსულ პროპაგანდისტს. ვერ მივხვდი, რა შუაშია რუსული ან ამერიკული, ან ჩინური? რა შუაშია როდესაც საუბარია ადამიანურ ზნეობასა და მორალზე? ისინი ზნეობის პროპაგანდას რუსულს უწოდებენ!

**— და რა არის ამ ყველაფრის მიზანი?**

– ანარქიაა მათი მიზანი, მარტივად რომ ვთქვათ და ანარქია დაღუპავს სახელმწიფოს, მათი მიზანი არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაღუპვა. შეიძლება ამაზე ვიღაცას გაეცინოს, მაგრამ ამ თემებზე მე ჯერ კიდევ მიშას ხელისუფლებამდე ვწერდი. ვიღაცები დამცინოდნენ, ამ თემებს რას აქტიურებო, გამოჩნდა, რომ მაშინ მართალი ვიყავი. ძირითადი მათი ლოზუნგი რომ იყო, – არ გათხოვდე! გათხოვება ნიშნავს ქმრის მსახურებასო. მსახურება რა შუაშია, ადამიანები ერთმანეთზე ზრუნავენ, ეს თუ მოსამსახურეობად აღვიქვით, რა გამოდის? ზოგადად, ადამიანები ერთმანეთს ემსახურებიან, ნორმალურ ადამიანს გაქვს მოთხოვნილება, მოემსახურო, ანუ იზრუნო ძვირფას ადამიანებზე, ზრუნვას ამათ მონობა დაარქვეს. ნორმალური ქალები, აი, სოციალურ ქსელშიც წერენ, რომ არ ჰგონიათ ასე, რომ მათ უნდათ იზრუნონ სხვებზე, ესენი ეუბნებიან არა, შენ არასწორად აღიქვამო, კარგი რა... კარტოფილს თუ წვავ იმიტომ, რომ ქმარს უყვარს, ესე იგი ქმარი „გაჩმორებს“? საერთოდ, მსგავსი დამოკიდებულება, წინასწარი განწყობა, – „ვაი, ამას ეს რომ გავუკეთო, „დავჩმორდები“, – ღუპავს ურთიერთობას, მათ შორის ცოლქმრულს. ესაა მარტივი ჭეშმარიტება. არავის ეწყინოს, მაგრამ რატომღაც ქალების რაღაც პროცენტს უფრო აქვს ეს განცდა – ვაი, ამას ეს თუ გავუკეთე, დავიჩაგრები, მოახლე გავხდები... ეს არაა სწორი.

## პაატა ქურდაძე — ჩვენ ძალიან ექსტრემისტი ერი ვართ უფლებების დარღვევაშიც და დაცვაშიც



ჩემს შვილებს სკოლაში შეიძლება, ვინმემ უთხრას, რომ ტოლერანტები უნდა იყვნენ ჰომოსექსუალების მიმართ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ქართველ ბავშვებზე უფრო ცუდები გახდებიან. – ასეთი კომენტარი გააკეთა საფრანგეთში მცხოვრებმა პაატა ქურდაძემ გადაცემა „20/30“-ში, ქორწინების ცნების შესახებ საკონსტიტუციო ჩანაწერის საკითხის კომენტირებისას.

ამასთანავე, მისივე თქმით, თუ ამ ცვლილებით ქართველი საზოგადოება დაწყნარდება, მაშინ თავადაც რომ იყოს დეპუტატი, ინიციატივას მხარს დაუჭერდა.

– კონსტიტუციაში ჩანაწერის გაკეთება არაფერს შეცვლის, მაგრამ, თუ ეს ჩანაწერი აღელვებულ საზოგადოებას სიმშვიდის გარანტიას მისცემს, რომ მთელი საქართველო ერთ დღეს ჰომოსექსუალი არ გახდება და მამაკაცები არ დაქორწინდებიან, რატომაც არა. დეპუტატი რომ ვიყო, მხარს პირველ რიგში დავუჭერდი, რადგან დღეს საქართველოს სიმშვიდე სჭირდება. ჩვენ, ზოგადად, ძალიან ექსტრემისტი ერი ვართ უფლებების დარღვევაშიც და დაცვაშიც. ტოლერანტულები, პირველ რიგში, ერთმანეთის მიმართ უნდა ვიყოთ. ჯერ ერთმანეთის მოსაზრებებს უნდა ვცეთ პატივი და ევროპაზე მერე ვილაპარაკოთ, – აღნიშნა პაატა ქურდაძემ გადაცემა „20/30“-ში. (2030.news)

## გორში ახალგაზრდა მამაკაცი გაგუდული იპოვეს




გორში 39 წლის მამაკაცი გაგუდული იპოვეს. არსებული ინფორმაციით, მამაკაცი ოთახში გაჩენილი ცეცხლის კვამლმა გაგუდა.

შემთხვევა კომბინატის დასახლებაში, ე.წ. ნარკოლოგიურის შენობაში მოხდა, სადაც დევნილი ოჯახები ცხოვრობენ. გარდაცვლილის მეზობლების თქმით, შემთხვევის დროს მამაკაცი სახლში მარტო იმყოფებოდა, მათ სასწრაფოსა და საპატრულო პოლიციას მას შემდეგ გამოუძახეს, რაც კორპუსში კვამლი შენიშნეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „თურქეთიდან რომ ამდენი ნაგავი შემოაქვთ, იქ არ არის ჩვენი ტერიტორიები დაკავებული?“ — გოგი თოფაძე



გოგი თოფაძის მორიგი სკანდალური განცხადება – საპარლამენტო უმრავლესობის წევრისთვის გაუგებარია პროტესტი, რომელიც „გაზპრომთან“ მოლაპარაკებებს მოჰყვა.

განცხადება მრეწველების ლიდერმა კომიტეტის სხდომაზე გააკეთა, სადაც ენერგეტიკის მინისტრმა დეპუტატებს ენერგეტიკის სფეროში არსებული ვითარება და რუსულ ენერგოკომპანია „გაზპრომთან“ მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესი გააცნო.

თოფაძემ სიტყვით გამოსვლისას კითხვით მიმართა დეპუტატებს, რატომ არ უჩნდებათ პროტესტი თურქეთის მიმართ, საიდანაც თოფაძის თქმით, „ამდენი ნაგავი შემოაქვთ“ და რომელსაც ასევე აქვს „ჩვენი ტერიტორიები დაკავებული“.

– ამაზე ააგეს, რომ თურმე, როგორ შეიძლება რუსეთმა ჩვენი ტერიტორიები დაიკავა და „გაზპრომთან“ საუბარი არ შეიძლება. მწვანილის გატანა შეიძლება, ღვინის გატანა შეიძლება? თუ ასე ვუდგებით, მაშინ თურქეთიდან რომ ამდენი ნაგავი შემოაქვთ, იქ არ არის ჩვენი ტერიტორიები დაკავებული? – განაცხადა თოფაძემ.

გოგი თოფაძის ამ სკანდალური განცხადების შემდეგ, ის უმრავლესობის ლიდერის კაბინეტში დაიბარეს, თუმცა თოფაძეს კვაჭანტირაძესთან შეხვედრის შემდეგ კომენტარი აღარ გაუკეთებია.

თოფაძის განცხადება განმარტა მისმა თანაგუნდელმა ზურაბ ტყემალაძემ. დეპუტატი ამბობს, რომ თოფაძემ რუსეთსა და თურქეთს შორის პარალელი სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებით გაავლო. (rustavi2.com)

## რუსთავში ბუნებრივი აირის ნამწვით 33 წლის ქალი გარდაიცვალა, ბავშვები მოიწამლნენ




რუსთავში, ფალიაშვილის ქუჩაზე, ბუნებრივი აირის ნამწვის შესუნთქვით მიღებული ინტოქსიკაციით 33 წლის ქალი გარდაიცვალა.

გარდაცვლილის მცირეწლოვანი შვილები მოიწამლნენ და რუსთავის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. (info9)

## ნინი წიკლაური „ფეისბუქს“ აუქმებს — „ბევრად მარტივად ვცხოვრობდი“



მომღერალმა ნინი წიკლაურმა გადაწყვიტა, „ფეისბუქი“ გააუქმოს. ამის შესახებ სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე დაწერა, რომელიც ჯერ კიდევ ფუნქციონირებს:

– ძალიან ცუდ ინფორმაციას ვიღებ ყოველდღიურად „ფეისბუკის“ საშუალებით. ნეგატიური ინფორმაცია ბევრად მეტია, ვიდრე დადებითი. მისი გაუქმების გადაწყვეტილება იმან მიმაღებინა, რომ დღეს დილას წავიკითხე, როგორ მოიკლა თავი ბავშვმა. არ შემიძლია, ყოველდღე ამდენი ნეგატივის მიღება. ადრე „ფეისბუქი“ გაუქმებული მქონდა და მივხვდი, რომ ბევრად მარტივად ვცხოვრობდი. საკონტაქტოდ ინსტაგრამი და იმეილი მაქვს.

მომღერლებისთვის „ფეისბუკი“ საკმაოდ კარგი საშუალებაა, თუნდაც საკუთარი ნამუშევრების გასაზიარებლად...

ცხადია, ბევრი პლუსი აქვს. თუნდაც შენი პოზიციის ან ნაშრომის გასაჯაროებისთვის კარგი საშუალებაა, მაგრამ სხვა რამეს მოვიფიქრებ. ჩემს მეგობრებს აქვთ „ფეისბუკი“ და თუ დამჭირდება, გამოვიყენებ.

*musicbox.ge*

## ბედნიერი ფოტო — „მგზავრების“ დიდი ოჯახი



ჯგუფი „მგზავრები“ დიდი ხანია, უკრაინასა და რუსეთში გასტროლებზე დადის, საქართველოში მათი აქტივობა ამჟამად ძალიან მცირეა. მათი პოპულარობა საზღვრებს გარეთ იზრდება, ისევე, როგორც იზრდება მათი ოჯახიც.

რამდენიმე თვის წინ ჯგუფის სოლისტს, გიგი დედალამაზიშვილს გოგონა შეეძინა უკრაინელ მეუღლესთან, მარინა კარპისთან.

შვილები ჯგუფის სხვა წევრებსაც ჰყავთ. „მგზავრებმა“ გადაწყვიტეს, თავისი ბედნიერება თაყვანისმცემლებისთვისაც გაეზიარებინათ და დიდი ოჯახური ფოტო გადაიღეს.

ფოტოს უამრავი მოწონება ხვდა წილად: „კარგებო და კეთილებო“, „თქვენ საუკეთესოები ხართ“, „დადებითი მუხტი“, - უწერენ ჯგუფის წევრებს სოციალურ ქსელში.

*fortuna.ge*



**როგორც აღმოჩნდა, 112-ში დღე-ღამის განმავლობაში 21 000-მდე ზარი შედის და აქედან ნახევარი არამიზნობრივია.**

**ხომ წარმოგიდგენიათ, თანამშრომლებს რა კურიოზების მარაგი ექნებათ. ისიც ხომ წარმოგიდგენიათ, რა წარმოუდგენელი კითხვებით შეიძლება მიმართოთ საზოგადოებამ.**

**ჰოდა, ამ კურიოზების ნაწილი საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ მოგვაწოდა, ნაწილიც თავად მოვიძიეთ.**

**ვინაიდან ოპერატორებისა და ზარის ავტორების ვინაობის გამხელა არ შეიძლება, გთავაზობთ კურიოზულ ზარებს კონკრეტული მთხრობელის გარეშე.**

**თურმე, ხშირად, ხანშიშესული მოქალაქეები იმის თაობაზე რეკავენ, რომელი საათია, თენდება თუ ღამდება და ა.შ.**

### ცოლი მომაყვანინეთ, რა...

ერთხელ, თურმე, ნათესავებისგან შეწუხებულმა ახალგაზრდა კაცმა დარეკა და დახმარება ითხოვა:

– რა ვქნა? გოგო მიყვარს და ახლობლები მეჩხუბებიან, ლოტკინიდან ლილომდე რით ვერ მოიყვანეო...

### ჯერ თქვენთვის არ გვცალია!

ბრიგადა ინიციატორს მისამართთან დაკავშირებით დეტალების გასარკვევად გზიდან ურეკავს:

– გამარჯობა, 112-დან გიკავშირდებით...

– ვაიმე, თუ არ შეწუხდებით, 5 წუთში გადმორეკეთ, ავადმყოფი აბაზანაშია.




*****

ერთ-ერთ ზარზე პასუხის შემდეგ ოპერატორს ძალიან სერიოზულად „რწყილი და ჭიანჭველას“ ზღაპრიდან ინფორმაცია სთხოვეს – „მეგობრები შევიკრიბეთ და ვერაფრით ვიხსენებთ, მუხა რწყილს ვისთან აგზავნის და ძალიან გთხოვთ, დაგვეხმარეთო“...

*****

მფრინავ თეფშთან დაკავშირებით ზარი რამდენჯერმე დაფიქსირდა. 112-ის შენობა მფრინავი თეფში ჰგონიათ და მთელი მონდომებით ცდილობენ ოპერატორების დარწმუნებას, რომ არსებობს, ხედავენ და არ ეჩვენებათ...

*****

– თბილისის რომელ რაიონში იმყოფებით, ქალბატონო?

– ლენინის რაიონში...

– უკაცრავად, ქალბატონო, ეგ რომელი რაიონია?

– მეტრო ოქტომბერთან...



*****

ხშირია დაოჯახებასთან დაკავშირებული ზარებიც. აი, რამდენიმე მათგანი:

– მოქალაქე მეზობლის გასათხოვებლად დახმარებას ითხოვს. თურმე მეზობელმა მამაკაცების მიმართ თავისი საქციელით ადგილობრივები შეაწუხა.

*****

– 45 წლის ქალი მომავალი მეუღლის მოძებნაში რამდენიმე წელია დახმარებას ითხოვს, რადგან 112-ის თანამშრომლების გარდა, ვერავის ენდობა. ხმის გამცემი არავინ ჰყავს, ტელევიზორში საინტერესო არაფერია და რომ არ გაგიჟდეს, აუცილებელია, ვინმე მუდმივად გვერდში ჰყავდეს.

*****

– 112 გისმენთ.

– ჩემო კარგო, სანდო ტელეფონია და შეგიძლიათ, დამეხმაროთ?

– რა სახის დახმარება გჭირდებათ?

– ასე მითხრეს, თუ ამ ნომერზე დავრეკავ, სანდო ადამიანზე გაგათხოვებენო...

*****

შეშინებულმა მამაკაცმა დარეკა და სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადის გამოძახება მოითხოვა:

– 4 წლის ბავშვს თავზე ურჩხული აზის.

მისივე ინფორმაციით, მსგავსი ურჩხულები რუსეთშიც გავრცელებულია და ადამიანის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის.

ეგრეთ წოდებული ურჩხული ტკიპა აღმოჩნდა.

*****

– გამარჯობა, მრავალს დეესწარით. დილომში მაგარი ფართი გვაქვს და თუ მოხვალთ, გაასწორებს.

*****

– ალო, სასწრაფოა?

– გამოძახება გნებავთ? რომელი ქალაქია?

– რომელი საათია? მიდი, ბიჭო, ნახე. შვიდის ნახევარია.

– არა, ქალბატონო, რომელი ქალაქია?

– მიდი, ბიჭო, ნახე კარგად, შვიდის ნახევარია, შვიდის...

*****

– ალო, გამარჯობა. თუ შეიძლება ფასიანი ტაქსის ნომერი მითხარით.

– უფასო ტაქსი არის რომელიმე?

*****

– 112 გისმენთ.

– მადლობა ღმერთს, რომ მისმენთ? იცით, ვინ გირეკავთ? დედოფალი მომავალი საქართველოსი...

*****

– 112 გისმენთ.

– გამარჯობა, სასწრაფოს გამოძახება გვინდა.

– საიდან გვიკავშირდებით, ბატონო?

– მობილურიდან...

*****

– 112 გისმენთ.

– უცხოურმა კრაზანამ მიკბინა, საშიშიაო და...

– უცხოური კრაზანა როგორია, ბატონო?

– მყავ, აქა, „სპიჩკის“ ყუთში მყავ!

– თავს როგორ გრძნობთ?

– მაღონებს...



## სტანისლავ ბონდარენკოს თბილისური დღეები — „ნანუკამ ყველას დაასწრო“



სტანისლავ ბონდარენკოს თბილისში ჩამოსვლას ბევრი მოუთმენლად ელოდა. მსახიობი ცხრა მარტს მოზარდ მაყურებელთა თეატრში იყო მიწვეული, თეატრში მსახიობის მისვლას თაკო ცქვიტინიძე „ფეისბუკზე“ გამოეხმაურა:

„პოსტებისა და სტატუსების წერით არ გამოვირჩევი და ამას იშვიათად ვაკეთებ ხოლმე... ძირითადად ტკბილეულის გაზიარების დედა ვარ, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ გუშინ ჩემს თეატრში პრემიერა იყო. რატომღაც სტასის თეატრში მოსვლა ბევრად შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანი იყო, რასაც მე პირადად არ ვიზიარებ. ეს ისე სხვათა შორის... მინდა მიულოცო წარმატებული პრემიერა მთელ შემოქმედების ჯგუფს“, – წერს თაკო.

შეგახსენებთ, რომ გუშინ, 9 მარტს, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში სპექტაკლის „ღამე და თუთიყუში“ პრემიერა შედგა.

მომდევნო დღეს კი სტანისლავ ბონდარენკოსთან ინტერვიუ ნანუკა ჟორჟოლიანმა ჩაწერა.

ინტერვიუს ჩაწერის ამსახველი ფოტოები სოციალურ ქსელში მალევე გავრცელდა და აღფრთოვანებულმა კომენტარებმაც არ დააყოვნა.

სტანისლავს ქართველი გოგონების გულთამპყრობელი შეარქვეს და ამჯერად წერენ, რომ ნანუკამ ყველას დაასწრო.

ბევრს ინტერვიუზე ნანუკას ჩაცმულობა მოეწონა, ზოგიც ბონდარენკოს გამბედაობითა და საქციელითაა აღფრთოვანებული.

შეგახსენებთ, სტანისლავი თბილისში საქველმოქმედო მისიითაა ჩამოსული.

*reitingi.ge*

## კრისტი ყიფშიძის ულამაზესი და მეამბოხე ქალიშვილი — „მომწონს ყველაფერი, რაც ჩემთვის ცუდია“



მსახიობ გიორგი ყიფშიძისა და მოდელ კრისტი ყიფშიძის გოგონამ, ნატალიამ უკვე დიდი ხანია ბევრის ყურადღება მიიქცია.

საუბრობენ, რომ მან გარეგნობით ლამაზმანი დედა დაჩრდილა. ნატალიამ რამდენიმე დღის წინ ცისფერი ომბრე გაიკეთა და სოციალურ ქსელში ბევრი მოწონება დაიმსახურა.

„მომწონს ყველაფერი, რაც ჩემთვის ცუდია“, – წერს ნატალია და ახალ იმიჯში გადაღებულ ფოტოებს აქვეყნებს.

*marao.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ღმერთის დაცინვის ცნობილი ფაქტები და შედეგები



ჯონ ლენონმა საკუთარი წარმატების პიკზე (1966 წელს) ამერიკული ჟურნალისადმი მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

„ქრისტიანობა მალე დასრულდება; ის, უბრალოდ, გაქრება. ამაზე კამათიც კი არ მსურს. დარწმუნებული ვარ ამაში. იესო იყო, მაგრამ მისი იდეები ძალზე მარტივი იყო. დღეს ჩვენ უფრო ცნობილები ვართ, ვიდრე ის“! მას შემდეგ, რაც მან თქვა, რომ „ბითლზი“ უფრო ცნობილი იყო, ვიდრე იესო ქრისტე, ის ტრაგიკულად დაიღუპა. ერთმა ფსიქოპატმა მას ექვსჯერ დამიზნებით ესროლა. აღსანიშნავია, მკვლელმა ეს ჩაიდინა იმისთვის, რომ ჯონ ლენონისთვის ჩამოერთმია პოპულარობა და სახელი გაეთქვა თვითონ, როგორც ცნობილი მომღერლის მკვლელს.



მერილინ მონროს შოუს პრეზენტაციას ევანგელისტი ბილი გრეიმი დაესწრო. მან უთხრა მსახიობს, ღმერთის სულმა გამომგზავნა შენთან საქადაგებლადო. მერილინ მონრომ მქადაგებელს მოუსმინა და უპასუხა:

„მე არ მჭირდება შენი იესო!“ ერთი კვირის შემდეგ მერილინ მონრო მკვდარი იპოვეს საკუთარ საცხოვრებელ სახლში.

ბრაზილიელი პოლიტიკოსი ტანკრედო დი ამეიდო ნევესმა საკუთარი საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს საქვეყნოდ განაცხადა: „თუ მე 500 000 ხმას მივიღებ საკუთარი პარტიიდან, მაშინ თვით ღმერთიც კი ვერ ჩამომაშორებს პრეზიდენტობასო“! რა თქმა უნდა, მან მოაგროვა ეს ხმები, მაგრამ მოულოდნელად ავად გახდა და პრეზიდენტად გახდომამდე ერთი დღით ადრე გარდაიცვალა.

ბრაზილიელი კომპოზიტორმა, მომღერალმა და პოეტმა რიო-დე-ჟანეიროში გამართული კონცერტის დროს მოწია სიგარეტი, ხმაურით გამოუშვა ბოლი ჰაერში და დამცინავად წარმოთქვა: „ღმერთო, ეს შენ“! ის მალევე, 32 წლის ასაკში შიდსით გარდაიცვალა.

ტიტანიკის შემქმნელმა ინჟინერმა სამუშაოების დასრულების შემდეგ რეპორტიორების შეკითხვაზე, რაოდენ უსაფრთხო იქნებოდა მის ჯადოსნურ გემზე მგზავრობა, ირონიით უპასუხა:

„ახლა ღმერთსაც კი არ შეუძლია მისი ჩაძირვა“. ალბათ, ყველამ იცის, რა ბედი ეწია „ჩაუძირავ“ ტიტანიკს.

2005 წელს ბრაზილიის ქალაქ კამპინასში მთვრალი მეგობრების ჯგუფმა გადაწყვიტა, გასართობად წაეყვანათ კიდევ ერთი მეგობარი გოგონა, რომელსაც სახლში გაუარეს. ამ გოგონას დედამ დიდი მღელვარებით მიაცილა შვილი მანქანამდე და თრთოლვით უთხრა: „ჩემო გოგო, ღმერთი იყოს შენთან და მისმა მადლმა დაგიფაროს“! ამაზე შვილმა თავხედურად უპასუხა:

„ჩვენს მანქანაში მისთვის ადგილი უკვე აღარ არის, მაგრამ მას შეუძლია, შეძვრეს საბარგულში და ისე წამოგვყვეს“. რამდენიმე საათის შემდეგ დედას შეატყობინეს, რომ მანქანა საშინელ ავტოკატასტროფაში მოხვდა და ყველა დაიღუპა! თვით ავტომობილი ისე დაზიანდა, რომ მისი ამოცნობაც კი ჭირდა. პოლიციამ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ავტომანქანა თითქმის სრულად არის განადგურებული, ისე, რომ მარკის ამოცნობაც კი შეუძლებელია, საბარგული უვნებელი დარჩაო. ეს ყოველგვარ საღ აზრს ეწინააღმდეგებოდა. როგორი იყო საყოველთაო გაოცება, როცა საბარგული იოლად გახსნეს და მასში აღმოაჩინეს კვერცხების ერთი შეკვრა, რომელთაგან არც ერთი არც გატეხილი და არც გაბზარული არ იყო.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მაღაზია გამყიდველისა და დაცვის გარეშე



არაჩვეულებრივი სადღეღამისო მაღაზია შვედეთის პატარა ქალაქ ვეკენში გაიხსნა. სუპერმარკეტს არც გამყიდველი ჰყავს, არც მოლარე და არც დაცვა. ხოლო ქურდებისგან მაღაზიას მხოლოდ 6 სათვალთვალო კამერა იცავს.

მაღაზიაში რომ მოხვდეთ და რაიმე იყიდოთ, საკმარისია, თქვენს მობილურში ჩატვირთოთ აპლიკაცია და დარეგისტრირდეთ.

პროგრამა Iთ სპეციალისტმა რობერტ ელიასონმა შექმნა. როდესაც თქვენთვის სასურველ პროდუქტებს შეარჩევთ საკმარისია, თქვენი მობილურის კამერით დაასკანეროთ. პროდუქტების სია მყიდველის პირად კაბინეტში აისახება, ხოლო გადასახადის ანგარიში მიმდინარე თვის ბოლოს ბანკიდან მოგივათ.

ორთვიანი მუშაობის მანძილზე მაღაზიას არავითარი პრობლემა არ შეჰქმნია. ამასთანავე, ფასები სხვა სუპერმარკეტებთან შედარებით გაცილებით იაფია, რადგან მეპატრონეს მაღაზიის შენახვა უფრო იაფი უჯდება.

*intermedia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დაუჯერებელი ისტორია ქალზე, რომელმაც ხეზე იმშობიარა




ეს ისტორია 2000 წელს, მოზამბიკში წყალდიდობის დროს მოხდა. ქალს სოფია ერქვა და იგი ორსულობის მეცხრე თვეში იმყოფებოდა. წყალდიდობა კი მოულოდნელად დაიწყო და თავის დახსნა მხოლოდ ხეზე აძრომით იყო შესაძლებელი. სოფია ასეც მოიქცა. თუ როგორ მოახერხა ეს ყოველივე ცხრა თვის ორსულმა ქალბატონმა, დღემდე უცნობია. ხეზე სოფიამ სამი დღე დაყო. ხეს კი წყალი აწყდებოდა. ქალბატონმა აღნიშნული დღეები შიშსა და შიმშილში გაატარა. წყალს შეეძლო, ნებისმიერ დროს ხისთვის მიწა გამოეშალა და სოფიას გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ მსგავსმა სიტუაციამ განაპირობა მშობიარობის დაწყება.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ქალბატონმა წარმატებით იმშობიარა. მას ვაჟი შეეძინა. ქალბატონი აუტანელ ტკივილებს მარტოობასა და ექსტრემალურ სიტუაციაში გაუმკლავდა. მან საკუთარი შვილის სიცოცხლის გადარჩენაც მოახერხა. ეს ისტორია შეგვიძლია, სასწაულსაც კი მივაწეროთ.

*jeje.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბავშვმა პოლიცია გამოიძახა... ჩაცმაში დამეხმარეთო




რის გამო შეიძლება დაურეკო პოლიციას – ყაჩაღობის, ქურდობის, შეურაცხყოფის, მკვლელობის, ათასი მიზეზი არსებობს, რომ პოლიციის დახმარება ითხოვო, მაგრამ ორი წლის ბავშვს ზემოჩამოთვლილი პრობლემები არ შეხებია, ამიტომ რაც აწუხებდა, დახმარებაც იმის გამო ითხოვა.

აშშ-ში, სამხრეთ კაროლინის შტატის პოლიციაში უჩვეულო ზარი შევიდა, როგორც მოგვიანებით პოლიციელი მარტა ლონესი ამბობდა, კი მივხვდით, რომ აშკარად ბავშვის ხმა იყო, მაგრამ სულ რომ ძაღლი გვიძახებდეს, პოლიცია შემთხვევის ადგილზე მაინც უნდა მივიდესო. ჰოდა, მივიდა კიდეც. სახლში შესული პოლიციელების შესახვედრად კი 2 წლის გოგონა გამოტანტალდა, რომელსაც ცალ ფეხზე შარვალი ჩაეცვა, მეორეს ჩაცმა ვეღარ მოახერხა და დასახმარებლად პოლიციას დაურეკა.

კეთილი პოლიციელები, რა თქმა უნდა, დაეხმარნენ გაჭირვებაში მყოფ პატარას და ბონუსად მოფერებაც დაუმატეს. სახლში დაბრუნებული დედა კი შვილის მოხერხებულობით განცვიფრებული და ამაყი იყო.

„რამდენიმე დღის წინ ვასწავლეთ პოლიციის ნომერი, მაგრამ არ მეგონა, თუ მოახერხებდა, პირდაპირ გაოგნებული ვარ“.

აღსანიშნავია, რომ პატარა შინ მარტო არ იყო, მაგრამ ოჯახის წევრს რატომღაც პოლიციის დახმარება ამჯობინა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## უსახლკარო ადამიანი ფულის თხოვნის ნაცვლად რეზიუმეს არიგებდა და სამსახურს ეძებდა



კალიფორნიის შტატის ქალაქ საკრამენტოში უსახლკარო ადამიანმა ხელგაწვდილი დგომისა და მოწყალების თხოვნის ნაცვლად გადაწყვიტა, ქუჩაში დამდგარიყო და საკუთარი რეზიუმე გამვლელებისთვის დაერიგებინა

52 წლის ფრედერიკ კალისონის დაჟინებამ შედეგი გამოიღო და მაიკლ მარტინის დახმარებით სამსახური იპოვა. მაიკლი მარკეტიდან გამოდიოდა, როცა ხელში საკუთარი რეზიუმეთი ქუჩაში მდგარი ფრედერიკი დაინახა. ფრედერიკი ყოფილი მზარეულია და ვაშინგტონიდან იმის გამო წამოვიდა, რომ საკრამენტოში სამაშველო არმიის სამსახურში მზარეულად მუშაობის დაწყებას აპირებდა, მაგრამ არ გაუმართლა, უსამსახუროდ და უთავშესაფროდ დარჩა.

მაიკლმა ყურადღებით წაიკითხა რეზიუმე და თავისი ყოფილი სამსახურის, პიცერიის მეპატრონეს გადასცა. ცოტა ხნის შემდეგ ფრედერიკს დაუკავშირდნენ და სამსახური შესთავაზეს.

„ფრედერიკი ინტერვიუს წინა ღამით მეცადინეობდა და რესტორნის მთელი მენიუ ზეპირად დაიმახსოვრა. მიხარია, რომ მისი დახმარება შევძელი, ნამდვილად იმსახურებს“, – განაცხადა მაიკლ მარტინმა.

*etotupo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მინესოტაში პირველი წყლის ბარი გაიხსნა



მინესოტის შტატში ინოვაციური ბარი გაიხსნა, სადაც სტუმრებს ადგილობრივ, ონკანის წყალს სთავაზობენ. ბარის მეპატრონე ამ ხერხით ცდილობს, რომ წყლის ხარისხის პრობლემებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე გაზარდოს.

„ჩვენ ვეპატიჟებით ადამიანებს, რათა იკონტაქტონ ერთმანეთთან, ასევე, სხვა სტუმრებთან და წყლის რესურსების შესახებ თავიანთი ცოდნა გაგვიზიარონ“.

ბარი შემდეგი დევიზით მუშაობს – „წყალი – ეს არის ყველაფერი, რაც გვაქვს“.

ბარის მეპატრონეს იმედი აქვს, რომ მსგავსი ხერხით მოახერხებს და შეცვლის გაბატონებულ წარმოდგენას, რომ თითქოს, მინესოტა და სხა შტატები წყლის პრობლემისგან თავისუფალია.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დედებო, ნუ გადაყრით ბავშვის მოცვლილ კბილებს – მეცნიერების საოცარი აღმოჩენა



არ არის აუცილებელი, ბავშვის მოცვლილი კბილები მონეტის სანაცვლოდ კბილის ფერიას გაატანოთ.

მეცნიერებმა საოცარ აღმოჩენას მიაგნეს – სარძევე კბილები ღირებული გენეტიკური მასალაა, რომელსაც შეუძლია, სხვადასხვა სერიოზულ დაავადებებს გაუმკლავდეს.

როგორც მეცნიერები განმარტავენ, ბავშვის სარძევე კბილი ღეროვან უჯრედს შეიცავს, რომელსაც ნეირონების, ძვლებისა და ხრტილების, ასევე, გულის კუნთების ზოგიერთი უჯრედის რეგენერაცია შეუძლია. თანამედროვე მედიცინა საშუალებას იძლევა, უჯრედის გამოყენებით ავადმყოფობის შემთხვევაში დაზიანებული ორგანოების აღდგენა მოხდეს.

ბოლო სამეცნიერო აღმოჩენები ადასტურებს, სარძევე კბილის ღეროვანი უჯრედით შესაძლებელია ლეიკემიის, მრავლობითი მიელომასა და ჰოჯკინის დაავადების (ლიმფური ქსოვილის ავთვისებიანი დაავადება) განკურნება. ადრე ამ დაავადებებს მხოლოდ ძვლის ტვინის ან სხვა ქსოვილის გადანერგვით მკურნალობდნენ.

რომ შევინარჩუნოთ ღეროვანი უჯრედები, სარძევე კბილი ამოღებისთანავე 48 საათის განმავლობაში უნდა გაიყინოს.

აშშ-ში და სხვა ქვეყნებში არსებობს გენეტიკური ბანკები, სადაც ჭიპლარსა და ღეროვან უჯრედებს ინახავენ, ახალი ტექნოლოგიების დახმარებით კი ბავშვის ჯანმრთელობის უსაფრთხოება დაცული იქნება.

*plus.kvira.ge*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძემ 593 19-85-99

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. ხერხემლის ბოლო ნაწილი
2. პური ყველის გულით
3. სადაფით დაფარული ძვირფასი ქვა
4. მსახიობი ... ბარდემი
5. ოთხკაციანი ანსამბლი
6. უძველესი აკადემია კახეთში
7. კომპოზიტორი ჯუზეპე ...
8. ძროხის ნაშიერი
9. ჯუჯა
10. მსახიობი ... ჰეპბერნი
11. ქართ. ხალხური ზღაპარი
12. ქალაქი იმერეთში
13. მაროკოს დედაქალაქი
14. სოფელი რაჭაში
15. მისი დედაქალაქია დელი
16. ფრანგი კომედიოგრაფი
17. ილუზიონისტი დევიდ ...
18. ღომში ჩაზელილი სულგუნი
19. დანაშაულის კვლევის მეთოდიკა
20. სასაფლაო თბილისთან
21. ღვინის პოეტური სახელწოდება
22. მსახიობი დანიელ ...
23. „... ვხედავ მზეს“
24. ძველი ეგვიპტის ქალაქი
25. მწვანილი
26. მსახიობი მარლონ ...
27. თვალის ბუდე
28. საყვავილე ვაზა
29. ქართ. მინერალური წყალი
30. მხ/ფ „მიდიოდა ...“
31. ჟურნალისტი ... გრიგოლია
32. ძლიერი ნათურა
33. მეკობრე
34. მიქელანჯელოს ქმნილება
35. დადებითი ელექტროდი
36. შენობა საწნახლით
37. ამერიკული თოჯინა
38. ხორბლის შესანახი შენობა
39. ჯუჯა ცხენი
40. მსახიობი ... ამირანაშვილი
41. თევზის წვნიანი
42. საომარი აღჭურვილობა
43. მწნილი
44. იტყვიან წითელ ლოყებზე
45. სავანის ბინადარი ცხოველი
46. აფხაზური ხაჭაპური
47. ბარდი ... ვისოცკი
48. კოსოვოს დედაქალაქი
49. პატარა ტანის ჩიტი
50. მოუხერხებელი ადამიანი
51. დიკენსი. „ოლივერ ...“
52. ყმაწვილი კაცი
53. მოსამსახურე
54. ლეონარდო და ვინჩის მადონა
55. სოფოკლეს ტრაგედია
56. რომაელი იმპერატორი
57. რომის პაპის რეზიდენცია
58. თეატრალური განცხადება
59. ქვეყნის მკვიდრი მოსახლე
60. გიტარის კორპუსის ნაწილი
61. რუს მეფეთა დინასტია
62. მსახიობი ლივ ...
63. რუსი მხატვარი
64. დაბალი ხარისხის კონიაკი
65. ქვეითი ჯარისკაცი ოსმალეთში
66. აქ გაშენდება ლაზიკა
67. მოდელი ... კასტა
68. სკანდინავიისა და ფინეთის შენადნობი
69. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
70. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
71. მარცხი
72. ცხიმის ამოღება სხეულიდან
73. სურდო
74. გიორგი საკაძის სოფელი
75. ზღვა საბერძნეთთან
76. პერსონა ...-გრატა
77. შხამიანი გველი
78. სახელი და ...
79. მოსამართლის მოსასხამი
80. ქალაქი კანადაში
81. სოფელი გორის რაიონში
82. ლიბრი თვალზე
83. მდინარე ციმბირში
84. მემარცხენე ადამიანი
85. მსახიობი ჯორჯ ...
86. შინაგანი „მე“
87. არგენტინული ჩაი
88. პროვინცია ესპანეთში
89. ლუდის მასალა
90. სოფელი კასპის რაიონში
91. მანქის მეასედი
92. მისი დედაქალაქია სოფია
93. შოკოლადი არაქისით
94. ავტობუსში ბილეთების გამყიდველი
95. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი
96. ყველაზე ღრმა ტბა
97. ძვ. ქართ. ჩასაბერი საკრავი
98. ყურის ანთება
99. შექსპირის ტრაგედია
100. ყოფილი მეკარე სერგო ...
101. კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობა
102. ყინვაგამძლე სითხე
103. მსახიობი იგორ ...
104. ფარული დაცინვა
105. ცელქი
106. ... ფონ ბისმარკი
107. ბიბლიური მთა
108. კენიის დედაქალაქი
109. წარწერა კადრის ქვეშ
110. კოსმოდრომი ყაზახეთში
111. ესტონეთის დედაქალაქი
112. ნიშნავს საწინააღმდეგოს
113. ყველაზე რბილი მინერალი
114. „ჩვენი ეზო“ ... ვასასი
115. წერილი
116. ანჩხლი
117. „... ჩემო ვენახო“
118. ნაზი, სათუთი
119. ღომის მოსაზელი ჯოხი
120. მსახიობი ... დელონი
121. მიმიკის უქონლობა
122. მეფის ვაჟი
123. ვაჟიშვილი
124. მომღერალი ... ხუციშვილი
125. ღორის საჭმელი
126. მხატვარი კლოდ ...
127. მხ/ფ „თავადის ქალი ...“
128. ... ჭავჭავაძე
129. კარებში გატანილი ბურთი
130. კუნძული კანარის კუნძულებში
131. მხატვარი ავთო ...
132. სვე
133. მელა ალისა და კატა ...
134. მსახიობი ... გიბსონი
135. მატყუარა
136. პატარა არხი
137. მხატვარი ... გრეკო
138. ტროას ბერძნული სახელწოდება
139. მდინარე აფრიკაში
140. ჭრილობა



პასუხები: 1. კუდუსუნი; 2. ხაჭაპური; 3. მარგალიტი; 4. ხავიერ; 5. კვარტეტი; 6. იყალთო; 7. ვერდი; 8. ხბო; 9. ლილიპუტი; 10. ოდრი; 11. „მუჭანახევარა“; 12. ხონი; 13. რაბატი; 14. ირი; 15. ინდოეთი; 16. მოლიერი; 17. კოპერფილდი; 18. ელარჯი; 19. კრიმინალისტიკა; 20. მუხათგვერდი; 21. ნუნუა; 22. დარიე; 23. მე; 24. თებე; 25. კამა; 26. ბრენდი; 27. ფოსო; 28. ლარნაკი; 29. „ნაბეღლავი“; 30. მატარებელი; 31. ინგა; 32. პროჟექტორი; 33. პირატი; 34. „პიეტა“; 35. ანოდი; 36. მარანი; 37. ბარბი; 38. ბეღელი; 39. პონი; 40. ამირან; 41. უხა; 42. ამუნიცია; 43. მარინადი; 44. ლაჟღაჟა; 45. ჟირაფი; 46. აჩმა; 47. ვლადიმერ; 48. პრიშტინა; 49. სკვინჩა; 50. უნიათო; 51. ტვისტი; 52. ჯეელი; 53. ლაქია; 54. ლიტა; 55. „ანტიგონე“; 56. ნერონი; 57. ვატიკანი; 58. აფიშა; 59. აბორიგენი; 60. დეკა; 61. რომანოვი; 62. ტაილერი; 63. რერიხი; 64. ბრენდი; 65. იანიჩარი; 66. ანაკლია; 67. ლეტიცია; 68. თითბერი; 69. ესე; 70. აგნი; 71. კრახი; 72. ლიპოსაქცია; 73. რინიტი; 74. ნოსტე; 75. ეგეოსი; 76. ნონ; 77. ასპიტი; 78. გვარი; 79. მანტია; 80. უინიპეგი; 81. იკორთა; 82. ბისტი; 83. ობი; 84. ცაცია; 85. კლუნი; 86. ეგო; 87. მატე; 88. მალაგა; 89. ალაო; 90. იგოეთი; 91. კაპიკი; 92. ბულგარეთი; 93. „სნიკერსი“; 94. კონდუქტორი; 95. ბიზე; 96. ბაიკალი; 97. ღოროტოტო; 98; ოტიტი; 99. „ოტელო“; 100. კოტრიკაძე; 101. „ლილ“; 102. ანტიფრიზი; 103. ილინსკი; 104. ირონია; 105. ანცი; 106. ოტო; 107. არარატი; 108. ნაირობი; 109. ტიტრი; 110. ბაიკონური; 111. ტალინი; 112. ანტი; 113. ტალკი; 114. დეიდა; 115. უსტარი; 116. ავი; 117. ვაიმე; 118. აზიზი; 119. სუთი; 120. ალენ; 121. ამიმია; 122. პრინცი; 123. ძე; 124. გიო; 125. სალაფავი; 126. მონე; 127. მაია; 128. ილია; 129. გოლი; 130. ტენერიფე; 131. ვარაზი; 132. ბედი; 133. ბაზილიო; 134. მელ; 135. ცრუ; 136. რუ; 137. ელ; 138. ილიონი; 139. ზამბეზი; 140. იარა. იკითხება: იკებანა.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას



## მონატრება

ამ გაუსაძლის თვეებს ბოლო არ უჩანს. დამთავრდა ჩვენი 43 წლის ბედნიერება, სიყვარული და უზომოდ ბედნიერი საათები, რომელიც დაუსრულებელი მეგონა. ერთი ცხოვრება ძალიან ცოტა აღმოჩნდა ჩვენი სიყვარულისთვის. კაცი, რომელიც დააკლდა ყველას, ვისაც კი იცნობდა, აღარ არსებობს. ერთი წელი გელი, როგორც ყოველთვის, და მჯერა, რომ შენ მოხვალ ჩემთან და ჩვენ სამუდამოდ ერთად ვიქნებით. ამ მონატრებას ზურაბ ჯინჭარაძე ჰქვია.

შენი ნაირა

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

## კარტოფილ ფრის სასარგებლოს გახდიან



მიუხედავად იმისა, რომ კარტოფილი ფრის სიყვარულიც ერთ-ერთ ყველაზე მავნე ჩვევად უკვე დიდი ხანია, აღიარებულია, უამრავი ადამიანი მასზე უარს მაინც არ ამბობს.

ჰოდა, ყველას გავახარებთ და ვეტყვით, რომ შესაძლოა, სულ მალე მედიკოსებმა ფრისთან მიმართებაში შეხედულებებს გადახედონ.

ცნობილი ხდება, რომ ნორვეგიაში შემუშავებულია ტექნოლოგია, რომელიც კარტოფილ ფრის სასარგებლო პროდუქტად გადააქცევს.

საუბარია იმაზე, რომ სპეციალისტები კარტოფილს აკრილამიდის გარეშე დატოვებენ, ნივთიერების, რომელიც ცნობილი ტოქსინი და კანცეროგენია.

ეს რომ გაეკეთებინათ, იდეის ავტორებმა მჟავარძის ბაქტერიები გამოიყენეს, რომელსაც შეუძლია, დიდი რაოდენობით ზეთში შემწვარ კარტოფილს შაქარი გამოაშოროს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ მჟავარძის ბაქტერიების შესწავლა 20 წლის მანძილზე მიმდინარეობდა. მას შემდეგ, რაც მათი დადებითი თვისებები გამოვლინდა, კვების მრეწველობაში „კარგი ბაქტერიების“ ფართოდ გამოყენებაც დაიწყო. კერძოდ, შესაძლებელი გახდა პროდუქტების არა მხოლოდ საშიში ბაქტერიებისგან დაცვა, არამედ ვარგისიანობის ვადის გახანგრძლივება, გემური და ასევე, მკვებავი თვისებების გაუმჯობესება. ახლა უკვე ასეთ გავლენას თავის თავზე კარტოფილი ფრიც გამოცდის.

*medkarta.com*

## ინტერნეტი თავის ტვინში სერიოზულ ცვლილებებს იწვევსო



საკმაოდ არასახარბიელო დასკვნა გამოიტანეს ამერიკელმა ფსიქოლოგებმა ადამიანების იმ კატეგორიისთვის, რომლის სამუშაოს ძირითადი ნაწილის შესრულება კომპიუტერზე, უფრო ზუსტად კი – ინტერნეტზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, ალბათ, არ აღფრთოვანდებიან არც ახალგაზრდები, რომლებიც თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს ინტერნეტში ძრომიალს უთმობენ.

თურმე. ე.წ. „სერფინგი“, ანუ ინტერნეტში რამდენიმე საიტის ერთდროულად დათვალიერება და ვირტუალური რესურსების სწრაფი ცვლა ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ძალიან ზედაპირულს ხდის.

– საიტების სწრაფი და მუდმივი დათვალიერების თვისებას ადამიანის თავის ტვინი იქამდე მიჰყავს, რომ უკარგავს სისტემურ და ღრმა აზროვნების უნარს, – ამტკიცებს წამყვანი ამერიკელი ფსიქოლოგი ნიკოლას კარი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიები ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ კავშირს ინტერნეტსა და ადამიანის შემოქმედებით შესაძლებლობებს შორის. მაგალითად, ამერიკული ავიამშენებელი კომპანია „ბოინგის“ ხელმძღვანელობამ შექმნა სპეციალური ჯგუფი, რომლის მიზანია ახალგაზრდა ინჟინრების ინტელექტუალური შესაძლებლობების ამაღლება ინტერნეტის გარეშე.

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

*regnum.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
11 მარტი: შესაძლოა, დღეს საქმის გაკეთება ვერ მოახერხოთ, ახლობლები დაიხმარეთ. გვერდში დაგიდგებიან. მთავარია, საწყენი არაფერი უთხრათ.

**კურო 22.04-21.05**
**11 მარტი:** შეეცადეთ, საღად იაზროვნოთ. თუ ჩავარდნები გექნებათ, ახლობლები დაიხმარეთ. ყველაფერი იღონეთ, რომ ემოციების ტყვეობაში არ აღმოჩნდეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**11 მარტი:** თქვენს მონაგარს ძალიან უფრთხილდებით და ასეც უნდა მოიქცეთ, მაგრამ არავინ არაფერს არ გართმევთ, მომავალი მიზანი შეარჩიეთ და წინ იარეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**11 მარტი:** რჩევები უყურადღებოდ არ დატოვოთ, მათში ყოველთვის არის რაღაც მნიშვნელოვანი. დღეს გირჩევენ რაღაცას, რამაც შეიძლება თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს.

**ლომი 23.07-22.08**
**11 მარტი:** ძალიან ენერგიული იქნებით, მაგრამ პრობლემას მანამდე ვერ მოაგვარებთ, სანამ მისი გადაწყვეტილების ორიგინალურ გზას არ მონახავთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**11 მარტი:** შესაძლოა, ძალიან დაძაბული დღე აღმოჩნდეს, მაგრამ ძალისხმევა დაგიფასდებათ. მთავარია, არ იფიქროთ, რომ რაღაცა არ გამოგივათ.

**სასწორი 23.09-22.10**
**11 მარტი:** ენერგია, რომელიც ბოლო დღეებში სტიმულს გაძლევდათ, ნელ-ნელა ამოიწურება. დაისვენეთ და გაერთეთ, თქვენ ეს დაიმსახურეთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**11 მარტი:** აქტიურ მოქმედებებს მოერიდეთ, ენერგიას ტყუილად დახარჯავთ, შედეგს ვერ მიიღებთ. დაისვენეთ და საღამოსთვის მოემზადეთ, სიურპრიზი გელით.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**11 მარტი**: მიმდინარე პრობლემები სანდო ადამიანთან ერთად განიხილეთ. შესაძლოა, მათ ჰქონდეთ იმ საკითხების მოგვარების გასაღები, რასაც თქვენ ვერ მიაკვლიეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**11 მარტი:** მანამდე არავინ დაგეხმარებათ, სანამ ახლობლებს არ დაარწმუნებთ, რომ სანდო ადამიანი ხართ. სწორედ ამ საქმით უნდა დაკავდეთ, დაარწმუნეთ, რომ კარგი ადამიანი ხართ.

**მერწყული 20.01-18.02**
**11 მარტი:** შესაძლოა, თქვენთვის სამსახური ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა. პირადი საკითხები არ დაივიწყოთ, სამსახურის საქმეები არსად არ გაგექცევათ.

**თევზები 19.02-20.03**
**11 მარტი:** შეეცადეთ, მეგობრები მოინახულოთ. არავითარ შემთხვევაში ალკოჰოლს არ მიეძალოთ, დიდია რისკი, ჩაიდინოთ ისეთი რამ, რაც შეგარცხვენთ და არ გემახსოვრებათ.

გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

## განცხადება

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

555 125 770; 596 777 773

## სრული ადამიანებისთვის ხილი შეიძლება სახიფათო იყოს?

ცოტა არ იყოს, რთული წარმოსადგენია, რომ შეიძლება ხილი ვინმესთვის რაიმე სახის საფრთხეს წარმოადგენდეს, თუმცა არც მთლად ასე ყოფილა საქმე.

თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რომ ხილი ძალიან სასარგებლოა, თუმცა ინგლისელი მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მათ ადამიანისთვის სერიოზული პრობლემების გაჩენა შეუძლიათ, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ხილის დიეტური მიზნებისთვის გამოყენება ხდება.

მოსაზრების ავტორები განმარტავენ, რომ ხილი ძალიან სახიფათოა სიმსუქნისკენ მიდრეკილი ადამიანებისთვის და მათთვის, ვისაც სისხლში ქოლესტერინის დონე მაღალი აქვს. ამდენად, ამ კატეგორიის ადამიანებისთვის და დიაბეტიკებისთვის ხილის დიეტის დაცვა რეკომენდებული არ არის. ხილის შემადგენლობაში საკმაოდ მაღალია შაქრის კონცენტრაცია, რომელიც თავის მხრივ, შიმშილის გრძნობას არ ამცირებს. ამიტომ ადამიანს არ შეუძლია იმის განსაზღვრა, რა რაოდენობის ხილი მიირთვა და რამდენი კალორია მიიღო. ეს უკანასკნელი კი ხილში საკმაოდ დიდი დოზებით გვხვდება.

შედეგად გამოდის, რომ ხილის დიეტებს ადამიანისთვის საკმაოდ დიდი ზიანის მიყენება შეუძლია და უმჯობესია, ინგლისელების ეს მოსაზრება ყველამ გაითვალისწინოს.

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

*fitnesdom.com*



კოტემ სახლში სამი გოგო მიიყვანა:

– აბა, დედიკო, თუ გამოიცნობ, რომელი იქნება შენი მომავალი რძალი?

– აი, ის, კართან რომ დგას!

– ვაა, რა მაგარი ხარ! და როგორ გამოიცანი?

– სახლში ფეხი შემოდგა თუ არა, ეგრევე ტანში დამბურძგლა.

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

გაზეთი „ალია“

გამოდის ოთხშაბათს და პარასკევს

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.20